

იუსტიციის-სამართლებრივი ჟურნალი

№8 (20), 2012, აპრილი

ფასი 2 ლარი

იუსტიციის



მომავალი თანამშრომელი

ახალი წესები,
სამართლებრივი
კანონები
დასაბუთება

სამართლებრივი
კანონების განხილვა
სამართლებრივი
კანონების

სამართლებრივი
კანონების
სამართლებრივი

სამართლებრივი კანონების განხილვა

ახალი წესები
დასაბუთება
12 წელიწად

წილი II


ფასი 3 ლარი

სამართლებრივი კანონების განხილვა – 3 ლარი

სამართლებრივი
კანონების განხილვა
– სამართლებრივი
კანონების
განხილვა

1924 წლის
სამართლებრივი
კანონების
განხილვა,
სამართლებრივი
კანონების
განხილვა

სამართლებრივი
კანონების
– სამართლებრივი
კანონების
განხილვა



სახიჩუვი

ახალი აგაპი
 უცნობა ენამ 60 ტყვე ქალის სახელი
 უგმინასა ----- 6
 3000 წლის წინანდელი
 „ფრანკფურტიანები“ ----- 6
 მსოფლიოს უპირველესი გვერავები
 იმერეთიდან ----- 7
 „ღვთის ნაწილაკი“ ნაკრძინა?! ----- 9
 უკველესი მსატრობა ევროპაში ----- 10
 გონა ჯავარიმის „კიბანო“ ----- 11

ოლივიუჩი თაფაზის ისტორია
 თამაშები, რომლებმაც ომები


დაამარცხეს ----- 12

ბიძოლა თაქისაფეზისთვის
 1924 წლის აჯანყების შემდგომი საბჭოთა
 რეპრესიები ----- 17

წინდელთა სსოვიზა
 მისეილ ყულუოვილი — კერეთის გმირი --- 23

ეაფაზიეჩოლა
 საგანგებოდ დაიწყებული აგაპი ----- 28

აჩიუილი ნეოზაფიანის ისტორიიდან
 როგორ აღმოჩნდა X საუკუნის ქართული
 მონეტები ბალტიისპირეთში ----- 34



სახიჩვი

ელი ელიენაზის სიყვარული ნაოლეონის პოლონური სიყვარული — მარია ვალესკა -----	39	სსოჰიბა კარლო საკანდელიძე — ყველაზე მეტად გული მავინ დამყვდა, როცა „მონუს ჯამაჯემში“ ველარ ვითამაშე... -----	72
სასოჰიბი ქაითი „ოდუმე დიდი მოფილა საქართველო...“ -	47	სსოჰი ბივი ჯამბურია — დიდი მოურავის „მემატინაშ“ -----	77
სანვოლანე ისოჰიან სახალისო პრემისტორია მოწარდებისთვის -----	53	ქაილი მეფე შვილდაძე: ჩემი საყვარელი გმირი ცოტან დადინაი!.. -----	79
ელი მსოჰიბა ვინ ხართ თქვენ, დოქტორო ზორბე? -----	56	„ისოჰიანი“ ბავშვისთვის 500 ფაქტი ისტორიიდან -----	82
სოჰიბი ისოჰიიან ანრი დელონე — კაცი, რომელსაც ფეხურთი კლიერ უყვარდა -----	64	სკანვორდი -----	90

ჩვენს ხელახლოვების სვეტი

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართულმა ეროვნულმა პოლიტიკურმა პარტიებმა აქტიური ბრძოლა დაიწყეს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. უკვე საბჭოთა საქართველოში პატრიოტულად განწყობილი მოსახლეობა არ მოერიდა, პომპეზურად აღენიშნა 26 მაისი — დამოუკიდებლობის დღე. იატაკქვეშა ორგანიზაციები მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიქმნა. 1921 წლის ზაფხულში სვანეთში მასობრივი გამოსვლები მოხდა, თუმცა მისი ჩაქრობა ბოლშევიკებმა მაღევე მოახერხეს. თითოეულ ასეთ გამოსვლას კომუნისტები მასობრივი ტერორით პასუხობდნენ. მეტეხის ციხე პოლიტიკური პატიმრებით აივსო.

1922 წელს აჯანყებამ იფეთქა ხევსურეთსა და კახეთში, გამოსვლები მოეწყო გურიაში. საერთო ეროვნულ ღონეზე აჯანყებას დამოუკიდებლობის კომიტეტი ხელმძღვანელობდა. აგრეთვე შექმნილი იყო სამხედრო ცენტრი. 1922 წელს ცენტრის შემადგენლობა დააპატიმრეს. მალე ახალ ხელმძღვანელად დაინიშნა გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე, ხოლო მის თანაშემწედ — ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო კომისიის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი სოლომონ ზალდასტანიშვილი. დამოუკიდებლობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, საქართველოს ყველა კუთხესა და თბილისში ერთიანი გამოსვლის თარიღად დადგინდა 1924 წლის 29 აგვისტო, თუმცა ჭიათურაში გამოსვლები დაიწყო ერთი დღით ადრე, — 28 აგვისტოს. საბჭოთა ხელისუფლებას უკვე ჰქონდა ინფორმაცია აჯანყების შესახებ და გამოსვლის დაწყებამდე თუ მის შემდეგ უპრეცედენტო რეპრესიებს მიმართა. ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე დაიხვრებოდა უამრავი ადამიანი. წინამდებარე ნომერში სწორედ ეს საშინელი ამბებია აღწერილი.

ჩვენი თხოვნაა, თუ ვინმეს ოჯახურ არქივში დაცული აქვს რამე სახის დოკუმენტი 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე პირთა შესახებ, რედაქციაში მოგვაწოდოს. აჯანყების 90 წლისთავისთვის გადაწყვეტილი გვაქვს, ამ მოვლენას სპეციალური ნომერი მივუძღვნათ და ეს დოკუმენტები სწორედ საუბილეო გამოცემაში გამოქვეყნდება.



ჩვენი თხოვნაა, თუ ვინმეს ოჯახურ არქივში დაცული აქვს რამე სახის დოკუმენტი 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე პირთა შესახებ, რედაქციაში მოგვაწოდოს...

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოსშივილი
ოქროპირი ჯიქური
ნინო ჯაფარიძე

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70

e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამომწერი სთავის მიმართეთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა.ჯი“.
ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91

უცნობა ენა 60 ტყვი ქალის სახელი შემოინახა

ძველ ქალაქ ტუშანში (თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე) მეცნიერებმა თიხის ფირფიტებს მიაკვლიეს, რომლის შესწავლის შემდეგ ლინგვისტებმა განაცხადეს, რომ ენა, რომელზეც წარწერებია შესრულებული, მათთვის აქამდე სრულიად უცნობი იყო. ფირფიტები ასურეთის მმართველთა სასახლის გათხრისას აღმოჩნდა.

თიხის ფირფიტების ლურსმული დამწერლობის გაშიფვრის მცდელობისას კემბრიჯის უნივერსიტეტის არქეოლოგებმა გაარკვიეს, რომ ეს ენა ყველაზე მეტად ადრე შუამდინარეთის კულტურას შეესაბამება. ამ ენაზე ზაგროსის მთიანეთის მოსახლეობა საუბრობდა. მთიანეთი თანამედროვე ირანის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს.

ფირფიტებში მოხსენიებულია სასახლეში მომსახურე 60 ქალის სახელი. ასურელებს ისინი ტყვედ, სვარაუდოდ, სხვადასხვა თავდასხმის შემდეგ უნდა აეყვანათ. ქალები საქსოვ



საწარმოში საქმიანობდნენ. მათი სახელები მეტად უცნაურად ჟღერდა, მაგალითად, უშიმანაი, ალაგაჰაი, ირსაკინა და ბიზუნუმი.

ლინგვისტები დამწერლობის გაშიფრვაზე ჯერ კიდევ მუშაობენ.

livescience-ის მასალების მიხედვით

3000 წლის წინანდელი „ფრანკენშტაინები“

უცნაური შედეგით დასრულდა კვლევა, რომელსაც ბრიტანელი მეცნიერები შოტლანდიის სანაპიროსთან ერთ-ერთ კუნძულზე აღმოჩენილ რამდენიმე მუმიის სხეულზე აწარმოებდნენ. მკვლევრებმა ქალისა და მამაკაცის მუმიების ჩონჩხების შესწავლის შემდეგ დაადგინეს, რომ ორივე მათგანი რამდენიმე ადამიანის სხეულის ნაწილებიდან შედგება. ამის დახუსტება დნმ-ის ანალიზის შედეგად მოხერხდა.

მეცნიერები ირწმუნებიან, რომ მუმიფიცირ-

რებული სხეულები სხვადასხვა დროს „ააწვევს“. მამაკაცისა ძვ.წ. 1440-1260 წლებში, ქალისა — ძვ.წ. 1310-1130 წლებში.

მკვლევართა ვარაუდით, მუმიფიცირებული სხეულების რეკომბინაცია არა შემთხვევით, არამედ მიზანმიმართულად მოხდა. ფიქრობენ, რომ სხეულის სხვადასხვა ნაწილის „გადანერგვა“ რიტუალის ნაწილი იყო, რომლის მიზანს რამდენიმე გვარის გაერთიანება წარმოადგენდა. მეცნიერები არ გამორიცხავენ, რომ წინაპართა ნაწილები მიწის ფლობის უფლების ერთგვარ დასტურს წარმოადგენდა.

გამოკვლევის ავტორები წერენ, რომ რადიოკარბონული ანალიზის წყალობით გაირკვა კიდევ ერთი დეტალი: მუმიფიცირებიდან იმ ადგილას დაკრძალვამდე, სადაც გარდაცვლილთა სამარხებს მიაკვლიეს, 600 წელი გავიდა.

მუშია ფრანკენშტაინებს არქეოლოგებმა 3000 წლის მასიური ნაგებობის ფუნდამენტში 2001 წელს მიაკვლიეს.

არქეოლოგები ამბობენ, რომ ეს აღმოჩენა მნიშვნელოვან კორექტივს შეიტანს წარმოდგენაში, თუ როგორ ეპყრობოდნენ ბრიტანეთის კუნძულების უძველესი ბინადრები მიცვალებულებს.

livescience-ის მასალების მიხედვით



ეს ჩონჩხები სხვადასხვა ადამიანების ნაწილებიდან შედგენილია

მსოფლიოს უპირველესი მკერავები იმერეთიდან

ჭიათურაში, ძუძუანას მღვიმეში, უპირველესი ნაქსოვი ტანსაცმლის არსებობა დადასტურებულია




ძუძუანას მღვიმის შესასვლელი

ჭიათურაში, ძუძუანას მღვიმეში ოთხი წლის წინანდელმა აღმოჩენამ ქსოვილის დამზადების თარიღში მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა. კვლევების შედეგად დადასტურებულია, რომ გამოქვაბულში აღმოჩენილი სელისგან დამზადებული და მცენარეული საღებავებით შეღებილი ბოჭკოები მსოფლიოში უძველესია. მისი ასაკი დაახლოებით 35-34 ათასი წელიწადია. ძუძუანას აღმოჩენამდე მსოფლიოში უძველეს ნიმუშად ჩეხეთში, დოლნი-ვესტონიკაში მიკვლეული ქსოვილი ითვლებოდა, რომელიც 29 ათას წელიწადს ითვლის და ძუძუანისგან განსხვავებით, ჭინჭრისგან არის დამზადებული.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პრეისტორიული არქეოლოგიის პროფესორი, ოფერ ბარიოზეფი ამბობს, რომ სელის მიკვლეული ბოჭკოებიდან ზოგიერთი მცენარეული საღებავით იყო შეღებილი.

„ფერადი ბოჭკოები შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ მოსახლეობა გამოქვაბულში ფერად ქსოვილებს აწარმოებდა. ასევე დასტურდება ბეწვისა და ტყავის მასალის დამუშავებაც“, — აღნიშნავს ოფერ ბარიოზეფი.

ძუძუანას მღვიმეში, საერთო ჯამში, ბოჭკოს 787 ფრაგმენტს მიაკვლიეს. სამეცნიერო ექსპედიცია, რომელსაც აღმოჩენა ეკუთვნის, აქ 1996 წლიდან მუშაობს. ჯგუფში, ქართვე-






ექსპედიციის წევრები მღვიმეში მუშაობისას

ლებთან ერთად, ამერიკელი და ისრაელელი სპეციალისტებიც შედიან.

მუძუანას მღვიმე ქვის ხანის ძეგლია, კერძოდ, იმ დროისა, როცა თანამედროვე ფიზიკური ტიპის ადამიანი ჩნდება ამიერკავკასიაში და მღვიმეშიც მეტად მდიდარი მასალა აღმოჩნდა, რომელიც ამას ადასტურებს.

თენგიზ მუშველიანი (*ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*): „ეს აღმოჩენა 2007 წლით თარიღდება. სამუშაოებისას ძირითადად, ქვისა და ძვლის ნივთებს მივაკვლიეთ. ხე და ორგანული ნივთიერებები კი მოგვსვენებთ, არ ინახება და შესაძლოა მხოლოდ მტვრის სახით იყოს დარჩენილი. სწორედ ამ მტვერში

ქსოვილის ბოჭკოები მიკროსკოპის ქვეშ



აღმოჩნდა სელისგან დამზადებული ძაფის ნაშთები. პალეონტოლოგმა ელისო ყვავაძემ ახალ ტექნოლოგიას მიაგნო და მძლავრი მიკროსკოპით დაინახა დართული ძაფის ბოჭკოს უმცირესი ნაწილაკები. აღმოჩენებში, სელის გარდა, შალის ბეწვიც არის დაგრებილი. სელის ბოჭკო ტექნოლოგიურად არის დაჭეჭვილი, მერე დაძეგნილი და შემდეგ — მოქსოვილი. თვალთ უხილავი ბოჭკო სინჯარაშია მოთავსებული და მხოლოდ იმ შემთხვევაშია ხილული, თუ მას საგანგებო მიკროსკოპით 500-ჯერ მაინც გაადიდებ. ეს მასალა მტვრის გამოკვლევისას აღმოჩნდა. საერთოდ, ქვის ხანის არქეოლოგიაში მტვრით დგინდება, რა ფლორა და რა კლიმატი არსებობდა“.

ქართულ აღმოჩენას მსოფლიო მედიამ ბოლო ორი წლის განმავლობაში არაერთი მასალა მიუძღვნა. „საიენს“, „ლე ფიგრო“, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და სხვა გავლენიანი გამოცემები აქვეყნებდნენ სტატიებს სათაურებით: „მსოფლიოს პირველი მკვრავები“, „უძველესი ძაფი და უნიკალური აღმოჩენა საქართველოში“...


სელის ბოჭკოებს პირველად 35 ათასი წლის წინანდელ, შემდეგ კი, აბსოლუტურად ყველა ფენაში მიაკვლიეს.

პროექტში მონაწილეობენ ელისო ყვავაძე (პალეობოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი), ოფერ ბარ-იოზეფი (ანთროპოლოგიის დეპარტამენტი, ფიბოდის უნივერსიტეტი, ჰარვარდის უნივერსიტეტი), ანა ბელფერ-კოენი (არქეოლოგიის ინსტიტუტი, ჰიბროუს უნივერსიტეტი, ისრაელი), ელიზაბეტ ბოარეტო (რადიოკარბონული დათარიღებისა და კოსმოგენური იზოტოპების ლაბორატორია, ვიცმანის ინსტიტუტი), ნინო ჯაყელი (პრეისტორიის დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი), ზინოვი მაცკევიჩი (ანთროპოლოგიის დეპარტამენტი, ჰიბოდის მუზეუმი, ჰარვარდის უნივერსიტეტი), თენგიზ მუშველიანი (პრეისტორიის დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი), ერეკლე ქორიძე (არქეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი).

მუძუანას მღვიმე ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მღვიმევის ტერიტორიაზე მდებარეობს. ძეგლი 1966 წელს, სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის ქვის ხანის შემსწავლელმა ექსპედიციამ აღმოაჩინა. ექსპედიციას არქეოლოგი დავით თუშაბრამიშვილი ხელმძღვანელობდა.

„ღვთის ნაწილაკი“ ნაპოვნია?!

„ღვთის ნაწილაკი“ ნაპოვნია — ამის შესახებ ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის მეცნიერებმა განაცხადეს. მათ ახალი ელემენტარული ნაწილაკი აღმოაჩინეს. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ეს შესაძლოა პიესის ბოზონი იყოს, რომელიც მეცნიერებას მასის წარმოშობის მექანიზმის ამოხსნის საშუალებას მისცემს.



პიტერ ჰიგსი

პიესის ბოზონის ძიება იყო დიდი ადრონული კოლაიდერის აგების მიზანიც, რომელიც ელემენტარული ნაწილაკების გიგანტური ამაჩქარებელია. მასზე ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის მეცნიერები მუშაობენ.

ბოზონის აღმოსაჩენად მუშაობა მკვლევრებმა 2001 წელს დაიწყეს.


„ჩვენ ეს შევძელით. ეს საუკუნის მოვლენაა. მომხდართი ყველანი ვამაყობთ. თუმცა ეს სიახლის დასაწყისიცაა. ვვარაუდობ, რომ ეს აღმოჩენა მსოფლიო მნიშვნელობისაა და ის სწორ დროს მოხდა“, — განაცხადა ბირთვული კვლევების ცენტრის დირექტორმა როლფ დიტერ ჰოიერმა.

83 წლის დოქტორი პიტერ ჰიგსი, რომლის


სახელიც ახალადმოჩენილ ნაწილაკს ეწოდა, ემოციებს ვერ მალავს. მან ჯერ კიდევ 60-იან წლებში, თეორიულად იწინასწარმეტყველა ე.წ. ღვთის ნაწილაკის, ანუ ბოზონის არსებობა. ეს ერთ ჩვეულებრივ საღამოს მოხდა, როცა ედინბურგის მახლობლად, სეირნობის შემდეგ შინ ბრუნდებოდა.

„გაკვირვებელი ვარ, რომ ეს ყველაფერი ჩემს სიცოცხლეში მოხდა. ამის წარმოდგენაც კი არ შემეძლო. ამ ამბის დაწყებიდან 40 წელიწადზე მეტი გავიდა, თან ადამიანებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რას ეძებდნენ“, — განაცხადა ჰიგსმა.

მომზადებულია EURONEWS-ის მასალების მიხედვით



პიესის ბოზონის აღმოჩენის სქემატური გამოსახულება



დიდი ადრონული კოლაიდერის ერთ-ერთი კვანძი

უკველესი მხატვრობა ევროპაში



გამოსახულებები ელ-კასტილოს გამოქვაბულში
ევროპაში უძველესად მიიჩნეის

ესპანეთში ნაპოვნი გამოქვაბულის მხატვრობის ნიმუშები ევროპაში უძველესად აღიარეს. ეს ნახატები წარმოადგენენ ადამიანის ხელის მტკვნის გამოსახულებას, წითელ წრებს ან ცხოველთა ფიგურებს.

გამოქვაბულის მხატვრობის ასაკის დადგენისთვის მეცნიერებმა დათარიღების განსაკუთრებით ზუსტი მეთოდები გამოიყენეს. შედეგად, გამოსახულებათაგან ერთ-ერთი წითელი წრე მინიმუმ 40 ათასი წლით დათარიღდა.


„კანტაბრიაში, ელ-კასტილიოს გამოქვაბულში ამოტივტივებულია ადამიანის ხელის მტკვნის გამოსახულება, რომელიც უძველესმა მხატვრებმა გამოქვაბულის კედელზე მიღებულ ხელზე საღებავის დასხმით შექმნეს“, — ამბობს ბრისტოლის უნივერსიტეტის პროფესორი ალისტერ პაიკი.

მეცნიერებმა ნახატების ასაკის დადგენისთვის დათარიღების კარბონული მეთოდი გამოიყენეს. ნახატების ასაკი ევროპაში თანამედროვე ადამიანის, ანუ Homo sapiens-ის გადმოსახლების პირველ ტალღას ემთხვევა. ის დაახლოებით 41 ათასი წლის წინ დაიწყო. მანამდე კი ევროპაში ნეანდერტალელები სახლობდნენ. მკვლევართა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, ბარსელონის უნივერსიტეტის პროფესორი ჟოან ზილიანი მიიჩნევს, რომ ნახატები სწორედ ნეანდერტალელებს ეკუთვნის.

„ახლა ჩვენ სხვა გამოსახულებათა შესწავლა და ისეთების პოვნა მოგვიწევს, რომელიც 42-44 ათას წელზე მეტი ხნისაა. ჩვენ უკვე გვაქვს ნიმუშები ესპანეთის, პორტუგალიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების სხვა გამოქვაბულებიდან“, — ამბობს ესპანელი არქეოლოგი.

ახლა მეცნიერები ცდილობენ გაარკვიონ, ვის ეკუთვნის ეს გამოსახულებები. მათი აზრით თუ ახალგადადმოსახლებული იყვნენ, გამოდის, ამ საქმიანობას მიგრაციის პირველივე ტალღისას, ევროპაში გამოჩენისთანავე მიჰყვება ხელი. ხოლო გამოსახულებები თუ ნეანდერტალელებმა დატოვეს, ეს მათი მაღალი კულტურული და ინტელექტუალური დონის დადასტურება იქნება.

მომზადებულია BBC-ის მასალების მიხედვით



ბორჯა ჯაფარიძის „ძიებანი“

თანე ჯაფარიძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლახან გაიმართა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, აღმოსავლეთმცოდნის, პროფესორ გოჩა ჯაფარიძის ნაშრომა კრებულის, „ძიებანი“ I ნაწილის პრეზენტაცია. წიგნში შევიდა მეცნიერის მიერ 1973-2009 წლებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ გამოქვეყნებული ნაშრომები. ამ ნაშრომთა თემატიკა მოიცავს საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის საკითხებს, ასევე გენეალოგიურ, ონომასტიკურ და ტოპონიმიკურ ძიებებს, ქართული დიპლომატიის ისტორიას, ქრონოლოგიას, ნუმიზმატიკასა და მეტროლოგიას.

ბატონ გოჩა ჯაფარიძეს წლეულს 70 წელი შეუსრულდა. უურნალი „ისტორიანი“ და მისი მრავალრიცხოვანი მკითხველი ულოცავს ღვაწლმოსილ მეცნიერს ამ იუბილეს და შემდგომ წინსვლას უსურვებს. აღსანიშნავია, რომ ბატონი გოჩა ჩვეული ენერგიით კვლავაც განაგრძობს მომავალი თაობის აღზრდას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

აქვე დავძენდით, რომ ბატონი გოჩა წლების განმავლობაში მოღვაწეობდა გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. 2007-2010 წლებში იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სპარსეთის ყურის ქვეყნებში, ეგვიპტესა და სირიაში. მისი ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი



გამოქვეყნდა აკადემიურ გამოცემებში როგორც ქართულ, ასევე ვეროპულ და არაბულ ენებზე. მათ შორისაა მონოგრაფიები: „ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან“, „საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII საუკუნეების I მესამედში“, „ცნობარები თანამედროვე არაბული ქვეყნების შესახებ“ და სხვ. მისი ხელ-

მძღვანელობითა და თანაავტორობით გამოიცა ენციკლოპედიური ცნობარი „ისლამი“.

„ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში“ დიდ დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ ისტორიკოსებსა და აღმოსავლეთმცოდნეებს, არამედ დაინტერესებულ მკითხველსაც. მით უფრო, რომ წიგნში საშუალება გვაქვს გავეცნოთ საქართველოს ისტორიისთვის ახალ არაერთ არაბულ წყაროს, რომლებიც ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორედ ბატონმა გოჩამ შემოიტანა.

ჯაჯა საგუშია



TALIZI
 თვის გაღანეკვის ცენტრი
 ტაშკენტის 27. ტელ: 2141515
 WWW.TALIZI.GE

თამაშები, რომლებმაც ომები დაამარცხეს

დიდმა მათემატიკოსმა
ჰითაბორამ რამდენიმე
ოლიმპიადაზე
ბაიბარჯვა... კრიკში

სამი ათეული საუკუნის წინ, ძველ
საბერძნეთში გამართული ოლიმპიური
თამაშები არ ყოფილა მხოლოდ
სპორტული ასპარეზობა. ძველბერძნული
პანთეონის უმაღლესი ღვთაების,
ზევსისადმი მიძღვნილი თამაშები
დღესასწაული იყო ხალხისთვის,
შეხვედრის ადგილი — მმართველებისა
და ფილოსოფოსებისთვის, ხოლო
შეჯიბრება — ხელოვანთათვის. რაც
მთავარია, ელინებისთვის ის მშვიდობის
იარაღი იყო — საშუალება
დაპირისპირებული მმართველებისა და
სამეფოების შესარიგებლად.

ოლიმპიადა გამოხატავდა მსოფლმხედვე-
ლობას, რომლის ქვაკუთხედი სულისა და სხე-
ულის სრულყოფილების კულტი გახლდათ. ეს
იყო გაიდგალება ჰარმონიულად განვითარე-
ბული ადამიანის — მოაზროვნისა და ათლე-
ტისა.

„წმინდა ზამი“

ანტიკური ოლიმპიური თამაშების წარმო-
შობასთან დაკავშირებით არაერთი მითი არ-

ქალაქი ოლიმპია პელოპონესის ნახევარკუნძულზე
(მხატვრული რეკონსტრუქცია)



ბადროს
მტყორცნელი.
პირონის
ბრინჯაოს
ქანდაკების
(ძვ.წ. 460-450)
რომაული
ასლი

სებობს. თუკი ერთნი მას თვით ზევსის ნებას
უკავშირებენ, მეორენი მის ძეს, გმირ ჰერაკლეს
მიაწერენ.

შედარებით გვიანდელი ლეგენდა გვამ-
ცნობს, რომ ძვ.წ. 884 წელს, ერთმანეთთან
მტრობით გატანჯული ბერძნული სამეფოე-
ბის, სპარტისა და ელიდის (პელოპონესის ნა-
ხევარკუნძულის ჩრდილოეთ-დასავლეთში)
მმართველებს, ლიკურგესა და იფიტეს, მშვი-
დობის დასამყარებლად შეთანხმება დაუდევთ

ანტიკური თამაშებისთვის
განკუთვნილი სტადიონის კარიბჭე



— ზევისადმი მიძღვნილი დღესასწაულის პერიოდულად გამართვის შესახებ.

მმართველებს „წმინდა ზავის“ ტექსტი სპილენძის დისკოზე ამოუტვიფრავთ და ქალაქ ოლიმპიას ტაძარში შეუნახავთ. ცნობისთვის — სხვაა პელოპონესის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარე ქალაქი ოლიმპია და სხვა — საბერძნეთის ჩრდილოეთით მდებარე მთა ოლიმპო, რომელიც, ანტიკური მითოლოგიის თანახმად, ღმერთების სახანო იყო. ამასთან, ქალაქი ოლიმპია წმინდა ადგილად გამოუცხადებიათ, სადაც ნებისმიერი მიზეზით მახვილის აღმართვა ღვთის გმობად მიიჩნეოდა.

უძველეს თამაშობებზე ცნობები არ შემორჩენილა. ყველაზე ადრეული ოლიმპიური თამაში კი, რომლის შესახებაც კაცობრიობა სარწმუნო ისტორიული წყაროებიდან იგებს, ძვ.წ. 776 წლით თარიღდება. სწორედ მაშინ დაიწყო ჟამთააღმწერლებმა თამაშების აღრიცხვა და გამარჯვებულთა სახელების ჩანიშვნა. თუმცა ოლიმპიადის მთავარი არსი მაინც არა იმდენად ვინმეს მიღწევის აღრიცხვა, არამედ იმ დღესასწაულის შემადგენელ ნაწილად ქცევა იყო, რომელიც თვით ზევისს ეძღვნებოდა.

ოლიმპიური დღესასწაული „წმინდა თვეში“ აღინიშნებოდა და 1417-დღიანი ციკლით, ზაფხულის ბუნიობიდან პირველ საესემთვარეობისას იმართებოდა. შესაბამისად, ეს ოთხწლიანი პერიოდი საბერძნეთში ოლიმპიადად იწოდებოდა.

ოლიმპიაში გამართულ თამაშებზე ყველა ბერძნული სამეფოდან იყრიდნენ თავს და იმ პერიოდში ყოველგვარი ომი და დაპირისპირება დროებით წყდება. დაუძინებელი მტრებიც კი წყენას ივიწყებდნენ და ერთმანეთს მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით, სარბიელზე ეცილებოდნენ უძლიერესის, უსწრაფესისა და ყველაზე მოხერხებულის წოდებისთვის. ამასთან, ათლეტები თამაშებზე თავთავი

ვიანთი სახელმწიფოების ელჩებად მიიჩნეოდნენ და ამიტომ, თითოეულის გამარჯვება მისივე ქვეყნისა თუ ქალაქის უპირატესობად აღიქმებოდა.

წმინდა — მკაცრი და ლიბინი

ასპარეზობა ეწყობოდა სხვადასხვა მანძილზე სირბილში. სტადიოდრომი იყო ერთ სტადიაზე (192,27 მეტრი) სირბილი, ორ სტადიაზე (წინ და უკან) — დიაულოსი, 8-იდან 24 სტადიამდე (ამტანობაზე) — დოლიპოსი. ორ სტადიაზე ეწყობოდა აბჯრით სირბილი — პოპლიტოდრომოსი. დროთა განმავლობაში თამაშებში ჩართეს ასპარეზობა სიგრძეზე ხტომაში, ბადროსა და შუბის ტყორცნაში, ჭიდაობაში, პენტატლონში (ხუთჭიდი), კრივისა და პანკრაციონში (ორთაბრძოლა მუშტიკრივისა და ჭიდაობის ელემენტების გამოყენებით).

ოლიმპიურ თამაშებს მოგვიანებით ეტლეთობით რბოლაში შეჯიბრიც დაემატა, რომელიც საკმაოდ სახიფათო იყო. ცხენები ხშირად ფრთხობდნენ, ეტლები ერთმანეთს ეჯახებოდა, მხედრები ბორბლებქვეშ ცვიოდნენ... ისეც ხდებოდა, რომ ფინიშამდე ათიდან მხოლოდ ორი მონაწილე აღწევდა. მიუხედავად ამისა, რაც უნდა ეყოჩაღა მხედარს, გამარჯვებულის გვირგვინს მას კი არა, ცხენების პატრონს ადგამდნენ.

დანარჩენ სახეობებში გამარჯვებულს — ოლიმპიონიკს კი თანამეძაძულენი ისევე მიაგებდნენ პატივს, როგორც ღმერთებს. მათ სიცოცხლეშივე უდგამდნენ ძეგლებს, უძღვნიდნენ ოდებს...

დაფნის გვირგვინით შემკული ოლიმპიური გმირი მშობლიურ ქალაქში ეტლით ბრუნდებოდა. ქალაქში ის შედიოდა არა მთავარი კარიბჭიდან, არამედ გალავანში სახელდახელოდ გაკეთებული ჭრილიდან. როგორც წესი,

ოლიმპიის სპორტული ნაგებობის მიწასთან გასწორებაში ადამიანს მიწისძვრაც დაეხმარა

ახე გამოიყურება დღეს ოლიმპიური თამაშების სტადიონი ოლიმპიაში



ოლიმპიური თამაშების ისტორია

ქალაქის მცხოვრებლები ჰერილს იმავე დღეს ამოაშენებდნენ ხოლმე და ამას სულაც არ აკეთებდნენ მტრის შემოპარვის შიშით. უბრალოდ, სწამდათ, რომ ქალაქში შემობრძანებული ოლიმპიური გამარჯვება უკანა გზით ვედარ წავიდოდა და სამუდამოდ მათთან დარჩებოდა.

ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ყველას არ შეეძლო. ამის უფლება მხოლოდ თავისუფალ, ოც წელზე უფროსი ასაკის ბერძენ მამაკაცებს ჰქონდათ. შესაბამისად, მონები და ბარბაროსები (უცხოელები) ამ პატივით ვერ სარგებლობდნენ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სპორტსმენისთვის აუცილებელი პირობა იყო ოლიმპიადის დაწყებამდე ათი თვის განმავლობაში სისტემატურად ვარჯიში მსაჯებისა და ორგანიზატორების მეთვალყურეობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ოლიმპიადამდე გამოსვლა მხოლოდ წარჩინებულ ოჯახისშვილთა ფუფუნება უნდა ყოფილიყო, რადგან გლეხები და ხელოსნები ამდენი ხნით საქმეს ვერაფრით მოსწყდებოდნენ.

ათლეტები აუცილებლად შიშველები ასპარეზობდნენ. სწორედ სიტყვა „შიშველი“ (გიმნოს) დაედო საფუძვლად ტერმინ „გიმნასტიკას“ (ტანვარჯიში). მაშინ შიშველი სხეული სამარცხვინოდ არ მიაჩნდათ, პირიქით, ეს თვალსაჩინოს ხდიდა, რამდენად კარგად მომზადებული იყო სპორტსმენი. სამარცხვინო კი



პანკრაციონის მეტროლოგები. ანტიკური ეპოქის ბრინჯაოს სკულპტურა

უფელეს ლარნაკზე გამოსახული პანკრაციონი



არასპორტული, გაუვარჯიშებელი სხეულით მოედანზე გამოჩენა იყო.

აქვე დავეძინო, რომ ქალებს ეკრძალებოდათ არა მხოლოდ შეჯიბრებაში მონაწილეობა, ასპარეზობებისთვის თვალის მიდევნებაც კი. წესის უგულვებელყოფისთვის უმკაცრესი სასჯელი იყო დადგენილი. მაგრამ როგორც ყველა კანონი, ერთ დღეს ესეც დარღვეულა. ლეგენდა გვიამბობს ქალზე, რომლის მამა, ძმა და ქმარი ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ. „ოლიმპიური ჩემპიონების“ ოჯახში ბიჭი იზრდებოდა, რომლის გაწვრთნა საკუთარ თავზე დედას აუღია. დადგა ის ნანატრი დღეც, როცა ბიჭი ოლიმპიადზე უნდა გამოსულიყო. მოედანზე მისი გულშემატკივრობის სურვილით ანთებულმა დედამ კი, მიუხედავად აკრძალვისა, თამაშებზე წასვლა მაინც გაბედა — მამაკაცურად შეიმოსა და არენაზე მწვრთნელებისთვის საგანგებოდ განკუთვნილ ადგილას წარდგა.

ასპარეზობა გაიმართა და მისი ვაჟი ჩემპიონად გამოაცხადეს! დედამ ემოციები ვერ მოთოკა და უმალ შვილისკენ გაიქცა, რათა პირველს მიელოცა გამარჯვება. მაგრამ, ქალს სიჩქარეში სამოსი შემოეძარცვა და მაშინ კი ყველამ დაინახა მისი შიშველი სხეული.

მსაჯულები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. კანონით, დამრღვევი სიკვდილით უნდა დასჯილიყო, მაგრამ ის ხომ ოლიმპიურ ჩემპიონთა ქალიშვილი, და, ცოლი და ახლა უკვე დედაც იყო?! დიდი სჯა-ბაასის შემდეგ, იგი შეიწყალეს, თუმცა ახალი წესი შემოიღეს. იმ დღიდან არა მხოლოდ სპორტსმენები, მათი მწვრთნელებიც აბსოლუტურად შიშვლები უნდა წარმდგარიყვნენ მოედანზე.

ქალთა ასპარეზობა ძველ საბერძნეთში ცალკე იმართებოდა და მას ქალღმერთ ჰერას უძღვნიდნენ. შეჯიბრი სირბილში ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ერთი თვით ადრე ან ერთი თვით გვიან, იმავე არენებზე ეწყობოდა, სადაც მამაკაცები ასპარეზობდნენ.

სახელოვანი ოლიმპიელები: ჰეროდოტე, სოკრატე, პითაგორა...

ოლიმპიადის თამაშების პროგრამაში სახელოვნებო კონკურსიც შედიოდა, რომელშიც ელინური კულტურის ისეთი ცნობილი მოღვაწეები მონაწილეობდნენ, როგორებიც ისტორიკოსი ჰეროდოტე, ფილოსოფოსი სოკრატე და მათუმატიკოსი პითაგორა იყვნენ. სხვათა



ეტლებით რბოლაში გამარჯვებას არა მონაწილეებს, არამედ ცხენების პატრონებს აკუთვნებდნენ.



ეტლებით რბოლის გამარჯვებული, წითელი გუნდის წევრი. რომაული მონაბაე



ოლიმპიური ჩირადნის ტრადიცია ძველბერძნული მითოლოგიის გმირ პრომეთეს უკავშირდება



ოლიმპიადებზე ათლეტები შიშვლები ასპარეზობდნენ



ოლიმპიური ჩირაღდნის ტრადიცია პრომეთეს უკავშირდება



პირველი ოლიმპიური თამაშები ათენში. 1896 წ.

შორის, „რიცხვთა მამა“ არა მხოლოდ დიდი ინტელექტუალი, კარგი მოჩხუბარიც ყოფილა, რომელსაც რამდენიმე ოლიმპიადაზე კრიეში გაუმარჯვია.

კიდევ ერთ ძველბერძნულ მითს უკავშირდება ოლიმპიური ჩირაღდნის ტრადიციაც, რომელიც ტიტან პრომეთეს მიერ ოლიმპოს მთიდან ცეცხლის მოტაცებასა და კაცობრიობისთვის მისი გადაცემის ამბავს მოგვითხრობს. მითის თანახმად, განრისხებულმა ზევსმა პრომეთე დასაჯა და სატანჯველად კავკასიის ქედს მიაჯაჭვა. ცნობილია, მრავალ ელინურ ქალაქში არსებობდა პრომეთეს კულტი, რომლის პატივსაცემად უხსოვარი დროიდან იმართებოდა შეჯიბრება სირბილში, ან თებული ჩირაღდნებით.

ეს ტრადიცია ოლიმპიურ თამაშებშიც დამკვიდრდა, რომლის ორგანიზატორები, გულშემატკივრები და მონაწილეები ღმერთების თაყვანისცემისთვის ოლიმპიის საკურთხეველში ცეცხლს ერთად ანთებდნენ. აი, მსხვერპლშეწირვის რიტუალის შესასრულებლად კი ცეცხლის ანთების პატივი მხოლოდ სირბილში ასპარეზობის გამარჯვებულს ხვდებოდა.

* * *

ოლიმპიური თამაშები მაშინაც წყვობოდა, როდესაც ელადის ძღვეამოსილება შეირყა და ბერძნულ მიწებს რომი დაეპატრონა. 1168 წლის განმავლობაში ოლიმპიაში, ოთხ წელიწადში ერთხელ, მუდმივად იმართებოდა ათლეტთა ასპარეზობა. ანტიკურ ხანაში სულ 293 ოლიმპიადა მოეწყო, ძვ.წ. 776 წლიდან ახ.წ. 394 წლამდე, როცა ქრისტიანობის ცეცხლითა და მახვილით გამაგრცელებულმა რომის იმპერატორმა თეოდესიუს I-მა საგანგებოდ გამოცემული კანონით აკრძალა წარმართული თამაშები.

მოგვიანებით, იმპერატორის შემკვიდრეთა ბრძანებით დაიწყო ასპარეზობისთვის განკუთვნილი მოედნებისა და ნაგებობების ნგრევა. ხოლო ის, რაც ადამიანის ხელს გადაურჩა, 522 და 551 წლებში საბერძნეთის ტერიტორიაზე მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრებმა საბოლოოდ გაასწორა მიწასთან...

ოლიმპიადების გამართვის ტრადიცია მრავალი საუკუნის შემდეგ აღდგა – გადაწყვეტილება 1894 წელს, პარიზში გამართულ საერთაშორისო კონგრესზე მიიღეს, განახლებული თამაშები კი ორი წლის შემდეგ გაიმართა.

გილა უზარიძე

1924 წლის აჯანყების შემდგომი საბჭოთა რეპრესიები

დახვრებილთა და
ბაძცეულთა რეაბილიტაცია...
68 წლის წლის შემდეგ

1924 წლის აჯანყება საქართველოს უახლესი ისტორიის ტრავიკული ფურცელია. თავისუფლებადაკარგულმა ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ აღიმალლა ხმა ძალმომრეობითი რეჟიმის წინააღმდეგ, თუმცა აჯანყებამ ძირითად მიზანს ვერ მიაღწია.

აჯანყების დამარცხების შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ ქართველ ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმართეს: „ქვაქვაზე დაედუღება, სიკვდილის ცელი აღიმართება ყველა იმ შავ-ბნელ ძალების წინააღმდეგ, ვინც მოისურვებს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების შებღალვას“.

სიტყვა საქმედ მალე იქცა, მთელ ქვეყანაში დახვრეტა-დაპატიმრებათა სერიები დაიწყო. აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრებიტეს ისინიც, ვინც ამ აჯანყებამდე რამდენიმე თვით ადრე იყვნენ დაპატიმრებული. მათ შორის: ვალიკო ჯუღელი, ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი, გიორგი (გოგიტა) ფაღავა, ნოე ხომერვიკი, კლიმენტი კალანდარიშვილი, გიორგი ჭკალუა...

აჯანყების მონაწილეებს, მათ თანამდგომებსა და ეჭვმიტანილებს ყოველგვარი გასამართლების გარეშე, ე.წ. სამეული ხვრეტდა. ზესტაფონთან, არგვეთის ხიდის სიახლოვეს ექვსი ვაგონი ჩამოაყენეს, რომლებიც სავეს



ჯერის ჩამოგდება ეკლესიიდან. ქუთაისი, 1923-24 წწ

იყო ჭიათურიდან, საჩხერიდან, შორაპანსა და ახლომახლო მიდამოებიდან თავმოყრილი „ეჭვმიტანილებით“. ჯალათების ცინიზში იქამდეც კი მივიდა, რომ დასახვრეტად განწირულთითო „ბუნანკა“ პური დაურიგეს. რეინიგზის სიახლოვეს წინასწარ გაჭრილ ორმოებთან გამწკრივეს წინა ვაგონებიდან ჩამოყვანილები და იაპონური ტყვიამფრქვევებიდან უკლებლივ ჩაცხრილეს. თავზარდამცემმა დრიალმა და ტყვიამფრქვევების კაკანმა დანარჩენ ვაგონებში გამოკეტილი პატიმრები „საქმის კურსში“ ჩააყენა და მათ გადმოსვლაზე უარი განაცხადეს. ჩეკისტებმა ვაგონებში ასვლა ვერ გაბედეს, არადა თენდებოდა, „ოპერაცია“ კი გათენებამდე უნდა დაესრულებინათ. ასეთ „კრიტიკულ“ სიტუაციაში ქუთაისის ჩეკას თავკაცს, ილარიონ ტალახაძეს „მახვილგონიერება“ აღმოაჩნდა და წინადადება წამოაყენა, ყველანი ვაგონებშივე ჩაეცხრილათ. რა თქმაუნდა, ასეც მოიქცნენ.

ჩაცხრილვის შემდეგ კარები გაადეს და შიგნით მყოფნი, ზოგი მკვდარი და ზოგიც



რუსი წითელარმიელები თბილისში

ცოცხალი, 10-11 მეტრის სიმაღლიდან ორმოში გადაყარეს. ეს ორმო, სიდიდის მიუხედავად, საკმარისი არ აღმოჩნდა და ჩეკისტები იძულებული გახდნენ, ზემოდან ბლომად მიწა დაემატებინათ. ეპიდემიების საწინააღმდეგოდ სასაკლავოს კირი მოაყარეს, ხოლო ორმოსთან დაცვა დააყენეს, რათა ახლობლებს გვაშეგებოდა არ მოეპარათ.

ამ ვანდალურ აქტს ერთ-ერთი რუსი ჯარისკაცი ასე იხსენებდა: „ჯერ ვაგონის ერთი მხარე დაცხრილეთ, შემდეგ კი მეორე მხრიდანაც ვესროლეთ (ქართველმა ჯარისკაცებმა ბრძანება არ შეასრულეს და მწყობრიდან გამოვიდნენ. ამის გამო ყველა მათგანი დააპატიმრეს. — ავტ.). ვაგონებიდან დახვერტილთა სისხლი მდინარესავით მოდიოდა. ეს აქტი რომ სრულდებოდა, მიუღი არემარე ჯარით იყო გარშემორტყმული.

რამდენიმე ხნის შემდეგ ადგილზე გამოცხადნენ სამეულის წევრები, ექიმები და ჩეკას წარმომადგენლები. ვაგონი გააღეს და მეც აყვევი. რაც იქ ვნახე, იმის აღწერა შეუძლებელია. ერთმანეთს გადახვეოდნენ და ისე იყვნენ ჩაცხრილული. დღესაც საშინელი შიშით ვიხსენებ იმ გაუგონარ ტრაგედიას, რომლის წარმოდგენაც კი ძნელია. ასეთი დახვერტები ხშირი იყო ახლომახლო ქალაქებსა და სოფლებში. ბრძანება გვქონდა, თუ გზაზე ვინმე შეგ ხვდებოდა, უნდა დაგვეპატიმ-

რებინა, თუ წინააღმდეგობას გაგვიწევდა, იქვე დაგვეხვერტა.

ამ ოპერაციის შესრულების შემდეგ, ხალხი მკვლელებს გვეძახდა. ამიტომ, ჩვენი ნაწილები სასწრაფოდ დაშალეს და სხვაგან გაგზავნეს. ჩვენს ადგილას კი ჯარის ახალი ნაწილები მოვიდა“.

არგვეთის ხიდთან დასახვერტთა შორის ნინა წერეთელი და იულია გაფრინდაშვილიც იყვნენ. დახვერტის წინ ონის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე სოფრომაძეს მიუღია ენერგიული ზომები მათ გადასარჩენად. ეს ორი ქალი ვაგონიდან ცოცხალ-მკვდარი გადმოყვანიათ. ისინი ორი დღის განმავლობაში გონს არ მოსულან, მიუხედავად იმისა, რომ ექიმები თავს დასტრიალებდნენ.

სამეგრელოში რუსის ჯართან ერთად აჯანყებულთა წინააღმდეგ დაუნდობლად მოქმედებდა ალექსანდრე (საშა) გვეგჭკორი. რუსი ჯარისკაცები არ ინდობდნენ მოხუცებს, ბავშვებს, დავრდომილებს, ყრუ-მუნჯებს. ერთი ჭადრის ქვეშ დიდი სამარე... გათხარეს და დახვერტილები შიგ ჩაყარეს. შემდეგ ამ ჭადრის ზეზე ერთ-ერთი დახვერტილის დეიდა ჩამოიხრჩო თავი. ზუგდიდში დახვერტილებს მიწა ოდნავ მიაყარეს და სხვების „დასაგლეჯად“ წავიდნენ. ერთ-ერთი გამოფხიზლდა, საფლავიდან ამოფოფხდა და თავი გლეხს შეაფარა. სულ მალე თმა თოვლივით გაუთუთრდა და ჭკუ-

აზე შეირყა. სენაკელი ბოლშევიკების ლიდერი ლაერენტი დავითაია თავის მოხსენებით ბარათში აცხადებდა, თითოეულ კომუნისტს გვწყუროდა, ღვინოსავით გვესვა აჯანყებულთა სისხლიო.

თვითმხილველ ჯვებე ხანდრავას მონათხრობით, დაბა მარტვილში, მდინარე აბაშის ნაპირთან, რამდენიმე ათეულ კაცს გაათხრევენეს გრძელი ორმო, ჩაცხრილეს და მიწა წაყარეს. დახვრეტილთა შორის იყვნენ მისი ახლო ნათესალები, მამა-შვილი ანჯაფარაძეები, რომელთა გვამები იმავე ღამით მალულად ამოთხარა და დაღუპულთა ეზოში გადაასვენა. ასევე, თვითმხილველ ოლღა ქარჩავას მონაცემებით, დატყვევებულთა ნაწილი წაიყვანეს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ სარაქონთან, მდინარე ჩელალის სანაპიროსთან და იქ გაათხრევენეს საკუთარი საფლაკები.

რემონ დიუგე (ფრანგი პოლკოვნიკი, პუბლიცისტი, რომელმაც პარიზში გამოსცა წიგნი „მოსკოვი და წამებული საქართველო“) იხსენებდა: „სოფელ ბანძაში ჩეკისტთა მიერ განსაზღვრულ დასახვრეტთ 15 კაცი დააკლდა. რაღაც უნდა დასჯდომოდათ, ეს 15 კაცი უნდა მოექებნათ! ასეც მოიქცნენ. ახლო სოფლებში მოაგროვეს და ყველას ერთად მოუსპეს სიცოცხლე“.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია სია, რომლის მიხედვითაც, აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით ჩეკას მიერ დახვრეტილთა რაოდენობა ასეთია: თბილისი — 230 კაცი, სიღნაღის მაზრა — 60, თელავის მაზრა — 30, სართიჭალის რაიონი — 49, ბორჩალოს მაზრა — 19, დუშეთის მაზრა — 7, გორის მაზრა — 128, შორაპნის მაზრა — 106, ქუთაისის მაზრა — 90, რაჭის მაზრა — 4, ოზურგეთის მაზრა — 7, ზუგდიდის მაზრა — 40, სენაკის მაზრა — 171, ფოთის რაიონი — 8, ცაგერის მაზრა — 49, აფხაზეთი — 12, აჭარა — 25. თუმცა არქივში დაცული სხვა დოკუმენტებით დასტურდება, რომ ეს სია არ არის სრული. მაგალითად, აჭარაში სინამდვილეში დახვრეტიეს 34 კაცი, მათ შორის 26 წლის ადამიანი მაქსიმეს ასული გორდელაძე, შორაპნის მაზრაში კი 171 კაცი დახვრეტიეს და სხვ.

სამურზაყანოში ჩეკისტმა თეოფანე შარიამ 32 პატიმარი ციხიდან გამოიყვანა დასახვრეტად. ორი მათგანი გზაში გაიქცა. შარია დაბრუნდა უკან ციხეში, გააღებინა ერთ-ერთი საკნის კარი, გამოიყვანა პირველივე ტუსადი და დახვრიტა.



ლაერენტი ბერია



სერგო ორჯონიკიძე

ერთი, შემდეგში ცნობილი ვაიმეცნიერი თურმე არც მალავდა და სიამაფითაც კი ყვებოდა, როგორ გაუპო თავი ნაჯახით თავად ვაჩნადის პატარა შვილს აკვანში.

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში ბოლშევიკებმა ადგილობრივ ჩეკას 25 კაცის დახვრეტა უბრძანეს. აჯანყების მონაწილეები უკვე აღარ იყვნენ სოფელში, მაგრამ 25 კაცის დახვრეტა გადაწყვეტილი იყო!..

სერგო ორჯონიკიძე ომანიანად აცხადებდა, — ვაჟა-ფშაველასაც დახვრეტდით, ცოცხალი რომ იყოსო. ასეთი იყო მათი მორალი.

არც 70 წელს მიტანებული მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა დაინდეს, რომელიც აჯანყებისას ციხეში იჯდა. მანამდე კი ქუთაისში, არქიელის გორაზე სახლ-კარი ჩამოართვეს და ჯანდაცვის განყოფილებას გადასცეს. ჩეკას სამი ჯალათი პროფესორ კორნელი კეკელიძის ბინას ეწვია ღვინის №46-ში. პროფესო-

რის 18 წლის ვაჟი ლიოსკა და მისი ექვსი მეგობარი მომხდურთ არ შეუშინდნენ: „ბინაში შესვლისთანავე ჩეკისტებს მივარდნენ, ჯერ სცემეს და შემდეგ მეორე სართულის აივნისგან გადაყარეს, თვითონ კი გაქცეულან“ — ვკითხულობთ თბილისის მაშინდელი მილიციის პირველი რაიონის უფროსის, მჭავანაძის ჩვენებაში. თუმცა ჩეკისტებისგან თავის დაღწევა ხანმოკლე აღმოჩნდა, „დამნაშავენი“ მალევე დააპატიმრეს და დახვრიტეს. კორნელი კეკელიძე აიძულეს, საჯარო განცხადება გაეკეთებინა, რომ მისი შვილის დახვრეტა საესეებით სამართლიანი იყო...

ლადო ჯორჯაძის შვილი ალექსანდრე ჩეკაში მუშაობდა, როცა მამამისი დასახვრეტად გაიყვანეს. ითხოვა შვილმა მამის სიცოცხლე. მაშინ ჩეკისტმა ჯაფარიძემ მას საკუთარი მამის დახვრეტა უბრძანა. ალექსანდრემ იძრო იარაღი და ჯაფარიძე სიცოცხლეს გამოასალმა. ალექსანდრე ჯორჯაძე იქვე აკუწეს, ყველა პატიმარი გამოიყვანეს და უკლებლივ ჩახოცეს. ივანე მაჩაბლის შვილი, ნიკოლოზიც (ნიკუშა) იმ დღეებს ემსხვერპლა.

ხალხოსანი მწერლისა და პედაგოგის, ზაქარია გულისაშვილის ვაჟი, სამხედრო მოსამსახურე ელზბარაც დახვრიტეს. ასევე გაწირეს კრიტიკოს კიტა აბაშიძის შვილი, თბილისის უნი-

ვერსიტეტის სტუდენტი გიორგი. სპირიდონ კედიას მეუღლე სოფიო ჩიჯავაძე-კედია ასე იგონებდა: „გია იყო დედით ორბელიანი, ჩემი საყვარელი მოსწავლე, რომლის შესახებ ჯალათი ამბობდა: ეს გველის წლოკვი ვერ გატუტეო“.

თბილისში აჯანყების მონაწილეთა საძმო სასაფლაოები რამდენიმე ადგილას იყო. ერთ-ერთი ასეთი წყაროს ქუჩაზე მდებარეობდა, რომელზეც პოეტი ტერენტი გრანელი შემოფოთებით ამბობდა: „ისეთი რბილი იყო მიწა, ფეხები შიგ მუფლობოდა. ფეხქვეშ ადამიანის სისხლის სუნი მცემდა...“

გამხეცებული ჩეკისტები ოდნავ ეჭვიბიანობისა და აპატიმრებდნენ. ასეთებით კი საესე იყო მთელი საქართველო. დააპატიმრეს და ჩეკას სპეციალურ იზოლირებულ საკანში მოათავსეს აბასთუმანში დასასვენებლად მყოფი ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელი სერგი დანელია, დაპატიმრებას ვერ გადაურჩა ქართული ეთნოგრაფიის მამამთავარი გიორგი ჩიტაია, რომელიც ზარზმის ეკლესიაში ახალადმოჩენილ წარწერაზე მუშაობდა. „ადგილობრივ სამეულს („ტროიკას“) რაიკომის მდივნის, ჩეკასა და აღმასკომის თავმჯდომარეების შემადგენლობით ყოველდღამ განაჩენი გამოჰქონდა და სისრულეში მოჰყავდა“, — იხსენებდა გიორგი ჩიტაია.

ქართველი წითელარმიელები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ზევსურეთის 1922 წლის ამბოხებისა და 1924 წლის ეროვნული აჯანყების სისხლში ჩაზნობაში. პირველ რიგში, მარჯვნიდან მეშვიდე ლეიტენანტი კონსტანტინე ლესელიძე





ჩეკას ჯურღმულში აღმოჩნდნენ ნოე ჟორდანიას დედა და ქალიშვილი ასმათი. კონსტანტინე გამსახურდიას სახლში ააკითხეს და შინ არ დაუხვდათ. მწერალმა გადაწყვიტა, ჩეკაში თვითონ გამოცხადებულიყო. მართალია, იგი დააპატიმრეს, მაგრამ ციხეები ისე იყო გადატენილი, რომ ვერსად მოათავსეს. ბოლოს ადგილი მეტეხის ციხეში „გამოძებნეს“, სადაც მწერალს დახვდნენ „ლეო ქიაჩელი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, ილიკო მახარაძე, მიხეილ საყვარელიძე და საქართველოს კათალიკოსი ამბროსი, გენერალი წულუკიძე, ძმები შალვა და სამსონ დადიანები“. კონსტანტინე გამსახურდია „ლანდებთან ლაციცში“ მეტეხის ციხეში გატარებულ პერიოდს ასე იგონებდა: „ჩვენ მთელი დამეები არ გვეძინა, რადგან დახვრეტას მოველოდით. ახალმოყვანილ პატიმრებს ამბავი მოჰქონდა ტფილისსა და მთელს საქართველოში დამდგარ სისხლის წვიმების გამო. არც ერთი ჩვენგანი არ ნატრობდა გადარჩენას... ჩვენ მოთმინებით ვუცდიდით სიკვდილს, ვმღეროდით და ნარდს ვთამაშობდით. მე შევადგინე ჰუმორისტული კედლის გაზეთი, ამ გზით ვაცინებდი ჩემს მეგობრებს...“

1924 წლის აგვისტო-სექტემბრის დღეებში როგორ ბეწვზე ეკიდა ნებისმიერი ადამი-

ნის სიცოცხლე, კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდანაც: აგვისტოს ცხელ დღეებში დავით კლდიაშვილი თავის შვილთან, სერგოსთან ერთად შინისკენ გაემგზავრა ოჯახის წევრების ამბის გასაგებად. სვირის სადგურთან ვიღაც თოფიანმა იყვირა: „ა, ბიჭებო, თავისი ფეხით გვეახლა ნაპოლკოვნიკარი და ნააზნაურები კაცი! შეუკარით ამათ ხელეები!“ სტაცეს მამა-შვილს ხელი და სხვა დასახვრეტად გამზადებულ, გაკოჭილ ტყვეებთან ხელშეკრული დაყარეს. კლდიაშვილები ვინმე ქუთაისელმა პროვიზორმა ჩხეიძემ გადაარჩინა, რომელიც მწერალს იცნობდა. სამწუხაროდ, დანარჩენ ტყვეებს არავინ გამოქომაგებია და ისინი ზესტაფონში რკინიგზის ვაგონებში ჩაცხრილეს.

დაპატიმრებულთა შორის იყო აგრეთვე წარსულში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი, შემდეგში ცნობილი მეცნიერი და მწერალი ნიკო კეცხოველი.

გალაკტიონმა სათანადოდ ასახა აგვისტოს სისხლიანი დღეები თავის ლექსში „მოგონებანი იმ დღეებისა, როცა იელვა“:

*„მთელი სამი დღე გაგრძელდა სროლა.
სისხლიც ათავდა,
ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა
მწარედ გათავდა.“*



ვაგონი, რომელშიც ბოლშევიკებმა 1924 წელს აჯანყებაში ეჭვმიტანილები დახვრიტეს (რესტავრირებული. ოკუპაციის მუზეუმის ექსპოზიცია)

დაჭრილი, მკვდარი, მრავალი მსხვერპლი მსხვერპლს ეფარება, სახლების ნაცვლად ნაცარი, ფერფლი, მგლოვიარება.

გამარჯვებულნი სასტიკი ხელით აღრჩობენ ტყვეებს.

ჰკაფავენ, ხვრეტენ, ხალხის სახელით უსპობენ დღევებს...“

ცხადია, სიმართლის ხმაძალდა თქმას პოეტს არავინ აპატიებდა და ისიც ჩეკას ჯურღმულში აღმოჩნდა.

აგვისტო-სექტემბრის ავბედით დღეებში დახვრეტილთა ზუსტი რაოდენობა დღესაც უცნობია. სერგო ორჯონიკიძე 1924 წლის ოქტომბრის საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აცხადებდა: „მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს. იქნებ ცოტა გადავაჭარბეთ, მაგრამ ამას ახლა რალა ეშველება“. პროფესორი ერის ობსტი, რომელიც 1924 წლის შემოდგომაზე თბილისში იმყოფებოდა, აჯანყების ჩახშობის შექმნილ ვითარებას შემდეგნაირად აღწერდა: „...ბევრი დედაკაცი მიმოდოდა შავ სამოსელში ჩაცმული და მათი სახე მძიმე, მძიმე მწუხარებას ამჟღავნებდა. მამაკაცთა შორის შავი ნიშანი ჩვეულებრივი იყო, მაგრამ ისინი ამ გლოვის ნიშანს ატარებდნენ დიდი სიფრთხილით: ეშინოდათ, ამით საეჭვო პირად არ ჩამოვალონო.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ოჯახი, რომ წევრი არ დაჰკლებოდეს და გლოვაში არ ყოფილიყოს“.

სისხლიანმა რეჟიმმა აჯანყება სისხლში ჩაახშო, მაგრამ ქართველი ხალხის სოლიდარობა აჯანყების მეთაურებისადმი მაინც ვერ მოსპო. ხალხმა პირველად „ბრძოლის ველიდან დაჭრილები გაიტაცა. სახლებში, ბედლებში, სასიმინდე-ნალიებში, ტყეებში საიმედო ალაგას გადაძალა. კარაბადინის მცოდნე გამოცდილი დედაკაცები, მოტყეილისა და ჭრილობების სოფლის მკურნალი ბაჭიაშვილის, თურმანიძე-არობელიძის მიერ დაზრდილი ვაჟკაცები საიდუმლოთ მოდიოდნენ, ჭრილობებს მაგარი არაყით ბანდენ, ბალახ-მცენარით შეზავებულ მალამოს ადებდნენ, ტყეით გახვრეტილ ალაგას ზეთში ამოვლებულ ლერწამ-კანაფის გულს ჩირქის სადენ მილათ უკეთებდნენ; ადუღებულ წყალში ზეწარ პირსახოცებს დუღვრიდნენ, არაყში ავლებდნენ და მით ჭრილობებს უხვევდნენ“.

ქართველი ხალხის ამგვარი მხარდაჭერით მოახერხეს პირსისხლიანებს სასწაულებრივ გადარჩენილმა პატრიოტებმა თურქეთში, მოგვიანებით კი საფრანგეთში გადასვლა. მათი ფიზიკურად გადარჩენა აღვივებდა ხალხში დარჩენილ მცირედ ნაპერწკალს, რომ დღეს თუ არა ზვალ მაინც მოხერხდებოდა მორიგი ბრძოლის ორგანიზება და ბოლშევიკების კლანჭებიდან საქართველოს გამოხსნა...


საქართველოს სახელმწიფო საბჭომ 1992 წლის 25 მაისის დეკრეტით ისტორიული სამართლიანობა აღადგინა და 1921-1924 წლებში რეპრესირებულთა რეაბილიტაცია მოახდინა.

ლევან ჯიძია

მიხეილ ყულოშვილი ჰერეთის გმირი

საინფორმაციო
მოწყობის
აღსრულებული სამსახური
პირი წიგნისად შერაცხეს

ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ, მიხეილ ყულოშვილმა თავისი შეგნებული ცხოვრება ჰერეთის კეთილდღეობასა და ქვეყნის ინტერესებს შესწირა. მისი გმირობისა და თავდადების ფაქტები ფართო საზოგადოებისთვის, პრაქტიკულად, უცნობია, თუმცა მისი ხსოვნა ჰერებში დღემდე შემორჩენილია.



რეგიონში რელიგიური ქაოსის დროს, როცა ისლამის პროპაგანდა მთელი სისასტიკით აღესრულებოდა, განგებამ უნუგეშო, გამოფიტულ საზოგადოებას მხსნელად პატიოსნებისა და წესიერების განსახიერება, მიხეილ ყულოშვილი მოუვლინა. იგი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში სიკეთეს თესდა და ღრმად სწამდა, რომ ხსნისა და გადარჩენის გზა რწმენის ერთგულებაზე გადიოდა.

სასულიერო პირს ჰქონდა შესანიშნავი განათლება და საუბრობდა რამდენიმე ენაზე. საეკლესიო მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას. მედიცინის მცოდნე ღვთისმსახური თანაბარი წარმატებით კურნავდა სულიერ და ფიზიკურ სნეულებას. იგი თავისივე სახსრებს ახმარდა ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების სარესტავრაციო სამუშაოებს.

სწავლთა მკურნალი და გაჭირვებულთა შემწე მოძღვარი 1917 წლის შემოდგომაზე ფანატიკოსმა მუსლიმანებმა წამებით მოკლეს. რწმენისა და ქვეყნის ერთგულებას შეეწირა ღირსეული მამულიშვილი და საუკუნო დიდების შარავანდედით შეიმოსა. თავის მხრივ, მადლიერმა შთამომავლობამ არ დაივიწყა მისი

თავდადება. წლეულს 5 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მღვდელი მიხეილ ყულოშვილი წმინდანად შერაცხა. და ეწოდა მას წმინდა მღვდელმოწამე მიხეილ ყულოშვილი.

მიხეილ ყულოშვილი 1825 წელს დაიბადა კახში, რაფაელ და საბედო ყულოშვილების ოჯახში. საზოგადო მოღვაწე მოსე ჯანაშვილი აღნიშნავდა, რომ სარწმუნოების დევნის პერიოდში კუთხის რელიგიური რელიკვიების მოვლა-პატრონობაზე მიხეილის პაპა და ბებია ზრუნავდნენ. მათვე გადაურჩენიათ „ხუციანთ ოთხთავი“ და სხვა საეკლესიო ნივთები. პაპა — აბელ ყულოშვილი და ბებია — დარეჯან ხუციშვილი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ რეგიონში. გადმოცემის მიხედვით, ერთხელ შვილთან ერთად ქურმუხის საყდარში მიმავალი დარეჯანი მუსლიმანებმა შეამჩნიეს და მოურავ ვახუჩიშვილთან დაასმინეს. ამ ოჯახისადმი დიდი მოკრძალების გამო, დამბეზღებელი სანიმუშოდ დასჯილათ. მოურავს უთქვამს: — კარგად ვიცი, რომ დარეჯანი „ხუციანთ ოთხთავის“ კერიდანაა და ქურმუხში ლოცულობს.

მიხეილ ყულოშვილის ბიოგრაფიული



ქურმუხის ეკლესია. კახის რაიონი, აზერბაიჯანი

მონაცემები უჩვეულო და საინტერესოა. თავდაპირველად, მოლად მსახურობდა ისტორიულ რეგიონში. მოგვიანებით, მისი ცხოვრება, რელიგიური მრწამსი მთლიანად შეიცვალა და 1857 წლის 17 აგვისტოს ქრისტიანად მოინათლა.

ადრეულ ასაკში შეისწავლა წერა-კითხვა, მშობლიური ენის გარდა საუბრობდა და კითხულობდა აზერბაიჯანულ, უდიურ, სომხურ და რუსულ ენებზე. ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“. დიდა მისი როლი და დამსახურება კუთხის საგანმანათლებლო საქმეებში. 1858 წელს საკუთარი სახსრებით, შენობის უქონლობის გამო, ჰერეთში, თავისავე სახლში პირველი სამრევლო ორკლასიანი სკოლა გახსნა. 1865-1870 წლებში სრულიად უსასყიდლოდ ასწავლიდა ხელმოკლე ოჯახის შვილებს. მისი მოსწავლე იყო მოსე ჯანაშვილი, რომელიც მშობლებმა 1865 წელს მიაბარეს კახის ახალგაზსნოდ სამრევლო სკოლაში. აქვე აღსანიშნავია, რომ მიხეილ ყულოშვილის შვილის, ასევე მღვდლის, ნიკოლოზის მეუღლე — სოფიო კონჭოშვილი-ყულოშვილი პირველი იყო, ვინც საინგილოში 1896 წელს ქალთა საეკლესიო-სამრევლო სკოლა დააარსა, ადგილობრივი მოსახლეობა კარდაკარ ჩამოიარა და დაშინებული ოჯახებიდან გოგონები გა-

ნათლების მისაღებად გამოიყვანა. ამ გაბედული ნაბიჯით ინგილო ქალს სიამაყე და გამბედაობა კვლავ დაუბრუნა. სკოლის შენობის ნანგრევები წმინდა გიორგის სახელობის მოქმედი ეკლესიის ეზოში დღესაც შემორჩენილა.

სასულიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობის გარდა, მიხეილ ყულოშვილი მისდევდა პუბლიცისტურ საქმიანობას. იგი ქართულ პერიოდულ გამოცემებში აქვეყნებდა ნაშრომებს ფსევდონიმით „ჰერეთელი“.

მიხეილი, როგორც მედიცინის უბადლო მცოდნე, ექიმის მოვალეობასაც ითავსებდა. უძლურნი, შეჭირვებული სნეულები სასოებით მიდიოდნენ მასთან და ისიც უსასყიდლოდ ემარებოდა ყველას.

მიხეილ ყულოშვილი მსახურობდა ბელაქანში დიაკვნობისას, შემდეგ პერიოდულად მარსანსა და კაკში. იგი 1870 წელს მღვდლად აკურთხეს. აი, როგორ ახასიათებს მოსე ჯანაშვილი პატრიცემულ მღვდელს: „მეტის-მეტად მშრომელი კაცია, მხნე, ლამაზად მწირველი, მშვენივრად მგალობელი, თავმდაბალი და კარგი მქადაგებელი“.

თანასოფლელთა ქომაგი, მრჩეველი, ავადმყოფთა შემწე და მკურნალი მღვდელი კუთხეში დიდი სიყვარულით სარგებლობდა. უანგარო, თავდადებული საქმიანობით ხალხის

დიდი სიყვარული დაიმსახურა. მოსწავლეები მოძღვრისგან სწავლობდნენ სამშობლოს სიყვარულს, ქვეყნისა და კუთხის ისტორიას.

განადგურების პირას მისული ხუროთმოძღვრული ძეგლების გადარჩენის მიზნით, მიხეილ ყულოშვილი დიდ მუშაობას სწევდა ისტორიულ ჰერეთში. 1912 წელს მან ადადგინა კასრის ეკლესიის ნანგრევების საფუძველზე არჩილ მეფის მიერ 718 წელს აგებული სამების საყდარი და შემდგომში ბევრი ქრისტიანული ძეგლი ჰერეთში. სამწუხაროდ, დღეს აქ კასრის ეკლესიის ნანგრევებიღაა შემორჩენილი.

XX საუკუნის დასაწყისში კავკასიაში პოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბა. რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ, რომელსაც იმპერიის ნგრევა მოჰყვა, ხელსაყრელი პირობები შექმნა დაპყრობილი ერების თვითგანსაზღვრისთვის. ამ ისტორიულ მოვლენას ჰერეთის მრავალეთნიკური საზოგადოება დიდი ზარ-ზეიმით შეხვდა. წესით, თავისუფლებას მშვიდობა უნდა მოეტანა, თუმცა ჰერეთის ტერიტორიაზე პროცესები უმართავი გახდა. ასე ნანატრი თავისუფლება რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირების ინსტრუმენტი შეიქნა. პირველ მსოფლიო ომში თურქეთის გაძლიერებამ კავკასიაში პანიისლამისტური ძალები გაააქტიურა. მუსლიმანთა ძალმომრეობამ რეგიონში ქრისტიანობასა და ქართველობას საგრძნობი საფრთხე შეუქმნა. ნელ-ნელა წყდებოდა კავშირი დედასამშობლოსთან. სამწუხაროდ, წესრიგის აღდგენას ვერ უზრუნველყოფდა სამხარეო ხელისუფლების ორგანოები. ხშირად შეხვდებოდათ პრესის ფურცლებზე ჰერეთში მცხოვრებ ქართველთა დანაწევრებით ნათქვამს, საინგილოში, საყოველთაო განუკითხაობის პირობებში, ღმერთმაც დაგვივიწყა და ქართველებმაცო.

ამდენად, პოლიტიკური არასტაბილურობის დროს ჰერეთის ტერიტორიაზე რელიგიური ქაოსი სუფევდა. ისტორიულ ვითარებაში უკეთ გასარკვევად საინტერესოა საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს მიმართვა (1917 წლის ნოემბრის) ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრ ივანე ჩხენკელის მისამართით, რომლის სრულ ვერსიას პირველად წინამდებარე საჟურნალო სტატიაში ვაქვეყნებთ:

„მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის განკარგულე-

ბით, საკათალიკოსო საბჭოს კანცელარია მოვალეობად თვლის მოგახსენოთ, რომ დღეს მიღებულია სასწრაფო სატელეგრაფო შეტყობინება მისი უწმინდესობის სახელზე სოფელ კახიდან, შესახებ აღმამფოთებელი და უკიდურესად საგანგაშო გარემოებებისა ზაქათალის ოკრუგში. ადგილობრივი მკვიდრი ხუციშვილი გვატყობინებს შემდეგს: „ოკრუგის 100 000 მოსახლეობიდან 8000 ქართველი ქრისტიანია. მუსლიმანების მასა ზეწოლას ახდენს ქრისტიანებზე, მოითხოვს მათგან გამუსლიმანებას, მარცვავენ და კლავენ მეთაურებს. უკვალოდ გაქრა მღვდელი ყულოშვილი. ოკრუგში ქრისტიანობა დიდ ხიფათშია. საჭიროა დახმარება, რომელსაც თქვენგან ვითხოვთ“.

იმ დღესვე მიტროპოლიტმა ლეონიდემ მიიღო სხვა ტელეგრამა შემდეგი შინაარსისა: „მამა მიხეილ ყულოშვილი გაქრა უკვალოდ: 1 ნოემბერს გამოვიდა თასმალოდან. იგი უნახავთ მარსანში. სამძებრო ღონისძიებებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. გთხოვთ თანამშრომლობას კათოლიკოსისა და თქვენსას, რომ აღმოჩენილი (გარკვეულ) იქნას ნამდვილი და აღმამფოთებელი ბოროტმოქმედება. სოფიო ყულოშვილი“.

აღნიშნული ტელეგრაამების შინაარსი არ ბადებს არავითარ ეჭვს იმაში, რომ ზაქათა-

კახის წმინდა ვიორგის ეკლესია





მიხეილ ყულოშვილის საფლავი კახში

ლის ოკრუგში მოქმედებენ ბნელი ძალები, რომლის გამოსვლები უბედურებას უქადის მოსახლეობის ერთ ნაწილს, ქართველ ქრისტიანებს.

აღნიშნულის მოხსენებიდან თქვენთან შეხვედრამდე, როგორც მხარეში სამთავრობო ხელისუფლების ორგანოს ყველაზე დიდ წევრთან, ვფიქრობ, რომ ამიერკავკასიის განსაკუთრე-

ქართველ მოღვაწეთა პანთეონი კახის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში



ბული კომიტეტი არ დააყოვნებს მიიღოს ყველა შესაძლო ზომები, რომ დაიცვას რელიგიური სინდისი, სიცოცხლე და ქონება ზაქათაღის ოკრუგის ქართველ ქრისტიანთა“.

როგორც წერილობითი მიმართვიდან ირკვევა, რელიგიური ნიშნით ხდებოდა ჰერეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი ქრისტიანების დევნა-შევიწროება. ამ განუკითხაობის მსხვერპლი გახდა მიხეილ ყულოშვილი. ზემოთ მოყვანილ წერილში ლაპარაკია სასულიერო პირის გაუჩინარების ფაქტზე. ყველამ კარგად იცოდა, რომ მამა მიხეილის მკვლელობა რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება იყო, ვინაიდან იგი დიდად ილაშქრებდა მანკიერ ტრადიციათა წინააღმდეგ და ხელს უშლიდა მოსახლეობის ძალით გამუსლიმების პროცესს.

თავდაპირველად, მხცოვან მღვდელს მოლები მიუგზავნეს, ქრისტიანული სარწმუნოების დაგმობა, ეკლესიიდან განდგომა და მეტიც, ისლამის მიღება უბრძანეს. მოძღვარი აცნობიერებდა, რომ მისი საქციელი მაგალითის მიძემი იქნებოდა თანამომკვებთსთვის და სასტიკი უარით გაისტუმრა მომხდურები. პირიქით, უფრო მეტს აკეთებდა კუთხეში ქრისტიანობის გასაძლიერებლად, მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის სათავეში მოსული მუსავატელების პარტიის შიშით, მრევლმა შემციირება დაიწყო.

ფაქტია, რომ შეთქმულებმა გვემა „A“ ვერ განახორციელეს, ხოლო გვემა „B“ მის ფიზიკურ განადგურებას ითვალისწინებდა.



მეუფე მელქისედეკი ლოცვას აღავლენს კახის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში, სადაც დაკრძალულია მიხეილ ყულოშვილი

1917 წლის გვიან შემოდგომაზე, წირვის დასრულების შემდეგ სოფელ მარსანიდან დაბრუნებისას მიხეილს ახლობლის ავადმყოფობით შეწუხებული მუსლიმანი გადაუდგა და დასახმარებლად გაყოლა სთხოვა. რასაკვირველია, გაჭირვებულს მღვდელი გაჰყვა. ავადმყოფის ნაცვლად მიხეილ მღვდელს მუსავატელები დახვდნენ და გამაჰმადიანება მოსთხოვეს. მოძალადეებმა მოძღვრისგან თანხმობის მიღება წამებით გადაწყვიტეს. ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული მოხუცი განსაცდელს მომზადებული შეხვდა და სიძულვილით დაბრმავებულ ბრბოს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „აღამიანის ბოლო მაინც სიკვდილია. მაშ, მომკალით წმინდა სამების გულისთვის. სიკვდილის შიშითაც არ მივიღებ თქვენს სარწმუნოებას“. შეთქმულებმა, როდესაც მიზანს ვერ მიაღწიეს, დაუმორჩილებელ მოძღვარს პირჯვრის გადაწერა არ აცალეს და თავი მოჰკვეთეს. სამძებრო ღონისძიებათა შედეგად ადგილობრივებმა მღვდელმოწამის ნაწამებ გვამს ტყეში მიაგნეს. შთამომავლობამ მიხეილ ყულოშვილი წმინდა გიორგის სახელობის მოქმედი ეკლესიის ეზოში მდებარე საინგილოს მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალა.

ისტორია მართლაც მეტად დამთრგუნველია. ჰერეთში ისლამის პროპაგანდა ტერორის გზით ხორციელდებოდა. ამ ფონზე, სულიერი შეჭირვების დროს ღვთის განგებით

ერში გამოიზარდა ისეთი აღამიანი, რომელიც თავისი გმირობითა და მოწამებრივი აღსასრულით სულიერი სიმტკიცის მიმცემაში გახდა რწმენაში მერყევი საზოგადოებისთვის. გადაირჩინე საკუთარი თავი და შენს ირგვლივ ათასეულები გადარჩებიან. სწორედ ამ პრინციპით მოქმედებდა მღვდელი მიხეილ ყულოშვილი, როდესაც არ უარყო ქრისტიანობა და ქრისტეს სახელისთვის, ქვეყნის ერთობის იდეისთვის მოწამებრივად აღესრულა.

ყურადსაღებია მოსე ჯანაშვილისეული შეფასება: „ჭეშმარიტს მღვდელს უყვარს ერი და ერსაც უყვარს თავისი კეთილი მწყემსი. ნეტარ არს კაცი, რომელიც შეყვარებით შეიყვარების“.

მიხეილ ყულოშვილის, როგორც ჰერეთის მღვდელმოწამის წმინდანად აღიარების საკითხს საქართველოს საპატრიარქოში ადგილობრივთა ინიციატივით წლების განმავლობაში განიხილავენ. მიმდინარე წლის 5 ივლისს ჰერეთისა და ხორნაბუჯის ეპისკოპოსის მელქისედეკის წარდგინებით, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, მღვდელი მიხეილ ყულოშვილი წმინდანად შეირაცხა და ეწოდა წმინდა მღვდელმოწამე მიხეილ ყულოშვილი, ხოლო მღვდელმოწამის ხსენების დღედ 5 ივლისი დადგინდა.

ომკროპირ ჯიჰური

საგანგებოდ დავიწყებული ამაჰი

ივანე
მუხრანბატონი,
აბრეთვე მისი
ბანტიქმული
ღვინო, ძველ
დიდებას
იბრუნებს...



ივანე მუხრანბატონი

ამ წერილის დაწერის სურვილი მაშინ გამიჩნდა, როცა საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა, ბ-ნმა გიორგი კალანდია ინსტიტუტის ფონდებში შენახული ერთი ნახატის შესახებ მომითხრო. მასზე გამოსახულია ივანე მუხრანსკის ცნობილი შეხვედრა მსახიობ ვასო აბაშიძესთან, რომელიც თავადთან თეატრის დასახმარებელი ფულის სათხოვნელად იყო მისული.

თანაც, არ მირჩია ტილოს ნახვა, — არ მოგეწონება, მუხრანბატონი ამ ნახატზე საკმაოდ უსიამოვნოდ გამოიყურებაო.

ნახატის შექმნის თარიღით დავინტერესდები, თუმცა წინაწარ ვიცოდი, იგი საბჭოურ წლებში საგანგებო თუ არა, „ეპოქის დაფალებით“ მინც იქნებოდა შესრულებული.

გინახავთ ივანე მუხრანბატონის რეალური სურათი? შეიძლება ითქვას, არაფერი აქვს განსაკუთრებული, თუმცა ახალგაზრდობაშიც მხნედ გამოიყურება და სიბერეშიც არ დაუკარგავს ლაზათი.

მთავარია, საიდან შეხედავ და რა მიზნით.

მაშინ „უკუღმა“ სურდათ დანახვა და სხვებისთვისაც დანახვა. არც არის გასაკვირი, რადგან იმ ეპოქაში თვალი და განსაკუთრებით, ბაგრატიონი, არ უნდა ყოფილიყო ლაზაზი, მართალი და ჭკვიანი კაცი.

ახლანდელი გვოცებს და გვტკივა, თორემ იმათ რას ვერჩით?! „პატიოსნად“ ასრულებდნენ დაფალებას.

წლებულს 200 წელიწადი შესრულდა ამ დიდი ქართველი მოღვაწის დაბადებიდან.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოებისთვის ახლაც უცნობია ეს თარიღი. ასევე სამწუხაროდ, ეს არ არის ერთეული შემთხვევა, როცა ამაგდარი წინაპრის შესახებ ან არაფერი ვიცით, ან იმავე საზოგადოებას არასწორად ჰყავს წარმოდგენილი.

ეს რომ ჩემი აკვიატებული აზრი არ არის, ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს ცნობილი ქართველი მოღვაწის, ალექსანდრე ორბელიანის (პაპულიას) სიტყვები, რომლითაც იგი ივანე მუხრანბატონს ახასიათებს:

„იმის შორს დამნახობა, იმის მალე მიხვედრა საქმისა, იმის დაუღალაუი ცდა საქმეში, იმისი დამტკიცებითი და საამო უბნობა, იმისი მხიარული დარბაისლობა, იმისი მართებული თანასწორე ქცევა, იმისი ძლიერი მოთმინება გაჭირვებულს საქმეში უთუოდ შესრულება საქმისა, ხოლო გამორკვეულის კარგის ანგარიშით და დასასრულ, იმისი ბევრი კარგი თვისება, ანუ ხასიათი, ამაებით წარჩინებულ კაცად ითქმის თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკი“.

და ეს მხოლოდ ერთი ავტორის აზრი არ გახლავთ.

რაც შეეხება ილიას დამოკიდებულებას მუხრანბატონისადმი, კი, იყო მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა, ცნობილ „გამოცანებშიც“ აღმოჩნდა, როგორც მამათა თაობის წარმომადგენელი, ილიასგან „შემკობილი“, მაგრამ ეს მხოლოდ დამატულ ურთიერთობებზე როდი მეტყველებს. ამას რამდენიმე საგანგებოდ მიჩქმალული ფაქტიც ადასტურებს.

მუხრანბატონის მიმართ, ისევე როგორც ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლების მიმართ, მართალია, აგრესია ადრევე ჩაისახა, მაგრამ საბჭოთა დროში მაქსიმალური გაქანება მიეცა. დაიწყო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დადებითი მხარეების მიჩქმალვა და ყურადღების გამახვილება მხოლოდ უარყოფითზე.

სამწუხაროდ, საბჭოური იდეოლოგიური მანქანის მიერ საფუძველჩაყრილი ეს ტენდენცია იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ მშვენივრად მოახერხა, ბევრი მოვლენისა თუ პიროვნებისთვის შეეცვალა ადგილი და ისტორიაში არასწორი ინტერპრეტაციით დაემკვიდრებინა. ასე იქცნენ სახალხო გმირებად

ვაჭარ-ხელოსნები, კინტო-ყარაჩოხელები, ხოლო ანტიგმირებად, ფუქსავატ და ლაჩარ მოღალატეებად — ქართული არისტოკრატის წარმომადგენლები, გაჩნდნენ ხალხთა მასებით „დაკომპლექტებული“ უბატონო სოფლები და რეგიონები, ყოჩაღ-ყაჩაღი გლეხები და სხვანი, რომლებიც უყოყმანოდ მიიღო და შეიყვარა საზოგადოებამ. ანტიგმირებად ნაქცევი ფეოდალები კი, რომელთა ზურგზე, გონებაზე, შრომაზე, ბრძოლაზე, პირად თუ ოჯახურ მსხვერპლზეც კი რეალურად განულო ქვეყანამ ავბედითი საუკუნეები, დღესაც ელიან თავიანთი დამსახურების ღირსი ადგილის დაბრუნებას ერის აწმყოსა თუ მომავალში.

მათ შორისაა ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი, რომლის სახელსაც ისევე გადაეყარა ჯერ ტალახი და შემდეგ მტვერი, როგორც მის ოდესღაც ბრწყინვალე სასახლესა და მეურნეობას. თანაც ისე, რომ ბევრი მკვლევრისთვისაც კი მხოლოდ ეს ტალახი და მტვერია შესამჩნევი და არა მის ქვეშ მოქცეული სინამდვილე.

ილია ჭავჭავაძე და ივანე მუხრანბატონი





თავდაზნაურთა მარშალი ივანე მუხრანბატონი (მეორე რიგში მარცხნიდან მეხუთე) ქართველ არისტოკრატთა წარმომადგენლებთან

კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ მათ შორის არაფერი დილეტანტები, პროფესიონალებიც ხვდებიან. ამაზე მეტად სამწუხარო კი ის არის, რომ ამათში ზოგჯერ ისეთი კომპეტენტური მკვლევრებიც ექცევიან, რომელთა აზრს პატვის სცემს და ითვალისწინებს საზოგადოება.

მაგალითად მომეყვს გელა საითიძის გაზეთ „24 საათში“ (2010 წ.). გამოქვეყნებული ინტერვიუ სათაურით: „ვის უწოდებდა ნიკოლოზ პირველი „ჩემს ცელქს“ და არის თუ არა ეს „ცელქი“ მაიკო ორბელიანის უბედურების ინიციატორი“. ამ წერილში ლაპარაკია, როგორ მიჰკვარეს „ღამის ნობათად“ 1837 წლის ოქტომბერში საქართველოში სტუმრად მყოფ იმპერატორს სილამაზითა და გონიერებით აღსავსე ახალგაზრდა მაიკო ორბელიანი. ავტორი არ იმოწმებს წყაროს, თუმცა ამას არც

აქვს ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა. სულაც არ გამოერიცხავთ, ეს წყარო არსებობდეს, მეტიც, ერთგვარ ნაღმდაც იქცეს სამომავლოდ, როცა რომელიმე გაბედული მკვლევარი იპოვის და აამოქმედებს, როგორც უტყუარ ისტორიულ მასალას. მაგრამ არის კი ეს მასალა რეალური და უტყუარი?

ბატონი გელა ინტერვიუში ივანე მუხრანბატონის დაბადების თარიღად 1812-ის ნაცვლად 1809 წელს უთითებს. რეალურად, იმპერატორის საქართველოში სტუმრობისას იგი სულ 25 წლისაა. საეჭვოა, რომ 25 წლის ჭაბუკი, რომელსაც იმ დროისთვის არანაირი თანამდებობა არ გააჩნია (სავარაუდოდ, ის ამ დროს საერთოდც პეტერბურგში, პაჟთა კორპუსშია) და პრაპორშჩიკის ჩინიც კი არ აქვს, ისე დაახლოებული იყოს უმაღლეს ხელისუფ-



ლებასთან, რომ ქალებს ურჩევდეს და ლოგინში უწვევდეს თვით რუსეთის იმპერატორს(!).

არასწორია ბატონი გელას განცხადება (და ეს არა მხოლოდ მისი აზრია), როცა ამბობს, რომ ივანე სწორედ იმ ხანებში აირჩიეს თბილისის გუბერნიის თავდაზნაურთა მარშლად. იგი ამ თანამდებობაზე დაინიშნა არა XIX საუკუნის 30-იან წლებში, არამედ 1885 წელს, 73 წლის ასაკში და გუბერნიის თავდაზნაურობასაც არა 27, არამედ ექვს წელიწადს ხელმძღვანელობდა, რაზეც 1895 წლის 14 მარტის გაზეთი „ივერია“ წერდა: „1885 წელს (ივანე მუხრანბატონი) ამორჩეულ იქმნა ტფილისის გუბერნიის თავდაზნაურობის მარშლად. ამ თანამდებობაში მან დაპყრო ექვსი წელიწადი და მხნედ ემსახურებოდა როგორც კერძოდ თავდაზნაურობას, ისე ერსაც“.

აღნიშნულ ინტერვიუს ძალიან „მოუხდებოდა“ 1940 წელს ვინმე მოზდოკელის ჩანაწერების დამოწმება, რომლის მიხედვით ივანე ისევე წარმოდგენილი, როგორც ეს ბატონ ავტორს სურს დაანახოს მკითხველს და როგორც მოწოდებული იყო ამისკენ საბჭოური იდეოლოგია.

მოზდოკელის მიხედვით, ივანე არა მარტო სუტენიორი, არამედ მკვლელი და მძარცველიცაა. თავადს, რომელსაც სიმდიდრითა და მამულებით საქართველოში ორიოდ კაცი თუ გაუტოლდებოდა, თურმე შეირადებული ბანდა ჰყავდა თბილისში, რომლის წევრებსაც აფრთხილებდა, — თქვენი ჭირიმე, ფრთხილად იყავით, ემანდ პოლიციის ხელში არ ჩაუარდეთ, არ დამღუპოთო.

იმავე ჩანაწერებით, მის ვაჟს, კონსტანტინე ივანეს ძეს თურმე ბანქოში გაუნიავებია მამულები. და ეს ქება კაცს, რომელთანაც პირადი მეგობრობა აკავშირებდა ილია ჭავჭავაძეს, არტურ ლაისტს, ექვთიმე თაყაიშვილსა და სხვებს, რომლის გარდაცვალებაც უნივერსიტეტის მშენებლობის საქმის კატასტროფის ტოლფასად მიაჩნდა მაშინდელ საზოგადოებას.

რეალურად, ივანე მუხრანბატონი ერთ-ერთი უკანასკნელი და საუკეთესო წარმომადგენელი და გამგრძელებელია ბაგრატიონთა იმ შტოსი, რომელიც დიდი ქართველი მეფე ვახტანგ VI-ის, წმინდა დედოფალ ქეთევანის, ვახუშტი ბაგრატიონისა და სხვათა სახელებითა და საქმეებითაა გამყარებული.

იგი გახლდათ ერეკლე II-ის სიძისა და სახლთუხუცესის, ცნობილი დიპლომატის, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის, ივანე მუხრანბატონის შვილიშვილი. მამამისის, კონსტანტინეს, არცთუ შარაგანდვდით მოსილი სახელი, სამწუხაროდ, მართლაც მხოლოდ რუსულ საქმეთა კუთხით ჩაიწერა ერის ისტორიაში.

ივანეს პაპისგან ამ სახელით ბევრი არაფერი რეგებია, თუმცა შემდგომში თავისი მიზანსწრაფულობით, დაუღალავი შრომისმოყვარეობითა და ბროლის-უნარიანობით შეძლო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთ ცნობილ და სახელმოხვეჭილ მეურნეთა და მოღვაწეთა რიგებში აღმოჩენილიყო.

ამის მიუხედავად, ბევრ მკვლევარსა თუ ავტორს ავიწყდება იმის აღნიშვნა, რომ დასავლეთ საქართველოს სამხედრო გუბერნატორი, ქართველ თავდაზნაურთა წინამძღოლი, იმპერიასა და მის გარეთ ცნობილი დიდი თვალი ივანე მუხრანბატონი, იმავდროულად ქარ-



მუხრანბატონის სასახლე XIX საუკუნის მიწურულს, სოფელ მუხრანში. შიმო ბაბაშვილის ფოტო

თველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, ათობით სამეურნეო სკოლის დამაარსებელი, უცხოური მანქანა-იარაღების შემომტანი და გამავრცელებელი, პირველი ბანკის დამფუძნებელი იყო. ხელს უწყობდა და აფინანსებდა ქართული გაზეთების, ქართული თეატრის საქმიანობას. ვაჟიშვილთან, კონსტანტინესთან ერთად უდიდესი ღვაწლი შეიტანა მომავალი ქართული უნივერსიტეტის საფუძვლის ჩაყრაში, რომელიც რამდენიმე მოსაზრებით მისსავე კუთვნილ მიწაზეა აგებული. მამა-შვილმა შეუწყვეს ხელი უმუშევრად დარჩენილი ექვთიმე თაყაიშვილის დასაქმებას, პირველი ქართული რკინიგზის გაყვანას, ყაზბეგის საფლავზე მწერლის ბიუსტის დადგმას, უცხოეთში სასწავლებლად ქართველი ახალგაზრდების გაგზავნას და სხვ.

ივანე აქტიურად მონაწილეობდა ბატონყმობის გაუქმების პროექტის დამუშავებაში, რაშიც ილია ჭავჭავაძისგან განსხვავებული, მაგრამ დასაბუთებული (და არა კომუნისტ იდეოლოგთა მიერ მოღალატურად გამოცხადებული) მოსაზრება გააჩნდა.

უპირველესი, რაც მან გააკეთა, დამოუკიდებლობადაკარგული ქვეყნის მსოფლიოში კვლავ გამოჩენისთვის გადადგმული ნაბიჯები იყო, რაც მისი მხრიდან ქართული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობით გამოიხატებოდა.

სწორედ მუხრანში, მის მამაპაპულ მამულში დაყენებულმა უნიკალურმა ღვინოებმა და „შამპანურმა“ დაიმსახურეს მანამდე არნახული ჯილდოები მრავალ საერთაშორისო გამოფენაზე. ამ ღვინოებით უმასპინძლდე-

სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები



ბოდნენ საიმპერატორო კარის მაღალი რანგის სტუმრებს. მუხრანბატონის ღვინოს შეხვდებოდათ რუსეთის, ბალტიისპირეთის, პოლონეთის, ავსტრიის, საფრანგეთისა და თვით შორეული აშშ-ის დიდი ქალაქების ფეშენებელურ მაღაზიებსა და რესტორნებში, სადაც ისინი კონკურენციას უწევდნენ ბურგუნდიისა და რენის ღვინოებს.

ამ ღვინით ინტერესდებოდნენ დიდი მულტიმილიონერები, როგორც მაგალითად როტშილდი, ამ ღვინოს ქართველი მეწარმისთვის უზარმაზარი მოგება მოჰქონდა, რომლის საკმაო ნაწილი ზემოთ ნახსენებ საქველმოქმედო თუ ეროვნულ საქმეებს ხმარდებოდა. მისივე უნიკალურ მარნებში ჩამოისხა ბოთლში პირველი ქართული „შამპანური“, რომელმაც ყველაგან მოულოდნელად 1886 წელს პარიზში გამართულ მეღვინეობის მსოფლიო გამოფენაზე დიდი ოქროს მედალი მოიპოვა.

რუსეთის იმპერიაში უნიკალურად მიიჩნეოდა მუხრანბატონის სასახლის სარდაფში მოწყობილი ცნობილი ღვინის სარდაფები, რომელიც ერთ ჰექტრამდე ფართობს მოიცავდა. ფეშენებელურ სასახლეში (რომელსაც მუხრანის თვალს უწოდებდნენ) და მის ბაღში იმ დროის მოწინავე საზოგადოებას შეხვდებოდათ. აქ ეწყობოდა ოფიციალური და არაოფიციალური შეხვედრები, მეჯლისები, კონცერტები, წარმოდგენები, რომელშიც მთელი ქართული ბოჰემი იყო ჩართული.

გადმოცემით, სასახლის წინ მოწყობილი შადრევნიდან განსაკუთრებული სტუმრების გასამასპინძლებლად მუხრანული „შამპანური“ ამოიფრქვეოდა.

სოფელს მუხრანბატონის დიდი ზარის ხმა აღვიძებდა, რომელიც სამუშაოდ იწვევდა მის უზარმაზარ მეურნეობაში დასაქმებულ ორასზე მეტ კაცს, რომლებიც აქ ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე წმინდა კაპიტალისტური, დაქირავებული შრომის წესით მუშაობდნენ.

XIX საუკუნის 90-იან წლების მეორე ნახევარში მთელი საქართველოს ზვრებში გაჩენილმა ვაზის დაუდებებმა გაკოტრების პირას მიიყვანა მუხრანბატონის მეურნეობა. ივანეს მეძვედრე კონსტანტინე იძულებული გახდა გაეყვინა მამული და სასახლე, რომელიც საბჭოთა პერიოდში დიდი ილიას მკვლელის, გიგლა ბერბიჭაშვილის კანტორად იქცა, საბჭოურ წლებში კი აქ ჯერ საბჭოთა მეურნეობამ,



მუხრანბატონთა სასახლის მარნში შემონახული ქვევრები



პარიზის 1886 წლის გამოფენაზე „მუხრანულის“ მიერ აღებული ოქროს მედალი

შემდეგ „შამპანკომბინატმა“, მოგვიანებით კი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა დაიღობინა. XX საუკუნის მიწურულს აქაურობას გვარდიის შტაბი დაეპატრონა.

ერთ დროს აყვავებული მეურნეობა, სარდაფები და ბაღი განადგურების გზაზე დადგა. გაიტანეს უნიკალური ავეჯი და ნივთები. მუხრანბატონის სასახლე და მამული კარგა ხანს ისევე უიმედოდ ელოდა პატრონს, როგორც თვითონ მისი ამშენებელი. დღეს ივანე მუხრანბატონის კულტურულ და სამეურნეო მემკვიდრეობას სამეღვინეო კომპანია „შატო მუხრანი“ განაგრძობს. მთლიანად აღდგენილია სავენახე მეურნეობა, სადაც მსოფლიოში აღიარებული ბრენდი, მუხრანბატონის ღვინო იწარმოება. აღდგენილია სახელი, რომელიც ისე როგორც საუკუნის წინათ, მსოფლიო გამოფენების აღიარებებითაც გამოიხატა. ამ ყველაფრით ჩვენი საზოგადოების წინაშე სწორედ დიდი ქართველი მოღვაწე, ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი წარდგება.

აპაკი გელაშვილი

როგორ აღმოჩნდა X საუკუნის ქართული მონეტები ბალტიისპირეთში

მსოფლიოს საეკონომიკური VIII საუკუნემდე ურთიერთმოქმედება, მძლავრ სახელმწიფოთა შორის იყოფოდა. არაბთა დაპყრობითი ლაშქრობების შედეგად წარმოქმნილმა იმპერიამ (ხალიფატმა) ეს გზები გააერთიანა, რომლებმაც მანამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია. იმ ეპოქაში საერთაშორისო საქონელბრუნვა აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის შორის შეუჩერებლად ვითარდებოდა. ეს პროცესი საქართველოშიც შესამჩნევია გახდა. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მსოფლიოს ცალკეულ ქვეყანაში აღმოჩენილი მონეტების საგანძურთა გეოგრაფია.



დავით III კურაპალატი (ოშკის ბარელიეფი)

არაბთაგან დაპყრობილ ცალკეულ ქვეყნებში მოჭრილი ფულადი ერთეული — დირჰემი, აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებს შორის დამყარებული საეკონომიკური ურთიერთობის შედეგად, გავრცელდა დასავლეთი და ჩრდილოეთი ევროპის ტერიტორიაზე, მათ შორის ბალტიისპირეთშიც, სადაც ხსენებული ტიპის მონეტების განძის აღმოჩენა საკმაოდ გახშირდა.

აღსანიშნავია, რომ ამ საგანძურში გვხვდება საქართველოში მოჭრილი მონეტებიც. ასეთი აღმოჩენები გაკეთდა კავკასიიდან გეოგრაფიული თვალსაზრისით დაშორებულ ევროპის ისეთ რეგიონებში, როგორიცაა, მაგალითად, ბალტიის ზღვის სანაპირო ქვეყნები, ასევე მინსკის (ბელორუსია), ტულისა და კურსკის (რუსეთის ფედერაცია) მიდამოები.

ლატვიის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მიერ 1936-1937 წლებში, რიგასთან მდებარე სალასპილს-ლაუკსკოლას დასახლებაში არქეოლოგიური გათხრებისას ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის მონეტები არაბული წარწერით. როგორც გაირკვა, ეს მონეტები — ქუფური დირჰემებია. მათგან ერთი მოჭრილია თბილისში და თარიღდება ჰიჯრით 363 წლით ანუ 973-974 წლებით. მას აქვს ყუნწი, ანუ გადაკეთებულია გულსაკიდად, ქალის სამშვენისად.

ლატვიის ეროვნული ისტორიის მუზეუმში დაცული ამ მონეტის არსებობის შესახებ ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ ჩვენ მიერ 2009 წელს გამოქვეყნებული სტატიით შეიტყო.

ცნობილია, რომ X საუკუნის შუა ხანები-

დან თბილისში დირჰემი იჭრებოდა ჯაფარიანთა დინასტიის წარმომადგენლის, ამირა ჯაფარ იბნ მანსურის სახელით. აქვე უნდა ითქვას, რომ ხსენებული პერსონის სახელი მოიხსენიება არაბთა ხალიფის სახელის გვერდით, რაც მიგვანიშნებს თბილისის იმდროინდელ ამირათა ფაქტობრივ დამოუკიდებლობაზე. ამ მონეტების შუბლზე (ავერსზე) არაბულ ენაზე ამოკვეთილია მათი მოჭრის ადგილი: „იჭვედა ესე დირჰემი თბილისში“.

X-XI საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური პროგრესი მონეტების განვითარებაშიც აისახა. ხსენებულ პერიოდში, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის, ტაო-კლარჯეთის (ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში) მფლობელმა, ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის წარმომადგენელმა, ქართველთა მეფემ (994 წლიდან) დავით III კურაპალატმა (მეფობდა X საუკუნის მეორე ნახევარში, გარდაიცვალა 1001 წელს) მოჭრა თბილისის ჯაფარიან ამირათა არაბული ტიპის მონეტისგან სრულიად განსხვავებული ვერცხლის დრამა. მასზე აღბეჭდილია ჭეშმარიტი ჯვრის („ძელი ცხორებისა“) გამოსახულება და ქართული წარწერა: „ქრისტე, შეიწყალე დავით კურაპალატი“.

მართალია, აღნიშნული მონეტის მხოლოდ ოთხი ეგზემპლარია ცნობილი, მაგრამ, როგორც ჩანს, ის ჩართული უნდა ყოფილიყო საერთაშორისო მიმოქცევაში. ასეთი ვარაუდის საფუძვლად მკვლევარნი მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ ოთხივე მათგანი ნაპოვნია საქართველოდან ძალიან შორს — ჩრდილოეთ გერმანიაში, რუსეთში, ბალტიისპირეთსა და შვედეთში.

1910 წელს რუსი მკვლევარი ევგენი პახომოვი წერდა: „დღემდე ნაპოვნია ამ იშვიათი მონეტის მხოლოდ სამი ეგზემპლარი, ყველა მათგანი — საქართველოსგან ძალიან შორს. ერთ-ერთი მონეტა აღმოჩნდა განძში, რომელიც 1859 წელს მეკლენბურგ-შვერინში, შვანთან იპოვეს. მან შვერინის მუზეუმში დაიდო ბინა. მეორე — 1878 წელს გათხრებისას აღმოაჩინეს ოლონეცის გუბერნიაში, ლოდეინოე პოლესთან. ის ჯერ ი.ბ. ივერსენის კოლექციაში მოხვდა, ხოლო იქიდან — ერმიტაჟში. მესამე მონეტა, ა.კ. მარკოვის ცნობით, იმ განძში იყო, რომელიც 1900-იან წლებში იპოვეს ლიფლანდიის გუბერნიაში, დასახლება ვოლიას მახლობლად. შემდეგ ის გაქრა და ცოტა ხნის შემდეგ ერთი ჰამბურგელი ვაჭრის ხელთ

აღმოჩნდა, რომელმაც, როგორც ჩანს, ბერლინის მუზეუმს მიჰყიდა“.

1859 წელს ქალაქ შვანთან აღმოჩენილი დავით III კურაპალატის დრამის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებამ მალევე შეიტყო. ეს იყო ამ ტიპის მონეტის აღმოჩენის პირველი ფაქტი.

ოლონეცკის გუბერნიაში დავით III კურაპალატის დრამა აღმოჩნდა XI საუკუნის ვერცხლის მონეტების დიდ განძში, რომლის საერთო რაოდენობაც 2600 ცალს (საერთო წონა — 3,4 კილოგრამი) აღემატებოდა. ეს ამ ტიპის მონეტის აღმოჩენის მეორე ფაქტი გახლდათ. ამას სათანადო ყურადღება მიაქცია რუსეთის იმპერიის იმდროინდელმა სამეცნიერო საზოგადოებამ, ხოლო ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილების მთავარმა მკვლელმა იულიუს ივერსენმა მას თავის მოხსენებაში საგანგებო ადგილი დაუთმო.

ასე რომ, საქართველოს ტერიტორიაზე მოჭრილი ორივე ზემოხსენებული მონეტა: 1. თბილისის ამირა ჯაფარ იბნ მანსურის დირჰემი (973-974 წწ.) და 2. ტაო-კლარჯეთის მფლობელ დავით III კურაპალატის დრამა (მოჭრილია X საუკუნის მეორე ნახევრიდან XI საუკუნის დასაწყისამდე) ნაპოვნია ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე. პირველი მათგანი აღმოჩენილია 1936-1937 წლებში, რიგის ერთ-ერთ რაიონში მდებარე სალასპილს-ლაუკსკოლას დასახლებაში, ხოლო მეორე — XX



ჯეფრისი



რევერსი

დავით III
კურაპალატის
(†1001 წ.)
დრამა.
ვერცხლი.
3,05 გ
24 მმ

საუკუნის დასაწყისში, ლიფლანდიის გუბერნიაში, კოლიას დასახლების მახლობლად.

საგულისხმოა, რომ საქართველოში მოჭრილი ორივე ეს მონეტა აღმოჩენილია ლიფლანდიის ტერიტორიაზე, რომლის ძირითადი ნაწილიც ამჟამად ლატვიის რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის.

ის ფაქტი, რომ X-XI საუკუნეებში საქართველოში მოჭრილი ზემოხსენებული ვერცხლის მონეტები აღმოჩენილია როგორც ბალტიისპირეთის, ასევე ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნების: გერმანიის, შვედეთისა და რუსეთის ტერიტორიაზე, გვაფიქრებინებს, რომ ამ მონეტების ერთი ნაწილი შესაძლებელია იქ მოხვედრილიყო არაბთა მეშვეობით, ხოლო მეორე ნაწილი — სრულიად სხვა გზით.

ისმის კითხვა: გარდა არაბებისა, კიდევ ვის შეეძლო ამ ქართული მონეტების ჩრდილოეთის ქვეყნებში ჩატანა?

XI საუკუნით დათარიღებული ქართული საისტორიო თხზულების, „მატიანე ქართლისაის“ ცნობით, საქართველოში ჩამოვიდნენ „ვარანგნი სამი ათასი კაცი“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ ვარანგები იყვნენ სკანდინავიური წარმოშობის მეომრები, კერძოდ, ვიკინგები (ნორმანები), რომლებიც XI საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში ჩამოვიდნენ.

არსებობს ვარაუდი, რომ „მატიანე ქართლისაისში“ აღწერილი მოვლენა უნდა უკავშირდებოდეს ისლანდიურ საგაში მოთხრობილ მოგზაურ ინგვარის თავგადასავალს („საგა ინგვარის შესახებ“). ამავე მოსაზრების მიხედვით, საქართველოში ჩამოსული ვიკინგები იყვნენ ის სკანდინავიელი მეომრები, რომლებიც 1043 წელს, რუსთა ჯარის კონსტან-

ტინოპოლზე გალაშქრებისას, ბიზანტიელებს ტყვედ ჩაუვარდნენ. 1046 წელს ბიზანტიელებმა ტყვე ვიკინგები გაათავისუფლეს, რის შემდეგაც მათი ერთი ნაწილი ქართველი მეფის მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა.

ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ 1046 წლის ზაფხულში, ერთიანი საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის მოწვევით, ვიკინგები საქართველოში ჩამოვიდნენ. ისინი, განსაზღვრული საზღაურის სანაცვლოდ, მეფის ჯარის შემადგენლობაში ჩაირიცხნენ და მონაწილეობა მიიღეს განდგომილი ფეოდალის — ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგ სასირეთთან მომხდარ ბრძოლაში.

საგულისხმოა, რომ 1045 წელს კონსტანტინოპოლიდან შავი ზღვის გავლით სამშობლოში მიემურებოდა ნორვეგიის მომავალი კონუნგი, იმხანად კი ბედის ძაძიებული ტახტის მემკვიდრე ჰაროლდ ჰარდრადე, რომლის შესახებაც ცნობები შემონახულია ისლანდიურ საგებში. ამ ცნობაზე დაყრდნობით, პროფესორები ნათელა ვაჩნაძე და გიორგი ჭეიშვილი ვარაუდობენ, რომ სასირეთის ბრძოლაში სხვა ვიკინგებთან ერთად მონაწილეობდა ჰაროლდიც თავისი რაზმითურთ.

ზემოთ აღნიშნული ბრძოლის შემდეგ, რომელშიც ლიპარიტ ბაღვაშმა გაიმარჯვა, ვიკინგი მეომრები ტყვედ ჩაცვიფდნენ.

სომხურ საისტორიო წყაროებში დაცულ ცნობებზე დაყრდნობით, ისტორიკოსი სამველ მარქარიანი მიიჩნევს, რომ ლიპარიტ ბაღვაშმა, სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ, დატყვევებული ვიკინგები მიიმხრო, რომლებსაც საკუთარი მიზნებისთვის ერთხანს წარმატებით იყენებდა. იგი წერს, რომ ვიკინგები საკმაოდ ერთგულად ემსახურნენ ლიპარიტს უკანასკნე-



სალასპილს-ლაუკსკოლაში აღმოჩენილი თბილისური დირჰემი (973-974 წწ.)

ისტორიის საიდუმლოებაებით მოცული ყველაზე საინტერესო ფაქტები!

თვეში ერთხელ
„ჩვირის პალიტრასთან“ ერთად



წიგნების ახალი სერია
10 ზოგად

გაიგე, რის შესახებ
დუმს ისტორია!
მხოლოდ ის, რაც
ბაღებს შეჰითხვას...

წიგნის
სპეციალური ფასი
9 ლარი
გაზეთთან ერთად
10 ლარი

20-დან
27 აბონიტომდე

შემდეგ წიგნები:

სამხრეთი ამერიკა



შეისწავლე კასოზრიოზის
ისტორიის უდიდესი საიდუმლოებანი!



ვიკინგი მეომრები კონსტანტინოპოლში (XI საუკუნე)

ლი ჯარისკაცის ჩათვლით, როგორც ეს აღწერილი აქვთ სხვა სომეხ ისტორიკოსებს და არც უფიქრიათ საკუთარი თავის გადარჩენაზე. ამიტომაც იყო, რომ 30 ხომალდიდან მხოლოდ ერთი გადარჩა, რომელიც 30-40 მეომარს იტევდა. აღნიშნული 700 ვიკინგიდან მხოლოდ ეს რაოდენობა დაბრუნდა სამშობლოში, როგორც ამას აღნიშნავს „საგა ინგვარის შესახებ“. გადარჩენილი ხომალდის სათავეში იდგა... ინგვარის ერთ-ერთი თანამებრძოლი, რომელიც ისლანდიაში გადაიხვეწა და იქ უამბობდა სკალდეებს თავის ვერსიას ინგვარის „შორეული, აღმოსავლური“ ლაშქრობის შესახებ. სკალდების მეორე თაობის შეთხზული ამბავი XII საუკუნის ბოლოს — XIII საუკუნის დასაწყისში საფუძვლად დაედო ინგვარის შესახებ საგის ლათინურ ტექსტს, საიდანაც ბერმა ოდ სნორანსონმა საგის საკუთარი ვერსია ჩაწერა.

ასე რომ, ვიკინგ მეომართა ერთმა ნაწილმა საქართველო დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ ჩრდილოეთის ქვეყნებსა და მათ შორის ბალტიისპირეთში აღმოჩენილი ქართული მონეტების ნაწილი იქ მოხვდა 1046 წელს საქართველოში მყოფი ვი-

კინგი მეომრების მეშვეობით, რომლებმაც ქართველი დამქირაველებისგან გასამრჯელოდ მიიღეს ადგილობრივი ვერცხლის მონეტები. როგორც ჩანს, ამ მეომართა ნაწილი, საქართველოდან წასვლის შემდეგ, ჩრდილოეთის მიმართულებით გაემშურა. ამ ვარაუდს ის ფაქტიც ამყარებს, რომ ევროპის ჩრდილოეთში ნაპოვნი ქართული მონეტები სასირეთის ბრძოლაშიც მოჭრილი.

უნდა ითქვას, რომ სკანდინავიელებს დიდი გავლენა ჰქონდათ მათ მეზობლად მდებარე ჩრდილოეთის ქვეყნებზე და მათ შორის, ბალტიისპირეთზეც. ამის თაობაზე საყურადღებოა ბრიტანელ მკვლევარ ჯონს გვინის მოსაზრება, რომელიც აღნიშნავს: „ყველა დოკუმენტური და არქეოლოგიური მასალა აშკარად მიგვანიშნებს სკანდინავიურ გავლენაზე აღმოსავლეთი ბალტიისპირეთის ლატვიურ, ლიტვიურ და სლავურ მიწებზე“.

X-XI საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე მოჭრილი მონეტების ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე აღმოჩენა ნათლად ადასტურებს, რომ ამ რეგიონთან კავშირი საქართველოს ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინ ჰქონდა.

ნაპოლეონის პოლონური სიყვარული – მარია ვალევსკა

ნაპოლეონ ბონაპარტი და მარია ვალევსკა ერთმანეთს 1807 წლის 1-ელ იანვარს შეხვდნენ პატარა ქალაქ ბლონიში ვარშავის ახლოს. ნაპოლეონი ეტლით ვარშავისკენ მიემართებოდა და პატარა ქალაქის სადგურთან შეჩერდა. პოლონელთა დიდი ჯგუფი ეტლს შემოეხვია, რათა იმპერატორს მისალმებოდნენ. მარია ვალევსკა გენერალ დუროს სთხოვდა, წარედგინათ იმ ადამიანისთვის, ვისაც რუსეთის, აუსტრიისა და პრუსიის მიერ დაპყრობილ-დანაწილებული პოლონეთის გამათავისუფლებლად მიიჩნევენ. მარია ლაჩინსკა 1786 წელს დაიბადა არისტოკრატიულ ოჯახში. ვარშავის სამონასტრო სკოლაში მისი ერთ-ერთი მასწავლებელი ფრედერიკ შოპენის მამა მიკოლაი შოპენი იყო. კიერნოზიას საგვარეულო სახლში დაბრუნებული მარია 1805 წელს ცოლად გაჰყვა გრაფ ატენასიუმ კოლონა-ვალევსკის. მათ ვაჟი შეეძინათ. მარიასა და გრაფ ვალევსკის სურდათ, მათ შვილს თავისუფალ პოლონეთში ეცხოვრა.



ნაპოლეონის სკულპტურა ვარშავაში

„ხმები იმპერატორის ჩამოსვლის შესახებ ძლიერდებოდა. ყველას ყურადღება ამ დიადი ადამიანისა და იმ კრიზისისკენ იყო მიპყრობილი, რომელსაც, როგორც ვიმედოვნებდით, ის პოლონეთის სასარგებლოდ მოაგვარებდა. ყველას სურდა გამოეხატა გრძნობები ნაპოლეონისადმი, პოლონეთის მსხველდ რომ მიიჩნევენ. ჩემს ბიძაშვილთან ერთად წავედი, რათა გზაზე დაეხვედროდი. ამ ნაბიჯმა მთელი ჩემი ბედი განსაზღვრა. მისალმების შეძახილების შემდეგ, სიჩუმე რომ ჩამოვარდა, მაღალი რანგის ფრანგ ოფიცერს დაუძახე, ნება მომეცით, ერთი წუთით შეხვდეთ-მეთქი“, —

წერს მარია თავის მეშუარეობში. გენერალ დუროს წინ ცისფერთვალემა სიფრიფანა ქერა ქალი იდგა. „მან ღიმილით ჩამჭიდა ხელი და იმპერატორის კარეტის კართან მიმიყვანა. იმპერატორი ფანჯარასთან იჯდა და ოფიცერმა ჩემი თავი წარუდგინა“.

ნაპოლეონმა ქუდი მოიხადა, მისკენ დაიხარა და რაღაც უთხრა, მაგრამ მარიამ მისი ნათქვამი ვერ გაიგონა, ისე დღეაუდა. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს ქვეყანაში, სიტყვები უძღურია თქვენი პიროვნებით ალტაცებისა და იმ სიხარულის გამოსახატავად, რასაც განვიცდით იმის გამო, რომ ფეხი დად-



*მარია
ლაჩინსკა*



*მარია
ვალევსკა*

გით ჩვენს მამა-პაპათა მიწაზე, რომელიც თქვენგან ხსნას ელისო, უთხრა მარიამ ნაპოლეონს. ნაპოლეონი ყურადღებით აკვირდებოდა, მერე ყვაილების თაიგული აიღო, ეტლში რომ იდო, მარიას მისცა და უთხრა, შეინახეთ ნიშნად ჩემი კეთილგანწყობისა, იმედი მაქვს, ვარშავაში კიდევ შევხვდებით და მე მადლობის სიტყვებს მოვისმენ თქვენს მშვენიერ ბაგეთაგანო. „კარეტა სწრაფად დაიძრა, მაგრამ დიდი ნაპოლეონი კიდევ კარგა ხანს მიქნევდა ქუდს“, — იგონებს მარია ვალევსკა. „გაუნძრევლად ვიდექი და თვალს არ ვაშორებდი კარეტას, სანამ თვალს არ მიეფარა. ვფიქრობდი, ნუთუ მართლა ველაპარაკე დიდ ნაპოლეონს, რომელმაც ეს სამახსოვრო მომცა, ასე რომ აღმაეცხებოდა იმედით და ყველა სიმდიდრეზე ძვირფასია ჩემთვის? ვარშავაში საზეიმო განწყობილება სუფევდა. ეროვნული ღირსების ნაპერწკალი მოგიზგიზე კოცონად იქცა. გვეგონა, პოლონეთში ყოფნით ნაპოლეონმა უკვე გაათავისუფლა ჩვენი სამშობლო. მე კი, ბედნიერი იმით, რომ სხვებზე ადრე მოვიხადე ჩემი პატრიოტული ვალი და ერთი წუთით მაინც მივიპყარი მისი ყურადღება და სანუკვარი აღთქმა მივიღე, მარტო ვტკბებოდი გამარჯვებით“.

მარიამ გადაწყვიტა, არავისთვის გაემხილა იმპერატორთან შეხვედრის ამბავი. მაგრამ ერთ დღეს მას პრინცი იუზეფ პონიატოვსკი, მეფე სტანისლავ აუგუსტ პონიატოვსკის ძმისშვილი, ეწვია, ღიმილით უთხრა, რომ ყველაფერი იცოდა და მეჯლისზე მიიწვია, რომელ-



*ლაჩინსკების საგვარეულო სასახლე
კიერნოზიაში*



მარიას პირველი
შეზვედრა
ნაპოლეონთან

საც იმპერატორის პატივსაცემად მართავდა ვარშავაში.

პრინცი პონიატოვსკი თან ახლდა ნაპოლეონს რუსეთის კამპანიის დროს და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მეფე ალექსანდრე I-მა მას ამნისტია შესთავაზა. მოსკოვის წარუმატებელი კამპანიის შემდეგ პონიატოვსკი სასწრაფოდ შეუდგა პოლონური ჯარის ხელახლა ჩამოყალიბებას, მაგრამ რუსეთის არმია უკვე ვარშავას მიაღწა. პონიატოვსკიმ ჯარი ვარშავიდან გაიყვანა და კრაკოვში გაჩერდა. რუსეთის არმია ახლა კრაკოვს მიუახლოვდა. პონიატოვსკი ბოჰემიაში გადავიდა, ბოლოს კი ოცდაორიათასიანი ჯარით შეუერთდა ნაპოლეონს. პოლონურ ჯარში იბრძოდა მარიას ძმა ბენედიქტ ლაჩინსკიც. პოლონელებმა რამდენიმე წარმატებული ბრძოლა გადაიხადეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა კავალერია პონიატოვსკის მეთაურობით. ლაიფციგთან გამოჩენილი მამაცობისთვის პონიატოვსკის იმპერიის მარშლის წოდება მიენიჭა. სწორედ მას მიანდეს ნაპოლეონის უკანდახეული არმიის დამცავი ფარის საპასუხისმგებლო მისია. არეულობის გამო ფრანგებმა ხიდი მანამ ააფეთქეს, სანამ პონიატოვსკი ხიდზე გადავიდოდა.

მტერს ხელში რომ არ ჩაგარდნოდა, დაჭრილმა მარშალმა მდინარეში გადახტომა ამჯობინა, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. პრინცი პონიატოვსკი კრაკოვის ვაგელის სასახლის პანთეონშია დაკრძალული. გადასახლებაში მყოფი ნაპოლეონი ამბობდა: „პონი-



ნაპოლეონ ბონაპარტი



ნაპოლეონი

მარია



ატოვსკი პოლონეთის ნამდვილი მეფე იყო, მას ამისთვის ყველა ღირსება ჰქონდა. ეს იყო კეთილშობილი და მამაცი ადამიანი. რუსული კამპანია რომ გამომსვლოდა, მე მას პოლონელთა მეფედ გავხდიდი“.

ვარშავაში ნაპოლეონმა მოითხოვა, ის ქალი წარედგინათ მისთვის, ბლონისთან რომ შეხვდა. დადგინდა, რომ ეს ქალი მარია ვალევსკა იყო. მარიას არ უნდოდა მეჯლისზე წასვლა, მაგრამ პოლონელმა არისტოკრატებმა მის ქმარს მიმართეს. გრაფმა ვალევსკიმ არ იცოდა, რა მოხდა ბლონში და მიწვევა პატივად მიიჩნია.

მეჯლისზე სადა თეთრი კაბით მისულ მარიას იმპერატორმა უთხრა, თეთრ ქალს თეთრი ფერი არ უხდებაო და ხმადაბლა დაამატა, იმ შეხვედრის შემდეგ მე თქვენგან სხვაგვარ მიღებას ველოდიო. შინ დაბრუნებულს მოახლემ წერილი გადასცა: „მე მხოლოდ თქვენ გხედავდით, მხოლოდ თქვენით ვიყავი აღტაცებული, მე მხოლოდ თქვენ მინდობართ. დაუყოვნებლივ მიპასუხეთ და დამიამეთ დაუცხრომელი ვნება. N“.

პრინც პონიატოვსკისა და პოლონელ ნაციონალისტებს მიაჩნდათ, რომ მარიას ნაბიჯით პოლონეთის ბედი წყდებოდა და რომ ის შეძლებდა, ზეგავლენა მოეხდინა იმპერატორზე, მხარი დაეჭირა პოლონეთისთვის. მათ წერილითაც მიმართეს მარიას, ქალს პოლიტიკაზე დიდი გავლენა შეუძლია მოახდინოსო. ნაპოლეონის წერილიც წაუკითხეს: „თქვენ მე მოსვენება დამიკარგეთ! მონიჭეთ ბედნიერების მცირეოდენი სიხარული ჩემს დაკოდილ გულს, რომელიც მზადაა გაგადმერთოთ. N“.

ნაპოლეონი თავის წერილებში არწმუნებდა, თუ მოხვალთ, თქვენი ქვეყანა ჩემთვის უფრო ძვირფასი გახდებაო. მარიაც, მიუხედავად იმისა, რომ ღრმად მორწმუნე კათოლიკე იყო და ცოლქმრული ერთგულების ფიცის დაღაბტი დაუსვებლად მიაჩნდა, იძულებული გახდა დათანხმებულიყო. მეშუარეობში ის წერს, რომ თავიდან მხოლოდ პატრიოტული მოსაზრებით მიიღო ეს გადაწყვეტილება.

განმარტოებით შეხვედრისას ნაპოლეონმა ჰკითხა, რა გქვიათო და ამის შემდეგ მხოლოდ სახელით მიმართავდა. დამშვიდობებისას კი უთხრა, ჩემო პატარა მტრედო, ნუღარ გეშინიათ არწივის, რადგან თქვენთან ყოფნისას მას სხვა ძალა არ აქვს, გარდა ვნებიანი სიყვარულისა, მაგრამ ისეთი სიყ-



ნაპოლეონი აცხადებს ვარშავის საჰერცოგოს კონსტიტუციას

ვარულისა, რომელსაც თქვენი გულის დაპყრობა სჭირდებაო. მეორე დილას იმპერატორმა თაიგულის ფორმის ძვირფასი ბრილიანტის სამშვენისი გაუგზავნა მარიას. საჩუქარს თან ახლდა წერილიც: „მარია, ჩემო ნაზო მარია, ჩემი პირველი თქვენი თქვენ გეხებათ, ჩემი პირველი სურვილი თქვენ ხართ. ხომ მოხვალთ? თუ არ მოხვალთ, არწივი თვითონ მოფრინდება თქვენთან. მიიღეთ ეს თაიგული, დაე, ის გახდეს იდუმალი ხიდი ჩვენ შორის, ერთმანეთს რომ დაგვაკავშირებს. და ჩვენ ყველას თვალწინ შევძლებთ გავუგოთ

ერთმანეთს. როცა მე ხელს გულზე მივიდებ, იცოდეთ, რომ ჩემი გული მთლიანად თქვენ გეკუთვნით და პასუხად თქვენც მიიღებთ ხელს თაიგულზე! შემეფიქვართ, ჩემო საყვარელო მარია და არასოდეს გაუშვათ ხელი თაიგულს! N“.

ნაპოლეონი განარისხა მარიას სიცივემ: „გაიგეთ! მე მინდა, რომ შემეფიქვართ! მე ავადლორძინე თქვენი საშობლო სხელი. მე შეტს გავაკეთებ. მაგრამ იცოდეთ: ამ საათის მსგავსად, რომელიც ხელში მიჭირავს და რომელსაც თქვენს თვალწინ დაგამსხვრევ, აღიგვება



პრინცი იუზეფ ბონაპარტოსკი

თქვენი ქვეყნის სახელი და თქვენი ყველა იმედი დაიმსხვრევა, თუ უკიდურესობამდე მიმიყვანთ – უარს იტყვით ჩემს გულზე და არ მომცემთ თქვენს გულს“.

ასე დაიწყო ნაპოლეონ ბონაპარტისა და მარია ვალეესკას სასიყვარულო ურთიერთობა. პოლონელი ნაციონალისტები ზეიმობდნენ: ნაპოლეონისთვის მარია „პოლონელი ცოლი“ გახდებოდა და შეძლებდა, იმპერატორი პოლონეთის ბედზე დაეფიქრებინა.

1807 წლის ივლისში, ავსტრიისა და პრუსიის დამარცხების შემდეგ ნაპოლეონმა ვარშავის საჰერცოგო ჩამოაყალიბა და მისი კონსტიტუციაც გამოაცხადა. იმპერატორმა დახმარება გაუწია პოლონელებს ახალი მთავრობის ჩამოყალიბებასა და არმიის რეორგანიზებაში და აღდგენილ პოლონურ არმიას პრინცი პონიატოვსკი ჩაუყენა სათავეში. მანვე გულახდილად უთხრა მარიას: „მე უკვე ვაიძულე რუსეთი, დატოვოს პოლონეთის ის ნაწილი, მან რომ დაიკავა. დანარჩენი დროის საქმეა. ჯერ არ დამდგარა ის დრო, რომ ყველაფერი განვახორციელო. ჯერ თქვენი პოლიტიკური მოღვაწეები უნდა ჩამოყალიბდნენ. თქვენ ბევრი პატრიოტი გყავთ. მამაცი პოლონელი ხალხი უშიშარი და გაბედულია, მაგრამ ეს არ არის საკმა-

რისი: აუცილებელია მჭიდრო ერთიანობა“. ნაპოლეონი გამუდმებით უბრუნდებოდა პოლონეთის თემას მარიასთან საუბრისას: „თქვენ კარგად იცით, რომ მიყვარს თქვენი ქვეყანა. ჩემი პოლიტიკური შეხედულებები მაიძულებს, მისი სრული აღორძინება მსურდეს. ყველაფერს, რაც ჩემზეა დამოკიდებული და არ ეწინააღმდეგება ჩემს მოვალეობასა და საფრანგეთის ინტერესებს, მე აუცილებლად გააკეთებ. მაგრამ ნახეთ, რამხელა მანძილი გვაშორებს ერთმანეთს: ის, რის დამყარებასაც დღეს შეუძლებ, ზვალ შეიძლება დაინგრეს. ჩემი უპირველესი მოვალეობა საფრანგეთის ინტერესების დაცვაა. მე ვერ დავლვრი ფრანგების სისხლს უცხო საქმისთვის და ვერ ავასხამ იარაღს მათ, რომ თქვენ დასახმარებლად გამოემშურონ ყოველთვის, როცა ეს საჭირო იქნება“.

ნაპოლეონისთვის დამახასიათებელმა მაგნეტიზმმა თავისი ქნა – მარიას თავდავიწყებით შეუყვარდა იმპერატორი და ეს გრძნობა სიცოცხლის ბოლომდე არ განელეზბია. ნაპოლეონი საოცრად თბილი და მოსიყვარულე აღმოჩნდა. ის ყოველთვის ცდილობდა, მარიასთან საუბრისას ჩვეული მბრძანებლური ტონი არ შეპარვოდა. სათნო და კეთილი მარიაც დამამშვიდებლად მოქმედებდა ბობოქარ იმპერატორზე. მარია აღმოჩნდა სწორედ ის ქალი, ვის პოვნასაც ასე ცდილობდა ნაპოლეონი – მოყვარული, ყურადღებიანი, მორიდებული, რომელიც მთლიანად მას ეკუთვნოდა და თავისთვის არაფერს ითხოვდა.

ნაპოლეონს არ მოსწონდა, მარია რომ მუდამ თეთრ, ნაცრისფერ ან შავ სადა სამოსს ატარებდა, რაზეც მარია პასუხობდა, პოლონელმა ქალმა სამკლოვიარო სამოსი უნდა ატაროს თავისი სამშობლოს გამო, ჩემს ქვეყანას რომ გაათავისუფლებთ, მერე ვარდისფერს აღარ გავიხდით. ამგვარად, ყველა საუბარი პოლონეთის თემით მთავრდებოდა, მაგრამ ნაპოლეონს სულაც არ აღიზიანებდა ეს და არც მარიასადმი სიყვარულს უწელებდა.

მათი ურთიერთობა გასაიდუმლოებული იყო, თუმცა ამ თემაზე ბევრს ლაპარაკობდნენ ვარშავის მაღალ წრეებში. მარია დამით მიდიოდა ნაპოლეონთან ვარშავის სამეფო სასახლეში და დილას შეუმჩნეველად ტოვებდა მას. მაგრამ ნაპოლეონმა მოითხოვა, მარია ყველა წვეულებასა და მიღებას დასწრებოდა,


სადაც თავად იქნებოდა. მარიამ უკვე კარგად იცოდა, რას ნიშნავდა იმპერატორის ხელისათუ თითების მოძრაობა, მხოლოდ მისთვის რომ იყო განკუთვნილი. „მე ვერ გეტყვით ხალხის თანდასწრებით, — მარია, მე თქვენ მიყვარხართ! ყოველთვის, როცა გხედავთ, მინდა გითხრათ, რომ მიყვარხართ, მაგრამ მე ისე ვერ დავიხრები თქვენი ყურისკენ, რომ ამით წესიერება არ დაუარღვიო“, — ეუბნებოდა ნაპოლეონი.

როცა ნაპოლეონი აღმოსავლეთ პრუსიის ფინკენშტაინის სასახლეში განლაგებულ შტაბბინაში გადავიდა, მარია იმპერატორს გაჰყვა, მაგრამ არ ტოვებდა შენობას, სადაც ცხოვრობდნენ, ოფიცრებს რომ არ დაენახათ. ფინკენშტაინში მშვიდი გარემო იყო. მარიას მარტობას მხოლოდ ერთობლივი სადილები არღვევდა. იგი კითხვითა და ხელსაქმით ირობოდა თავს და ფანჯრის მიხურული დარაბებიდან ადევნებდა თვალს აღლუმებს. ასეთი ყოფა უფრო მოსწონდა, ვიდრე ვარშავის მაღალი საზოგადოების ბრწყინვალე, ხმაურიანი ცხოვრება.

ნაპოლეონი პარიზში რომ ბრუნდებოდა, მარიამ წაყოლაზე უარი განუცხადა — ტრაურსა და ლოცვებში დაველოდები დანაპირების შესრულებასო. მაგრამ ნაპოლეონმა თავისი გაიტანა: „თქვენ კარგი ხართ, თქვენ კეთილი ხართ. თქვენ ისეთი კეთილშობილი და გაურყვნელი გული გაქვთ! ნუთუ არ მომცემთ საშუალებას, ყოველდღე ნეტარების რამდენიმე ბედნიერი წუთი გვატარო თქვენთან? მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მომცეთ ეს წუთები“. 1808 წლის დასაწყისში მარია ვალევსკა პარიზში ჩავიდა.

1809 წელს მარია თან ახლდა ნაპოლეონს ვენაშიც და იმპერატორის შიონბურნის რეზიდენციასთან ახლოს ცხოვრობდა. აქ გატარებული საბითვე უკანასკნელი იყო მათი სიყვარულის ისტორიაში. მარია სწორედ ვენაში დაფეხმძიმდა. ელეონორ დენუელის შემდეგ, რომელსაც 1806 წელს იმპერატორისგან ვაჟი, შარლ ლეონი შეეძინა, მარია იყო ერთადერთი ქალი, რომლის შვილის მამობაში ნაპოლეონს ეჭვი არ ეპარებოდა. ალექსანდრე ვალევსკი 1810 წელს დაიბადა ვალევიცეში, ვარშავის ახლოს. გრაფმა კოლონა-ვალევსკიმ ის თავისი კანონიერ შვილად აღიარა და გრაფის ტიტულიც მისცა.

1810 წელს ნაპოლეონი პარიზში დაბრუნდა. ის ჟოზეფინასთან განქორწინებას და მ-



პრინც იუზეფ პონიატოვსკის ძველი ვარშავაში



ნაპოლეონი და მარია ვალევსკა



ვალევსკების სასახლე ვალევიცეში



პრინც იუზეფ პონიატოვსკის სკულპტურული გამოსახულება ლუერის ფასადზე



გრაფი ფილიპ ანტუან დ'ორნანო

კიერნოზიას საგვარეულო აკლდამა, სადაც დასვენებულია მარია ვალევსკა



რია-ლუიზას, ავსტრიის პერცოგინიას შერთვას აპირებდა. ვაჟის დაბადების ამბავი რომ შეიტყო, მან პარიზში მიიწვია მარია შვილთან ერთად. 1810 წლის ბოლოს მარია პატარა ალექსანდრესთან ერთად პარიზში ჩავიდა. იმპერატორმა ალექსანდრე ვალევსკი თავის ქორწინებისგარეშე შვილად აღიარა და იმპერიის გრაფის ტიტული უბოძა.

ყოველთვის, როცა საშუალება ეძლეოდა, იმპერატორი მცირე ხნით ეწვეოდა ხოლმე მარიას ან თავის სასახლეში ეპატიჟებოდა დედა-შვილს და ყველაფერს აკეთებდა, რომ მათ ყურადღება არ მოჰკლებოდათ. მარია საზოგადოებაში თითქმის არ ჩნდებოდა და თავისთან მხოლოდ თანამემამულეებს იღებდა.

დამარცხებული იმპერატორისთვის მძიმე დღეებში მარია ფონტენებლოში ჩავიდა და მთელი დამე მისაღებში გაატარა, ნაპოლეონმა კი მაშინ მოიკითხა, როცა ის უკვე წასული იყო. „გრძობებმა, თქვენ რომ გამოძრავებთ, ძალიან ამაღელვა. ისინი თქვენი მშვენიერი სულისა და კეთილი გულის შესაფერისია. დიდი სიამოვნებით გინახულებთ თქვენც და თქვენს ვაჟსაც, რომლის მიმართ ჩემი გრძობები მუდამ უცვლელი იქნება. იყავით ჯანმრთელი, ნუ განაწყენდებით, სიყვარულით მომიგონეთ და არასოდეს შეგეპაროთ ეჭვი ჩემში. N°“. — მისწერა მან მარიას.

1814 წლის იანვარში მარია ვაჟთან ერთად ჩავიდა კუნძულ ელბაზე და შესთავაზა ნაპოლეონს, თქვენთან დაგრჩები გადასახლებაშიო, მაგრამ ნაპოლეონი, რომელიც სიხარულით შეხვდა პატარა ალექსანდრეს, იმედოვნებდა, რომ მარია-ლუიზა გადასახლებაში მყოფ მეუღლესთან ცხოვრებას მოისურვებდა.

1815 წელს, ნაპოლეონის პარიზში დაბრუნების შესახებ რომ შეიტყო, მარია საჩქაროდ ჩავიდა პარიზში – მისმა ერთგულებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მას ნაპოლეონი იმპერატორული დიდების გარეშეც უყვარდა.

1816 წელს მარია ცოლად გაყვა გრაფ დ'ორნანოს, ნაპოლეონის გენერალს, რომელიც, იმპერატორივით კორსიკელი, ნაპოლეონის გარე ბიძაშვილი იყო. 1817 წელს მათ ვაჟი შეეძინათ. იმავე წელს მარია თირკმლების დაავადებით გარდაიცვალა. პარიზის პერ-ლაშეზის სასაფლაოდან ის ლაჩინსკების კიერნოზიას საგვარეულო აკლდამაში გადაასვენეს.



სოფელი ბაძვირეთი. ავტორის ფოტოები

რით ჰბავს მართანეთს უაფხეთ-იმერხევისა და დასავლეთ საქართველოს ხალხური საცხოვრისები

ისტორიულ საქართველოში მრავალფეროვანი და კონსტრუქციულად გამორჩეული ნაგებობები იქმნებოდა. თანამედროვე საქართველოს მხარეთა მაგალითზე ეს ნაგებობანი ლამის ძირისძირობამდეა შესწავლილი, ამჟამად კი საშუალება მოგვეცა, ისტორიულ პრეინციებსაც გადავწვდეთ. მით უფრო, რომ ხალხური ხუროთმოძღვრება მატერიალური კულტურის ის სფეროა, რომელიც გამორჩეულად მიუთითებს მისი შემქმნელი ხალხის გემოვნებაზე, ხანგრძლივ და უწყვეტ ტრადიციაზე.

არა მხოლოდ სამეცნიერო წრეებში, არამედ მთლიანად ქართველ საზოგადოებაში, რიგით ქართველებში ყოველთვის არსებობდა გამორჩეული ინტერესი იმ მხარეთა მატერიალური კულტურის გაცნობისა და შესწავლისადმი, რომელნიც ისტორიულ მდინარებათა გამო მთავარ ფუძეს სწვდებოდა, მეტ-ნაკლები ქრონოლოგიური დიაპაზონით. ვგულისხმობთ მესხეთის სამხრეთ ნაწილს (რომელიც ერთხანს ზემო ქართლადაც განიხილებოდა) — ტაოს, კლარჯეთს, შავშეთს, ერუშეთს, კოლა-არტაანს, აგრეთვე ჰერეთს...

საბედნიეროდ, დღეს შესაძლებლობა გვა-

ქვს, ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქებში პირველი კვლევები მოვაწყოთ.

განსაკუთრებით საინტერესოა, ამ მხრივ, ხალხური არქიტექტურა: რა მიმართულებით განვითარდა ის, რა ელემენტები შეინარჩუნეს და შეითვისეს მეზობელი ეთნიკური გარემოდან.

მკითხველს ვთავაზობთ ერთ-ერთ პირველ ცდას, ამ კუთხით განვიხილოთ შავშეთ-იმერხევის საცხოვრებლის ნიმუშები. ეთნოლოგებმა ჯერ კიდევ წლების წინ გამოთქვეს მოსაზრება, რომ აჭარულ, შავშურ-იმერხეულ, ლაზურ საცხოვრებელ და სამეურნეო დანიშნულების



თამარის ხიდი იმერხეში მდებარეობს...



ქოქლეითი. ფაფართის ხეობა. იმერხეში



იმერხეში აივანი, ანუ ტანტრაბა მთელ სივრცეზე გასდევს სახლს

ხის შენობა-ნაგებობებზე დაკვირვებით იკვეთება ერთიანი სურათი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხის დამუშავების ისტორიისა.

XIX საუკუნის დასასრულს შავშეთში მოგზაურობისას მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე საუბრობდა ტაო-კლარჯეთისა და აჭარის საცხოვრებელ ნაგებობათა ტიპების ახლო მსგავსებაზე. მიუთითებდა, რომ საცხოვრისის განვითარების მხრივ ქართველი მუსლიმანები ბევრად უფრო მაღლა დგანან თვით ნამდვილ ოსმალებზეც. ასევე ზაზს უსვამდა, რომ შავშელები ოდითგანვე გამოირჩეოდნენ, როგორც ხის დამუშავების ზედმიწევნით მცოდნენი.

უწინარესად, დასახლებათა შესახებ: ერთმანეთის მეზობლად არიან შავშელ-იმერხელები ჭოროხის ხეობაში, ასევე მტკვრის ხეობაში მცხოვრები სამხრეთ სამცხელები, კოლაართაანელები. შევადართო ერთმანეთს, ერთი მხრივ, დიობანის ხეობის ფაფართილელეს გასწვრივ მდებარე დასახლება, ხოლო მეორე მხრივ, სოფელ ხეოთისა, ფოცხოვის ხეობაში — სამხრეთ სამცხეში (რომლის უნიკალურობაც იკვეთება ისტორიკოს ბუბა კუდავას მიერ გადაღებულ ფოტოზე). მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ერთი წყალგამყოფი ქედია, დასახლების ტიპითა და ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობებით მათ საერთო გაცილებით მეტი აქვთ ისტორიული სამშობლოს სხვა კუთხეებთან, ვიდრე ერთმანეთთან. ხეოთის დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი ტიპოლოგიურად ახლოს დგას დანარჩენ, ჩრდილოეთ მესხეთთან — სამცხე-ჯავახეთთან, აგრეთვე ქართლის ტრადიციულ საცხოვრებელთან, ნაწილობრივ — აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სოფლების შეგჯუფებულ დასახლებებთან (როცა ერთი სახლის ბანი მეორე სახლის ეზოა, ხშირ შემთხვევაში კალაა გამართული). იმერხეული სოფელი კი ჩრდილოეთით, ქედს გადაღმა მდებარე აჭარული, ასევე მთაგორიანი გურია-სამეგრელოსა და იმერეთის დასახლებათა მსგავსია. იმერხეული სოფელი ასევე მსგავსია მის დასავლეთით, ლაზისტანის ქედს გადაღმა მდებარე ლაზური სოფლებისა, სარფიდან ტრაპიზონამდე.

დასახლებები იმერხეში, შეიძლება ითქვას, ხევისპირულია. იგი მდინარეთა ხეობებს მიუყვება. სოფლები დაყოფილია უბნებად ანუ მუკელეებად. თითოეულ უბანში ძირითადად თითო მოდგმის (ერთი გვარის, ერთი წარმომავლობის) ხალხი ცხოვრობს, ანუ ადრე ეს უბნები მონოგენური ყოფილა. ჩვენი მთხრობ-



უნიკალურია სამხრეთ სამცხეში, ფოცხოვის ხეობაში სოფელ ხეთის დასახლება, როდესაც ერთი სახლის ბანი მეორე სახლის ეზოა, ხშირ შემთხვევაში კი კალოა გამართული. ბუბა კუდავას ფოტო

ლის, ადგილობრივ მკვიდრ მექმედ ბაბას (ძველი გვარი ბაბელიძე) გადმოცემით, სოფელ ბზათაში, რომელშიც დღეს ასამდე კომლია, არის წარმომავლობითი ზაქარიაძეების, ფილიპიძეების, ლაიქიძეების, ბაბელიძეების, ყასლიძეების უბნები. სოფელ უბეში კი გვხვდება კულუღიძეების, ხოჯიძეების, ჭიფიძეების, მოლიძეების, მჭვლედიძეებისა და სხვათა უბნები.

როგორც ჩვენი ბათუმელი კოლეგა თამაზ ფუტკარაძე შენიშნავს, იმერხეველი სახლს ნესტიან ნიადაგზე არ ააშენებს. არჩევენ მყარ და შშრალ ადგილს. მიწას სიმშრალის შესამოწმებლად ღრმად ამოთხრიან, რათა დაადგინონ, სიღრმეში ამოდის თუ არა წყალი. ხალხურ ტრადიციასაც მიმართავენ: ასაშენებელ ადგილას დადებენ დიდ ქვას, თუ მის ქვეშ რამდენიმე დღეში ჭიანჭველები დაიბუდებენ, ე.ი. ადგილი შშრალია (სხვათა შორის, ეს მეთოდი მთიან აჭარაშიც ცნობილია). ითვალისწინებენ აგრეთვე გზასა და სასმელ წყალთან სიახლოეს.

იმერხეული კარ-მიდამო დღესაც დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისას მოგვაგონებს. ეს არის ერთიანი კომპლექსი, სადაც ძირითადი ადგილი უკავია საცხოვრებელს, აქვეა სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობა. კარ-მიდამოს უმეტესი ნაწილი უჭი-

რავს დამუშავებულ მიწას — ბაღ-ბოსტანს, სიმინდის ყანას, კარტოფილის ნათესს (აქაურები რომ მიწახაპას ეძახიან), ხეხილს. სათიბები მოშორებით აქვთ. იმერხეველი, მართალია, ვენახი არ აქვთ, მაგრამ მცირე რაოდენობით თითქმის ყველა ოჯახში შეხვდებით რამდენიმე ჯიშის ვაზს, რომელიც ძირითადად ეზო-კარის სამშენისად გამოიყენება. ყურძნისგან კი აქაურები ბადაგს ადუღებენ.

შავშურ-იმერხეულმა საცხოვრისმა, მსგავსად აჭარულისა, განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო. როგორც ირკვევა, ადრეული საცხოვრებელი წარმოადგენდა ერთსართულიან, ძელებით ნაგებ ჯარგვალს, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ზირთული (ძირითადი) ჯარგვალი ეწოდება. მის საფუძველზე უნდა განვითარებულიყო ზედშედგმული, ანუ ორსართულიანი ჯარგვალი. ამ ტიპის ნაგებობანი ფრაგმენტულად შემორჩენილია იმერხევის სოფლების, ბაძეირეთისა და ზაქიეთის იაილებში, სადაც დღევანდელი მომთაბარე მწყემსებისთვის სეზონურ სამყოფელს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში პირველი სართული ახორია ანუ ბოსელი, მეორე — მწყემსის სამყოფი.

ორსართულიანი ჯარგვალიდან განვითარდა როგორც აჭარული, ისე იმერხეული, ფიც-



იმერხევის იაილებში, აჭარის მსგავსად, შემორჩენილია ვაერთი გადახურული ჯარგალები, — როგორც „ძირთული“, ისე „ზედმეგობული“

რით ნაგები ხის სახლი. ამ ტიპის აჭარული საცხოვრისი მიჩნეულია ხით ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად. ასეთივეა იმერხეული საცხოვრისიც (ადგილობრივები მას შეშის სახლს უწოდებენ).

შავშეთ-იმერხევიში გავრცელებული საცხოვრისის ტიპს წარმოადგენს აგრეთვე ვერტიკალურად ნაშენი ორ- ან სამსართულიანი (იშვიათად ოთხსართულიანიც) ხის ანუ შეშის სახლი, რომელიც მთიანი აჭარის საცხოვრებელ ნაგებობებს წააგავს. ამავე დროს, გააჩნია დამოუკიდებელი, ორიგინალური კონსტრუქციული ელემენტები.

საინტერესოა, რით განირჩევა იმერხეული

სახლი დასავლურქართული, ძირითადად აჭარული სიგან და რა მსგავსებაა მათ შორის. შეშის სახლში საცხოვრებელს მერე და ზოგჯერ მესამე სართული უკავია. მთავარი კომპოზიციური ადგილი ე.წ. სალონს უჭირავს. ეს არის მისაღები ოთახი, რომელსაც აჭარაში მაიდან ოდა ეწოდება, მაჭახელას ხეობაში კი — მუსაფირების, ანუ სტუმრების ოთახი. აქვე არის რამდენიმე საძინებელი. ერთი, როგორც წესი, ოჯახის უფროსი ცოლ-ქმრისთვის. საძინებლებს უწოდებენ ოდას, დიდ ოდას, წინა ოთახს. აქვე დაუმენდით, რომ ტერმინი ოდა, რომელიც იმერხეუსა და აჭარაში კონკრეტულ ოთახს აღნიშნავს, დასავლეთ საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებული ხის საცხოვრისის სახელად იქცა. იმერხეულ სახლში მერე სართულზეა განთავსებული მუთუადი, ანუ სამზარეულო. აჭარულ სახლში არის ერთი საყურადღებო სეგმენტი — სარძიე. ანალოგიურია იმერხევიში, სახლის ჩრდილოეთ მხარეს განთავსებული ოთახი, რომელსაც მეტად საინტერესო სახელი აქვს — მარანი (იგი საქართველოში სემანტიკურად საყოველთაოდ ცნობილი დანიშნულების სათავსია ღვინისა და მკვანახეობის პროდუქტებისთვის). ხოლო იმერხეული მარანი, ფაქტობრივად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სარძიეა. აქ ხდება რძის პროდუქტების ყოველდღიური გადამუშავება. იქ განთავსებული იყო სადღვებელი ანუ ვარია, რომელსაც დღეს ერბო-კარაქის მისაღები სეპარატორი ენაცვლება. აქვე იბადება კითხვა: ტერმინი მარანი ხომ არ არის კლარჯეთში მკვანახეობის ძველი ტრადიციის გამოძახილი? მით უფრო, რომ ყურძენი იქ ამ-



ლაზური სახლი აბუს ხეობაში. ვიწე

ჟამადაც მოჰყავთ (თუმცა გასაგები მიზეზების გამო, ღვინოს აღარ აყენებენ), ხშირად კი ვაზს საცხოვრისის აივნის შესამკობადაც გამოიყენებენ...

იმერხეული სახლის აივანი სწორედ ის გამოჩენილი არქიტექტურული დეტალია, რომელიც ფაქტობრივად აქაური საცხოვრისის განუყოფელ და მახასიათებელ ატრიბუტს წარმოადგენს. აივანს იმერხეულ ტანტრაბას უწოდებენ. იგი მთელ სიგრძეზე გასდევს სახლს, ზოგჯერ კი მის სიგანეზეც გრძელდება. მას აქვს როგორც მოსასვენებელი, ასევე სამეურნეო ფუნქციაც. აივანს რიკულები ამკობს, რომელიც ორი სახისაა. ერთი უფრო გავრცელებული, ცერად გადაჯვარედინებული ლარტყებისგან შეკრული მოაჯირი, ანუ შალამფორი (შალამფური) იმდენად მახასიათებელი ელემენტია, რომ თანამედროვე იმერხეულ სახლებში ხშირად გამოიყენება (როგორც ხის, ასევე აგურის საცხოვრებლებში) და ტრადიციულ ელფერს აძლევს მათ. შალამფორი ცნობილია ასევე ლათიის ანუ ჩითას სახელითაც. მეორე სახის რიკულები ჭვირული ორნამენტებით არის გამოყვანილი. მისი ანალოგები დასავლეთ საქართველოს ხის არქიტექტურაში უხვად დასტურდება.

იმერხეული აივნის, ანუ ტანტრაბის რიკულების ფორმა გამოძახილს დასავლეთ საქართველოს ხის არქიტექტურაში ჰოვებს. შევადაროთ თუნდაც აბაშის რაიონის სოფელ მარნისა და ამბროლაურის რაიონის სოფლების — ტოლასა და ღვარდიას არქიტექტურულ დეტალებთან.

იმერხეული სახლის ორიგინალური, მისთვის დამახასიათებელი ელემენტია კოშკი, იგივე ქოშკი. ეს არის აივანზე წინ გამოწეული არქიტექტურული დეტალი, რომელსაც აქვს მოსასვენებელი სექვი სკამლოგინით. სექვი დამახასიათებელია დასავლეთქართული ოდასახლებებისთვის. განსხვავება ის არის, რომ ამ შემთხვევაში სექვი სკამლოგინი კი არა, აივნის მთელ სიგრძეზე გამეოლი დეტალია.

იმერხეულ საცხოვრისში, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს მთის კუთხეების დარად, სამეურნეო ფუნქციის მქონე სათავსები წარმოდგენილია არა დამოუკიდებელ ნაგებობად, არამედ შენობის კომპლექსში. ასეთია მაგალითად, ბედელი, ფაქტობრივად, საცხოვრისზე მიდგმული სათავსი. ბედელს ძირითადად ნაძვის ხისგან აშენებენ, რადგან ამ ხეს ანტისეპტიკური თვისებები აქვს და ამდენად,



აჰმედ ალიუნის (მოლიძის) ქორში სახენული „არუნა“ ინახებოდა, ზოლო სახლში — მამაპაპისეული ნივთები



ხელსაყრელია მარცვლეულის, ფქვილისა და სხვა პროდუქტების შესანახად. ზოგჯერ ბედელის ფუნქციას იმერხეული სახლის ზედა, ერთგვარი ანტრესოლის ნაწილი, ანუ თავანი ასრულებდა. ბედელს მასაც უწოდებდნენ. ასევე იყენებდნენ საყათელას — სართულებს შორის არსებულ 30-40 სანტიმეტრის სიმაღლის მქონე სივრცეს (ბოსლის სუნის თავიდან ასაცილებლად). ხშირად საყათელა შინაური ფრინველის საბუდრადაც გამოიყენებოდა.

იმერხეული სახლები მხოლოდ წიწვოვანი ხის მასალისგან იგებოდა, ანუ ნაძვის, სოჭისა და ფიჭვისგან, რომელსაც აქ კატარს უწოდებენ.

სახლების ბურვილის მასალაში კი ერთფეროვნება იკვეთება. არც ერთ ეტაჟზე მისთვის დამახასიათებელი არ ყოფილა მცენარეული სა-

ფარი. საკვირველია, მაგრამ არც კრამიტის ტრადიცია არსებობდა, იშვიათი გამოჩენის გარდა. ამ გარემოებას მთხრობელები იმერხევისთვის დამახასიათებელ დიდთოვლობას მიაწერენ. ძირითადი სახურავის მასალა ყავარი გახლდათ, საქართველოს გარდამავალი ზოლისა და მთიანი ოლქების მსგავსად. ტრადიციულად ყავარს ნაძვისგან ხდიდნენ. მისი დაწყობის ფორმაც ტრადიციული, ქართული იყო: სამი და ხუთი ფრთის ფორმითა და საქოლაყით. მთხრობელებს მიაჩნიათ, რომ ლურსმნის მაგოვრად საქოლაყის გამოყენება გამოწვეულია რკინის კოროზიული თვისებით. ასეთი საქოლაყები იაილებზე ბოლო პერიოდამდე შემორჩა. აქაც მკაფიო ანალოგიაა საქართველოს კუთხეებთან.

ყავარი დღეისთვის ლითონით, თუნუქით (საჯვით) გადახურვამ შეცვალა. მეტალოპლასტმასა, მეტალოკრამიტი არაპრაქტიკული აღმოჩნდა ისევე და ისევე დიდთოვლობის გამო. პრაქტიკამ აჩვენა, რომ აქაურ პირობებს იგი ვერ უძლებს.

გადახურვა საყოველთაოდ ტრადიციული, ორფერდაა. მთავარი კონსტრუქციული ელემენტია ზედა გამჭოლად გადებული დირე, რომელსაც ვირზაღლას ეძახიან იმ დიდი დატვირთვის გამო, რომელიც მასზე მოდის.

სამეურნეო ნაგებობებიდან იმერხევში ცალკე მდგომი მხოლოდ საბძელია, მრავლისმეტყველი სახელწოდებით — ქორი. ადრე უმეტესად ქორებს სათიბებში აგებდნენ, ამჟამად უფრო საცხოვრისის კომპლექსშია. ეს ერთსართულიანი ჯარგვალური ნაგებობაა ყავრის საქოლაყით. ამჟამად მას ერთი სართული დაემატა, ხოლო პირველ სართულს ახორის დატვირთვა მიეცა. იმის გამო, რომ ეს უკა-

ნასკნელი ჰიგიენური მოსაზრებებით გამოვიდა საცხოვრისის პირველი სართულიდან და სწორედ ქორში გადაინაცვლა.

უჩვეულოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ იმერხევში არ აქვთ ნალია ანუ სასიმიდნე მაშინ, როდესაც სამეურნეო დანიშნულების ამ ელემენტს ფართოდ იყენებენ დასავლეთ საქართველოში. ლაზეთში კი მან დამახასიათებელ ე.წ. ფახვერკიან საცხოვრებელთან ერთად, რეგიონის არქიტექტურული სახე შექმნა, განუმეორებელი ჩუქურთმებითა და მორგაკლებით. მეტიც, ნალიამ შიდა ქართლშიც კი შეაღწია ჯიზურ-ჯინი-ძარის სახით. როგორც ჩანს, იმერხევში ნალიის ფუნქცია ტრადიციულმა ტანტრაბამ — აივანმა იტვირთა. სიმინდის გაშრობა 3-ნ-კონიანი გადაბმით რამდენიმე კვირაში ხდება და ამის შემდეგ იგი ბედელ-თავანში ინაცვლებს.

ლაზური ტიპის ფახვერკ-ჩაღაგარიანმა საცხოვრებელმა კი აჭარის ქვედა ზონაშიც შეაღწია. შეაღწია აგრეთვე ნიგალის ხეობაში, ბორჩხაში. იმერხევში კი ერთეული სახითაც არ გვხვდება. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ერთი მხრივ იმერხეული საცხოვრისი ტრადიციულობით და შეიძლება ითქვას, კონსერვატიულობითაც გამოირჩევა, ხოლო მეორე მხრივ, ბევრი ელემენტით მსგავსია და ეხმაურება საქართველოს კუთხეების საცხოვრებელ ნაგებობებს.

იმედს ვიტოვებთ, ეს მსგავსება საქართველო-თურქეთის გაუმჯობესებულ ურთიერთობათა ფონზე კიდევ უფრო დააახლოებს იმერხეველებს საქართველოსთან, მის კულტურასა და ტრადიციებთან...

ნოღარ შოშიტაშვილი



ეს ართვინია, ტაო-კლარჯეთის მიწა-წყალი ძირითადად ამ ვილაიეთშია. ართვინთან, ჭოროხზე ჰესების კასკადი შენდება, რომელსაც ბევრი სოფელი შეეწირება...



გაკვეთილი
ღია ცის
ქვეშ

სახალისო პრეისტორია მოზარდებისთვის „არ ველოდი, არჩეოლობოვა ან ეთნოგრაფოვა ასე სანიტარესო თუ იქნებოდა...“

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბოლო დროის ერთ-ერთი უპირატესი მიმართულება საგანმანათლებლო პროგრამაა, რომლის მეშვეობით, ისტორიით დაინტერესებული მოსწავლეები საზაფხულო არდადეგებისას თვადავ ზღებთან არქეოლოგიები, ეთნოგრაფები, ეკოლოგები... პროგრამის მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა, მომავალი „ისტორიკოსები“ სამუზეუმო ცხოვრებაში ჩაერთონ. ასეთი პროგრამები მსოფლიოს მოწინავე მუზეუმებშიც დანერგილია, ისინი ითვალისწინებს დამთვალიერებლის (ან პროგრამის მონაწილის) სამუზეუმო პროცესში უშუალოდ ჩართვას.

არჩეოლობა

დმანისში და აგრეთვე, საქართველოს სხვა პრეისტორიულ პუნქტებზე ბოლო დროის უდიდესმა აღმოჩენებმა შეუძლებელი გახადა, საქართველოს გაუთვალისწინებლად და ქართული ძეგლების შემდგომი კვლევის გარეშე, ადამიანის წარმოშობასთან დაკავშირებული გლობალური სამეცნიერო საკითხების გადაწყვეტა. ეს პროგრამაც მიზნად ისახავს სწორედ ქართული პრეისტორიული ძეგლების შემდგომ პოპულარიზაციასა და საზოგადოების კიდევ უფრო მეტად დაინტერესებას. მასტერ-კლასები და ვორკშოპები პრეისტორიის ქართველი და უცხოელი ცნობილი მკვლევრებისა და მეორე მხრივ, სტუდენტებისა და მოს-

იმიტირებულ ვათხრებზე





აჭარულ ჯამეში



მგერულ ოდასახლში

მოსწავლეები საუბრობენ

წავლეების მონაწილეობით, საგრძნობლად უწყობს ხელს ახალგაზრდა მეცნიერთა დაოსტატებას. ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრის ტერიტორიაზე ამოქმედდა პრეისტორიული ტექნოლოგიების ლაბორატორია, სადაც მიმდინარეობს ამ პროგრამით გათვალისწინებული სწავლება. აქვეა „არქეოლოგიური კლუბიც“.

იმიტირებულ არქეოლოგიურ გათხრებზე პროგრამის მონაწილეები ხალისით ერთვებიან, სწავლობენ უძველესი იარაღების დამზადების ტექნიკას, თავადვე აკეთებენ სხვადასხვა იარაღს, უკეთ ეცნობიან პირველყოფილი ადამიანის აზროვნებისა და ქცევის წესებს.

გათხრების იმიტაცია ღია ცის ქვეშ მუზეუმში საგანგებოდ მოწყობილ მოედანზე მიმდინარეობს. შესაძლოა ბევრს სხვაგვარად მიაჩნდეს, მაგრამ სინამდვილეში არქეოლოგია რომანტიკული და საიდუმლოებებით აღსავსე პროფესიაა. იმედოვნობთ ის დიდ შრომასა და გამოცდილებას მოითხოვს. სწორედ ყოველივე ეს წარმოჩინდება იმიტირებულ გათხრებზე. ამიტომაც მის მონაწილეებს აღარ უჭირთ პროგრამის დასასრულს პასუხი გასცენ კითხვას, თუ როგორ ადაღენ ისტორიულ მოვლენებს არქეოლოგი.

ეთნოგრაფია

ეთნოგრაფიით დაინტერესებულ მოსწავლეებს საშუალება აქვთ გაეცნონ ქართველთა ტრადიციული ყოფა-ცხოვრების ამსახველ დოკუმენტურ კინო-, ფოტო- და აუდიომასალებს. ეს, პირველ ყოვლისა, ხელს შეუწყობს ქართული ტრადიციული კულტურის გაუცხოების უკვე დაწყებული პროცესის შეჩერებას.

პროექტში გამოყენებულია სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების უნიკალური კინო-ფოტომასალა, რომელიც ძირითადად გადაღებულია 1860-1990 წლებში. მასში ასახულია ქართველთა ყოფისა და კულტურის თითქმის ყველა მხარე





პირველი ჭაშნიკი

(მეურნეობა, რიტუალები, არქიტექტურა, რწმენა-წარმოდგენები).

სალექციო კურსი ითვალისწინებს ქართველთა ტრადიციული ყოფის მიმზიდველ, უკვე დაფიქსურებულ ეგზოტიკურ მხარეებს, საქართველოს სხვადასხვა კუთხის თავისებურებებს, ტრადიციული ყოფის იდეურ და მატერიალურ საფუძვლებს.

მკოლოგია

აუდიოვიზუალური მასალის დახმარებით იმართება გაკვეთილები ისეთ თემებზე, როგორცაა: ტყის ჭრა, ქალაქისა და დასახლებული პუნქტების ეკოლოგია, წყლის დაბინძურება, გლობალური დათბობა, ოზონის ზრელი და სხვ. მოზარდები ნანახის შესახებ მსჯელობენ ჯგუფებში, გამოაქვთ სათანადო დასკვნები, ამა თუ იმ თემებზე აწვობენ პრეზენტაციებს.

მოკლე მქსპურსნივა

საზაფხულო სკოლის მონაწილეებს საშუალება ეძლევათ, ყოველდღე მონახულონ ეთნოგრაფიული მუზეუმის სხვადასხვა ექსპონატი-ნაგებობა, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც არ შედის ტრადიციული ექსკურსიის მარშრუტში (მაგალითად, აფხაზური ოდასახლი აკვასკა და აჭარის ზონაში არსებული საკულტო ნაგებობა).

გიორგი, 13 წლის (პროგრამის მონაწილე): „როცა სკოლაში მითხრეს ამ პროგრამის შესახებ, თავიდან უნტერესოდ მომეჩვენა. ხმა-მაღლა არ მითქვამს, მაგრამ კი გაგიფიქრე — გაკვეთილების სწავლა სკოლაშიც მეყოფა-მეთქი. არ ველოდი, არქეოლოგობა ან ეთნოგრაფობა ასე საინტერესო თუ იქნებოდა. მე ეს უფროსების მოსაწყენი სამუშაო მეგონა. როცა ჩემი ხელით ვაშაადებ პირველყოფილ იარაღს, ან უძველესი ქვევრიდან ხაპით ღვინოს ვიღებ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემს უძველეს წინაპრებს ველაპარაკები. მაგარი პროფესია ყოფილა ისტორიკოსობა“.

შესაძლოა, როცა გიორგი გაიზრდება, ისტორიკოსი არ გახდეს, მაგრამ ეს გაკვეთილები მას და მის თანატოლებს დაეხმარება, უკეთ შეიმეცნოს თავისი ქვეყნის წარსულიცა და თანამედროვეობაც.

სალომა შოპიტაშვილი



ვინ ხართ თქვენ, დოქტორო ზორგა?

XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლოებით მოცული პიროვნება — ასე აზნაიათებდა რიჰარდ ზორგეს დასავლეთ გერმანიის დაზვერვის უფროსი, რაინჰარდ გელენი. ვინ ხართ თქვენ, დოქტორო ზორგე? — ეს შეკითხვა პირველად 1941 წელს დაისვა, როცა ზორგე იაპონიის კონტრდაზვერვამ დააპატიმრა. ამის შემდეგ ჰანს ოტო მეისნერმა გამოაქვეყნა რიზარდ ზორგესადმი მიძღვნილი წიგნი, რომელიც მსოფლიო ბესტსელერად იქცა. მის მიხედვით გადაიღეს განთქმული ფილმი, რომელიც საბჭოთა კერანებზეც გავიდა.

საბჭოთა კავშირის გმირ რიზარდ ზორგეს ძეგლი მოსკოვში დაუდგეს



კითხვას, „ვინ ხართ თქვენ, დოქტორო ზორგე?“ მხოლოდ მეისნერი და იაპონელი კონტრმზვერვაეები როდი სვამდნენ. მრავალი მკვლევარი თუ სპეცსამსახურის თანამშრომელი ცდილობდა მისთვის პასუხის გაცემას.

გერმანიის პატრიოტიზმიდან — კომუნისტობამდე

რიზარდ ზორგე 1895 წელს დაიბადა ბაქოს მახლობლად, სადაც მამამისი, გერმანელი ინჟინერი ჭაბურღილზე მუშაობდა. დედა რუსი ჰყავდა. რიზარდი ოთხი წლისა იყო, როცა ოჯახი გერმანიაში დაბრუნდა. ზორგემ სკოლა იქ დაამთავრა. მაშინდელი გერმანელი ახალგაზრდობა პატრიოტულად იყო განწყობილი და ზორგეც პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მოხალისედ წავიდა ფრონტზე. ორჯერ დაიჭრა, გამოჩენილი სიმამაცისთვის მეორე ხარისხის რკინის ჯვარიც დაიმსახურა. ომში სამშობლოს დამარცხება ზორგემ მტკივნეულად განიცადა და ალკოჰოლს მიეძალა, სიმთვრალე პათოლოგიური ჰქონდა. ხან ქუჩაში ვიდაცას აუხირდებოდა, ხანაც ხეებზე ძვრებოდა და მამალი-

ვით ყიოდა. ამის გამო არაერთხელ პოლიციამაც წაუბრძანებიათ.

გალოთებისგან მემარცხენე იდეებით გატაცებამ იხსნა. იგი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა. ზორგე პარტიის მემარცხენე ფრთას განეკუთვნებოდა. სწორედ ამ ფრთამ შექმნა გერმანიის კომუნისტური პარტია, რომლის წევრიც ზორგე 1919 წელს გახდა. კომუნისმის ისე სწამდა, როგორც ადრე დიდი გერმანიისა. სმას შეეშვა და ჰამბურგის უნივერსიტეტში სწავლა განაგრძო, რომლის დამთავრების შემდეგ ეკონომიკის დოქტორი გახდა. პირველ სიყვარულს, ჰელგას მალე გაშორდა, ზოლო როცა კრისტიანაზე ქორწინდებოდა, საყვარელ ქალს განუცხადა:

— მალე გერმანიაზე წითელი დროშა აფრიალდება!

მაშინ ეს მართლაც რეალური ჩანდა. კომუნისტების გამოსვლების ჩანშობა რის ვიავალახით მოხერხდა. ზორგეც იძულებული გახდა, საბჭოთა რუსეთში გადახვეწილიყო. კრისტიანაც ქმართან ერთად გაემგზავრა. რიზარდმა საბჭოთა მოქალაქეობა მიიღო და სკკპ-ის წევრი გახდა.

ზზა „აკვარიუმისკენ“

რუსეთში გამეფებული ატმოსფერო ვერო-პელმა ზორგემ ვერ აიტანა, ამას პოლიციური რეჟიმიც დაემატა და რიხარდმაც კვლავ სმა დაიწყო. კრისტიანა ამოდ ცდილობდა ქმრის დახმარებას, ზორგე ფსკერისკენ მიე-ქანებოდა. კრისტიანა გაეყარა და გერმანია-ში დაბრუნდა, ზორგე კი კვლავაც ლოთობდა და არც ხასიათი გამოჰკეთებია. გამობრუყული, ხან ქუჩაში ხელეზუე დადგებოდა, ხანაც რესტორანში შევარდებოდა და ყვიროდა. ამას ტროცკისტებთან მეგობრობაც დაერთო. შედეგად, ზორგეთი საბჭოთა საიდუმლო პოლიცია დაინტერესდა. რიხარდს დაპატიმრება და-ემუქრა. მისმა გერმანელმა მეგობრებმაც გრუ-ს (სამხედრო დაზვერვის მთავარი სამმარ-თველო, რუს.) შეფს, იან ბერზინს მიმართეს დახმარებისთვის.

ბერზინისა (ნამდვილი გვარ-სახელი პე-ტერის კიუზისი) და ზორგეს პირველი შეხ-ვედრა ჭადრაკის კლუბში მოეწყო. ბერზინი წითელი არმიის ერთ-ერთ მეთაურად გაეც-ნო. ჭადრაკის რამდენიმე პარტია ითამაშეს და მორიგი შეხვედრაც დათქვეს. ბერზინმა ზორგეზე ამომწურავი ცნობები შეაგროვა. კადრი თითქოს შესაფერისი ჩანდა და ბერ-ზინმა გერმანელ კომუნისტებს შესთავაზა, — კომინტერნის ხაზით ზორგეს რამე დავალე-ბა მიეცითო!

მალე რიხარდი სპეცმეფლინებით დასაე-ლეთ ვეროპაში გააგზავნეს. დავალება მან ბრწყინვალედ შეასრულა. დაბრუნების შემდეგ ბერზინმა შინ მიიწვია.

— იცით, რა არის აკვარიუმი? — იკითხა მასპინძელმა.

— როგორ არა, მასში თევზები ცურავენ, — მშვიდად უპასუხა ზორგემ.

— არა, ასე საბჭოთა სამხედრო დაზვერ-ვას ეძახიან, მე მისი უფროსი ვარ! — პირდა-პირ განუმარტა ბერზინმა.

ზორგე ჩაფიქრდა.

— ეროვნებით ლატვიელი გახლავართ, — ბერზინმა გაიღიმა, — პარტიაში წვერად ჯერ კიდევ ცხრაას ხუთში შევედი. როცა 1918 წელს ლატვიაში საჭოთა ხელისუფლებამ გა-იმარჯვა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოად-გილე გავხდი. იმპერიალისტებმა ჩვენი დამ-ხობა შეძლეს. ამის შემდეგ საბჭოთა რუსეთ-ში ვარ, ქვეყანაში, სადაც კაცობრიობის მო-მავალი იჭედება....

ზორგემ მწარედ გაიღიმა.

— ჩემი სიტყვები სასაცილოდ გეჩვენებათ? — შეეკითხა ბერზინი.

— აბა, რა გითხრათ? ის, რაც რუსეთში ხდება...

— მაგრამ თქვენ საშუალება გქონდათ, გაქ-ცეულიყავით. აკი ვეროპაში სპეცმეფლინებით გაგაგზავნეს. რატომ არ დარჩით?

— რა გითხრათ? ვეროპაში სრული სული-ერი ვაკუუმი! ამას გარდა, დარჩენა ამხანა-გების ლალატიც იქნებოდა. ისინი ხომ მენდნენ.

— რიხარდ, „აკვარიუმში“ შემთხვევით ხალხს არ ვიღებთ. კარგა ხანია გაკვირდებით და ასეთ დასკვნამდე მივდი: თქვენნაირი ადა-მიანი ძალიან გეჭირდება.

საკმაო ფიქრის შემდეგ ზორგე დათანხმდა. ამის შემდეგ იყო ხანგრძლივი სპეცმოშხადე-ბა, რიხარდმა გრუ-ს მთელ სკოლა გაიარა. კურსი ძალიან მომქანცველი იყო, ამას ბევრი ვერ უძლებდა. ზორგემ გაუძლო. მიუხედავად ამისა, ბერზინი მის საზღვარგარეთ გაგზავნას არ ჩქარობდა — დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ რუსეთზე სამუდამოდაა მიჯაჭვული.

მალე გრუ-მ ზორგეს ერთი ლამაზი ქალი „მიუგლო“. მომხიბვლელი ეკატერინა მაქსი-მოვა ზორგეს მღივანი გახდა. მალე დაქორ-

ზორგეს ფოტოპორტრეტი გერმანული არქივიდან





ვალტერ შელენბერგი

წინდენ კიდეც და ზორგე საზღვარგარეთ გაგზავნეს.

საცვივლინებით ჩინეთში

ჩინეთში ბერზინს უკვე ჰქონდა აგენტურის ფართო ქსელი. ზორგეს წყალობით ის გაძლიერდა და განმტკიცდა.

— რიხარდის უახლოესი თანაშემწეები რადისტი მაქს კლაუზენი და მისი მეუღლე ანა გახდნენ, — წერს კირილ სტოლიარიოვი, — ამიტომაც ორგანიზაციას, რომელიც ზორგემ შექმნა, შემოკლებით „რამზაი“ ეწოდა. ის ასე იძიებდა: „რიხარდ ზორგე, ანა და მაქსი“.

ზორგე ვირტუოზულად მუშაობდა. აგენტურა ჰყავდა ჩინელ გენერალ-მილიტარისტებს შორის, აგრეთვე რუსული ემიგრაციის რიგებში. სწორედ ჩინეთში გაიცნო იაპონელი მეცნიერი და ჟურნალისტი ჰოძუმი ოძაკი, რომელსაც პრინც კონოესთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა. ზორგემ ეს კაცი თავის აგენტად და საიმედო თანაშემწედ აქცია. ამას გარდა, ახლო ურთიერთობები დაამყარა გერმანულ სათვისტომოსთან ჩინეთში, სადაც კომუნისტებიც იყვნენ და ნაციისტებიც. ზორგე ლამის ყველასთან მეგობრობდა.

ნაციისტებთან მეგობრობის წყალობით, ზორგე გადის ნაციისტთა წრეში ძალიან დაფასებულ პროფესორ პაუსპოფერზე. მალე პაუსპოფერის ჟურნალ „გეოპოლიტიკაში“ რიხარდ ზორგეს სტატიებიც ჩნდება.

დაბრუნება გერმანიაში

მოსკოვიდან ზორგე ჩინეთში ჩადის. ამის შემდეგ მისი გაქცევის კომედია გათამაშდა. ზორგე მიემგზავრება ლათინურ ამერიკაში, იქიდან კი ბერლინში. რიხარდი პირდაპირ თავისიანებს მიადგა. დედა და ძმა გულმხურვალედ გადაეხვედნენ.

— კომინტერნის დაულებით ჩინეთში ვმუშაობდიო, — „გამოუტყდა“ თავისიანებს.

— კომინტერნის აგენტი ხარ? — ძმას ფერი ეცვალა.

— ვიყავი, — შეუსწორა ზორგემ, — ყველაფერი ყელში ამომივიდა, გამოვიქეცი და ახლა ახალ გერმანიას მინდა ვემსახურო.

ძმა ერთხანს ყოყმანობდა, თუმცა ბოლოს რიხარდი დოქტორ გებელსს შეახვედრა. ნაციისტთა მთავარ იდეოლოგს რიხარდი მოეწონა და პირდაპირ განუცხადა, რომ ზორგემ ერთგულება საქმით უნდა დაუმტკიცოს. დაუპირისპირება საპასუხისმგებლო იქნება. აღმოსავლეთს



ოტო გუმბელი

კარგად იცნობთ, ამიტომ ტოკიოში როგორც ჩვენი გაზეთის კორუსპონდენტი, ისე გაემგზავრებით. უშუალო კავშირი ჩემს მეგობარ ფონ რიტგენთან გექნებათო. ფონ რიტგენი პარტიის საგარეო ურთიერთობათა განყოფილებაში მუშაობდა.

ამოგავალი მზის ქვეყანაში

იაპონიაში ჩასული ზორგე დაუკავშირდა გერმანიის ელჩს, დირქსენს, რომელიც მას უნდობლად შეხვდა. სამაგიეროდ, ახლო ურთიერთობა დაამყარა სამხედრო ატაშე ეიგენ ოტთან. ამ დროს კვლავ შეხვდა თავის პირველ სიყვარულს. ჰელგა ახლა ოტის ცოლი იყო. ძველმა გრძნობამ თავისი ჰქმნა და... ზორგეც ოტის სახლში გაშინაურდა. ოტს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ რიხარდი მისი ცოლის საყვარელი გახდა, ზორგე მეგობრად მიაჩნდა და მოფერებით იკას ეძახდა. მალე ოტი ელჩად დანიშნეს, ზორგე მისი არაოფიციალური მრჩეველი შეიქნა. იმავედროულად, რიხარდმა აღადგინა კონტაქტები ოძაკისთან. მალე ფონ რიგენს პირველი წერილიც გაუგზავნა და მალე მათ შორის გაცხოველებული მიმოწერა გაჩაღდა.

„ზორგეს ყოველი წერილი ამომწურავ სადაზვერვო რეპორტაჟს წარმოადგენდა“, — წერს ვალტერ შელენბერგი. გრუ არ ჩქარობდა ზორგესთან კონტაქტების დამყარებას. ბერზინმა მოიცადა, სანამ რიხარდი თავის მდგომარეობას არ გაიმყარებდა. შემდეგ იაპონიაში ჯერ ანა და მაქს კლაუზენები გადაისროლეს, შემდეგ ბრანკო ვუკელიჩი. ის იუგოსლავიის კომპარტიის წევრი იყო. გრუ-მ ის იდეურ ნიადაგზე მოისყიდა. ვუკელიჩი ზორგეს ერთ-ერთი უახლოესი თანაშემწე გახდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო მხატვარ მიაგის როლიც. ის ძირითადად პატრიოტულ თემატიკაზე მუშაობდა და იაპონელ გენერლებს შორის კავშირიც გააჩნდა. იაგის წყალობით ზორგემ იაპონიის გენშტაბში თავისი აგენტურული ქსელი შექმნა. ამრიგად, „რამზაიმ“ იაპონიაში ფესვები ღრმად გაიდგა. მისმა საცეცხბმა შეადწინეს ყველგან, დაწყებული სამინისტროებით და დამთავრებული სასახლით.

სტალინი: ზორგესთან კონტაქტი უნდა გაგრძელდეს!..

სტალინურმა წმენდებმა უამრავი ადამიანი შეიწირა. მათ შორის „აკვარიუმის“ შემქმნელი იან ბერზინიც აღმოჩნდა. რეპრესიაში გრუ-ს უამრავი თანამშრომელი მოჰყვა.

ТЕЛЕГРАФНОЕ ДОНЕСЕНИЕ

Из ТОКИО ... 13 авг. 30 мин. 17 - 1941 г.
Получена в штабс 16 авг. 30 мин. 17 - 1941 г.

НАЧАЛЬНИКУ РАЗВЕДЫВАТЕЛЬНОГО УПРАВЛЕНИЯ
ГЕНШТАБА КРАСНОЙ АРМИИ
ТОКИО, 15 июня 1941 года

Германский курьер сказал военному атташе, что он убежден, что война против СССР выдвигается, вероятно, до конца июня. Военный атташе не знает - будет война или нет.

Я видел начало сообщения в Берлине, что в случае возникновения германо-советской войны, Япония потребует около 5 недель, чтобы начать наступление на советской Дальний Восток, но немцы считают, что японцы потребуют больше времени потому, что это будет война не суше и море (после браны искали).

ЗОРГЕ

ზორგეს შეტყობინება ტოკიოდან, სადაც ის იუწყებოდა, რომ გერმანია საბჭოთა კავშირს 1941 წლის 22 ივნისს დაესხმებოდა თავს



ზორგეს საბუთი ადასტურებდა, რომ ის პრესის წარმომადგენელი გახლდათ



კომინტერნის თავყრილობა. ლენინის ზურგს უკან წარწერა ქართულადაც არის შესრულებული



კადრები ფრანგულ-გერმანულ-იტალიურ-იაპონურ ფილმიდან „ვინ ხართ თქვენ, ბატონო ზორგე?“ (1961), და აფიშა საბჭოთა კინოგაქიერაგებაში



„აკვარიუმს“ სათავეში შინსახკომის შეფი ეჟოვი ჩაუდგა, რომელმაც საიდუმლო პოლიციის შეფის პოსტიც შეინარჩუნა. ეჟოვმა ზორგე მოსკოვში გამოიძახა. რიხარდმა დაბრუნებაზე უარი განაცხადა, რადგან კარგად იცოდა, მოსკოვში რაც მოელოდა.

რეზიდენტი, რომელიც ცენტრის ბრძანებას არ ემორჩილება, მოდალატეა. ეჟოვმაც ზორგეს შესახებ სტალინს მოახსენა და მისი ლიკვიდაცია მოითხოვა. სტალინმა ბრძანა, ზორგეს ვეველა შეტყობინება მოეტანათ. დიქტატორი მათ პირადად გაეცნო.

— შესაძლოა ეს ზორგე მართლაც ორმაგი ან სულაც სამმაგი აგენტია, — წარმოთქვა სტალინმა, — თუმცა უდავოა ისიც, რომ იაპონიასა და საერთოდ აღმოსავლეთს ძალიან კარგად იცნობს. ამიტომ მასთან კონტაქტი უნდა გაგრძელდეს. მისი ყოველი ცნობა გულდასმით გადაამოწმეთ. მე მათ პირადად გავუცნობი.

ზორგე და გერმანული სამცსამსახურები

— რიხარდ ზორგეს შესახებ პირველად 1938 წელს შევეტყვე. — წერს შელენბერგი, — მის შესახებ ფონ რიტგენმა მიაგმო.

რიტგენს იმ დროისთვის პრობლემები შეექმნა. ნაცისტური პარტიის ზოგიერთი დიდმოხელე ზორგესთან კონტაქტს ალმაცერად უყურებდა. რიტგენმაც დახმარებისთვის შელენბერგს მიმართა. ამ უკანასკნელმა ბრძანა, მისთვის ზორგეს დღისე მთავრანათ.

— როცა დღისე გავეცანი, წინააღმდეგობროფმა განცდამ შემიპყრო, — წერს შელენბერგი. მას პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება არ სურდა, ამიტომ ყოველივე სდ-ს (უსაფრთხოების სამსახურის) შეფ ჰაიდრიხს მოახსენა. ზორგეს დღისე ჰაიდრიხი ყურადღებით გაეცნო, შემდეგ შელენბერგს ჰკითხა, — ეს ზორგე ვისზე მუშაობსო.

— არ ვიცი, — გულახდილად მიუგო შელენბერგმა.

— თქვენ იზრით, რუსებთან აქვს კონტაქტი?

— არ გამოვრიცხავ, — შელენბერგმა ამოიოხრა და დასძინა, — ზორგეს არ ვენდობი.

— არც მე, — ჰაიდრიხი ჩაფიქრდა, — თუმცა უდავოა ერთი, ეს კაცი იაპონიას კარგად იცნობს. მისი პატაკებიც უამრავ საინტერესო ცნობას შეიცავს.

საბოლოო გადაწყვეტილება ჰაიდრიხმა მიიღო: ზორგეს კონტაქტები კვლავაც ფონ რიტგენთან ექნება, შელენბერგი კი დაიცავს მას პარტიულ ორთოდოქსთა თავდასხმების-გან. თავის მხრივ, ტოკიოში საგანგებო მისი-ით სდ-ს ოფიცერი მაიზინგერი გაემგზავრება. ოფიციალურად ის გერმანიის პოლიცაი-ატა-შეს თანამდებობას დაიკავებს, სინამდვილეში მისი მთავარი ამოცანა რიხარდ ზორგეს თვალთვალი იქნება.

ოში 1941 წლის 22 ივნისს დაიწყება!

ზორგე ინტენსიურად განაგრძობდა როგორც მოსკოვის, ისე ბერლინის ზესაიდუმლო ცნობებით მომარაგებას. მდგომარეობა საგანგაშო ხდებოდა. 1939 წელს მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. ჰიტლერელებს ძალიან აინტერესებდათ, როგორ მოიქცეოდა იაპონია — დაუჭერდა თუ არა მხარს გერმანიას, თუ მესამე რაიხი რუსეთთან ომს დაიწყებდა? ზორგემ ბერლინს აცნობა, რომ იაპონია ომს აშშ-ის და არა რუსეთის წინააღმდეგ დაიწყებს. ზორგე მიიჩნევდა, რომ პაქტი ბერლინი-რომი-ტოკიო გერმანიას ვერანაირ რეალურ სარგებლობას ვერ მოუტანდა. მეტიც, იაპონია სსრკ-თან სამშვიდობო პაქტს დადებდა და მას განუხრელად დაიცავდა.

— არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ზორგეს გერმანული საიდუმლო სამსახურის მოტყუება ან შეცდომაში შეყვანა ეცადა, — წერს ვალტერ შელენბერგი.

იმავედროულად, რუსებსაც ძალიან აინტერესებდათ, დაესხმებოდა თუ არა ჰიტლერი თავს სსრკ-ს? ზორგეც დავალების შესრულებას კეთილსინდისიერად შეუდგა. რიხარდმა ჰელგას მოსთხოვა, ქმრისთვის სეიფის გასაღები მოეპარა და მისთვის გადაეცა. ქალმა, ბუნებრივია, უარით უპასუხა. მაშინ ზორგემ წინ დაუდო თავიანთი ინტიმური ფოტოები. ჰელგა იძულებული გახდა, რიხარდის ბრძანება შეესრულებინა. ზორგემ სეიფიდან საიდუმლო დოკუმენტების ფოტოასლები გადაიღო. აქედან ცნობილი გახდა ომის დაწყების ზუსტი თარიღი: 1941 წლის 22 ივნისი. ზორგემ ეს ინფორმაცია მოსკოვში გაგზავნა.

მეგობრად, გვარად ზორგე, ჩვენთვის უცნობია!

სტალინმა, როგორც ცნობილია, ზორგეს არ დაუჯერა, თუმცა როცა 22 ივნისი გათენ-



ზორგეს საფლავი ტოკიოში



ზორგეს მონუმენტი ბაქოში



ვლადიმერის გამოშვებული საფოსტო მარკა



საბჭოეთში შექმნილი მზევრავის ხატება: მტკიცე ნების ადამიანი, გამჭრიახი, მარჯვე და გამბედავი, შეფერებული აქვს მტრის სამოსი, არჩევს მკაცრ კოსტიუმს...

და და გერმანელებმა შეტევა დაიწყეს, მისი შეტყობინება გაიხსენა. ცოტა ზნის შემდეგ რიზარდმა მოსკოვში ახალი ცნობა გაგზავნა. ის იტყობინებოდა, რომ იაპონია აშხადებდა თავდასხმას პერლ-ჰარბორზე და რუსეთთან ომს არავითარ შემთხვევაში არ დაიწყებდა. სტალინმაც შორეული აღმოსავლეთიდან მთელი დივიზიების მოხსნა და მოსკოვისკენ გადაისროლა. ამან მოსკოვთან ბრძოლის ბედიც გადაწყვიტა.

ეს ინფორმაცია ზორგემ უკვე იაპონიის კონტრდაზვერვის ჩუმი თანხმობით გადასცა. 1940 წლისთვის იაპონელებმა „რამზაის“ რიგებში შეაღწიეს. მათ მიიჩნიეს, რომ ზორგემ მუშაობა უნდა განაგრძოს. რუსების მიერ შორეული აღმოსავლეთიდან მთელი დივიზიების მოხსნა ტოკიოს ინტერესებს

სრულად შეესაბამებოდა. ამის შემდეგ იაპონიას ხელ-ფეხი უკვე გახსნილი ჰქონდა, ზორგე კი აღარ სჭირდებოდა. ის მალე დააპატიმრეს. გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ ცოლ-ქმარი კლაუზენები, ვუკელიჩი, მიაგი და „რამზაის“ სხვა წევრები. ზორგე დარწმუნებული იყო, რომ რუსები მას დაიცავდნენ. იაპონია სსრკ-თან ომის მდგომარეობაში არ იმყოფებოდა, ამიტომ გაცვლა მართლაც რეალური იყო, თუმცა რუსებმა იაპონელთა წინადადება უარყვეს:

— მზევრავი, გვარად ზორგე, ჩვენთვის უცნობია! — ასეთი იყო მათი პასუხი.

ეიგენ ოტი ამაოდ ცდილობდა რიზარდის დახმარებას. ასეთი თავგამოღება მას ძვირად დაუჯდა. იაპონელებმა გერმანელებს გადასცეს უტყუარი ცნობები, რომლებიც ზორგეს რუსებთან კავშირს ადასტურებდა. ამის შემდეგ ოტი ელჩობიდან გადააყენეს. პოლიცია-ატაშეს თანამდებობა მაიზინგერმაც დატოვა. ზორგე კვლავ იაპონურ ციხეში რჩებოდა. იაპონელებმა კიდევ რამდენიმეჯერ მიმართეს რუსებს გაცვლის შესახებ. რუსები ჯიუტად პასუხობდნენ, მზევრავი გვარად ზორგე ჩვენთვის უცნობიაო. 1944 წელს რიზარდ ზორგე ჩამოასრჩვეს.

* * *

ვინ ხართ თქვენ, დოქტორო ზორგე? — ეს კითხვა დღესაც გაისმის. პასუხის გაცემა არაერთმა ცნობილმა ისტორიკოსმა თუ სპეცსამსახურის თანამშრომელმა სცადა. მართლაც, ზორგემ რუსებს უამრავი მნიშვნელოვანი ინფორმაცია გადასცა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ცნობებიც, რომლებიც მან გერმანელებს მიაწოდა. ამავე დროს ზორგემ იცოდა, რომ იაპონია პერლ-ჰარბორზე თავდასხმას აშხადებდა, მაგრამ მის ასაცილებლად არაფერი გაუკეთებია. ამერიკისადმი მიყენებული ზიანი განუზომელია. კითხვაზე, ვინ არის ზორგე, ყველაზე კარგად მაინც ვალტერ შელენბერგმა უპასუხა:

— ზორგე იყო კაცი, რომელიც მიდიოდა საკუთარი გზით და მუშაობდა მარტო. მას გერმანია-რუსეთის შეთანხმების იმედი ჰქონდა. ამავე დროს მას სძულდა მმართველობის ისეთი ფორმები, როგორიცაა ფუშიში ან ნაციონალ-სოციალიზმი. მათ წინააღმდეგ ყველასთან თანამშრომლობდა.


ახლა უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომი!

საქართველოს ისტორიის ოთხტომეული
უკველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე

„კვირის პალიტრასთან“
ერთად თვეში ერთხელ
თითო ტომი

6-დან 13 აპრისამდე
ტომი IV

XIX-XX საუკუნეები



ნიგინს
საპიციალური
ფასი
9 ლარი



**იქონიე საქართველოს
ისტორია შენს თაროზე!**

ევროპის ჩემპიონატების ფინალუბი


ანხი
დაცონა –
ხასი,
ხოთაცხას
ფეხბუხითი
ძციუხი
უყვიხეა



სულ ახლახან ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელებმა ტრიუმფით მოიარეს მადრიდის ქუჩები და ასეულ ათასობით ტორსიდას (საფეხბურთო სლენგით, ფანატიკოს გულშემატკივარს ნიშნავს) სიამაყით აჩვენეს კიევიში მოგებული პრიზი. თასი ანრი დელონეს სახელობისაა, თუმცა არ გვეგონია, თუნდაც „ფურია როხას“ წევრების უმეტესობამ იცოდეს, რატომ. რომ აღარაფერი ვთქვათ ფართო საზოგადოებაზე. არადა, ანრი დელონე ის კაცი იყო, რომელმაც „ბებერ კონტინენტს“ ამ შესანიშნავი ტურნირის იდეა აჩუქა, თავად კი ამ ტურნირს ვერ მოესწრო.

ანრი დელონე ფეხბურთზე გახლდათ შეყვარებული. კარიერის დასრულების შემდეგ მსაჯობა დაიწყო, რომელიც ერთი უსიამოვნო ინციდენტის გამო მიატოვა — ბურთი სახეში ისეთი ძალით მოხვდა, რომ წინა ორი კბილი ჩაუტეხა, სასტვენს კი გადაეყვალა. სიკვდილს გადარჩენილმა დელონემ საფეხბურთო ადმინისტრაციაში გადაინაცვლა. იგი 36 წლის განმავლობაში საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას ხელმძღვანელობდა, გარდაცვალებამდე იყო უეფას პირველი გენერალური მდივანი.

1927 წელს ფიფას წევრები პარიზში შეიკრიბნენ, სადაც ანრი დელონე თამაში იდეით გამოვიდა — ფეხბურთი უკვე იმდენად პოპულარულია, რომ დროა, დიდი საერთაშორისო ტურნირი დაწესდეს, თუნდაც ევროპის კონტინენტის პირველობაო. მაშინ მის იდეას წაუერრეს. ერთი წლის შემდეგ კი დაადგინეს, რომ მეორე ფრანგის იდეის ხორცშესხმა ჯობდა — ფიფამ ჟიულ რიმეს ინიციატივა მოიწონა და უკვე ორი წლის შემდეგ



ანრი დელონე

ანრი დელონეს იდეა გახლდათ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაც (მომავალი ჩემპიონთა ლიგა)!

ურუგვაიში მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი გაიმართა. სხვათა შორის, ანრი დელონე მისი ერთ-ერთი ინიციატორიც იყო. მისი იდეა გახლდათ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაც (მომავალი ჩემპიონთა ლიგა). ფაქტობრივად, ამ კაცს უნდა ვუმადლოდეთ, რომ თანამედროვე ფეხბურთი ასეა მოწყობილი და არა სხვაგვარად. მან ჯერ კიდევ 20-იან წლებში განჭვრიტა ის მომავალი, რომლის ნახვაც თავად არ ეწერა.

ევროპის ჩემპიონატს კი მოცდამ მოუწია... 1960 წლამდე.





1960 წლის გამარჯვებული საბჭოთა კავშირის ნაკრები

**1960
სსრკ-იუგოსლავია 2:1**

ევროპის თასი ანრი დელონეს სახელი ეწოდა. თავიდან ეს იყო სუსტი, თანაც არაოფიციალური ტურნირი (ევროპის ერთა თასი ერქვა). გუნდების შეკრება ჭირდა. 1960 წელს უეფას ცამეტმა წევრმა (მათ შორის ინგლისმა, დასავლეთ გერმანიამ, იტალიამ და პოლანდიამ) უარი განაცხადა პირველობაში მონაწილეობაზე. მათი აზრით, ფეხბურთელები კლუბებში გადაიღალნენ, ხოლო ევროპის ჩემპიონატი პრესტიჟული შეჯიბრება არ იყო. პირველ ჩემპიონატში თამაშის სურვილი მხოლოდ ჩვიდმეტმა ქვეყანამ გამოთქვა, გაიმართა ერთი წინასაკვალიფიკაციო რაუნდი, შემდეგ კი მერვედფინალები და მეოთხედფინალები (მიმოსვლით). ნახევარფინალები და ფინალი საფრანგეთში მოეწყო, რადგანაც ანრი

ესპანეთის ნაკრები 1964 წელს



დელონე ფრანგი იყო. პირველი პოლიტიკური სკანდალიც მალე ვიხილეთ — ესპანელებმა უარი თქვეს საბჭოთა კავშირში ჩასვლაზე, რის გამოც ეს გუნდი გათამაშებიდან მოხსნეს. ფინალურ ეტაპზე გავიდნენ სსრკ, საფრანგეთი (მაშინ მასპინძლებს ავტომატურად ადგილი არ ენიჭებოდათ, უნდა ებრძოლათ), ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია.

ფინალი პარკ დე პრენსზე, წვიმიან ამინდში გაიმართა და მას 18 ათასი მაყურებელი დაესწრო. ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში პირველი გოლი იუგოსლავიის ნაკრების ფორვარდმა მილან გალიჩმა გაიტანა. სერბმა თვე-ნახევრის შემდეგ რომის ოლიმპიადა მოიგო, პარიზში 43-ე წუთზე გატანილი გოლი კი მხოლოდ ისტორიული აღმოჩნდა, მაგრამ არა გამარჯვების. მეორე ტაიმის მე-4 წუთზე სლავა მეტრეველმა (ევროპის ჩემპიონატების ფინალების ისტორიაში მეორე გოლი ჩვენია) ანგარიში გაათანაბრა. დამატებით დროში, 113-ე წუთზე პირველი ტიტული საბჭოთა კავშირს ვიქტორ პონედელნიკმა მოუპოვა. საგოლე კომბინაცია მეტრეველმა წამოიწყო, მესხმა განაგრძო და პონედელნიკმა თავური დარტყმით დაასრულა. ფინალში სამმა ქართველმა ითამაშა: სლავა მეტრეველმა, გივი ჩოხელმა და მიხეილ მესხმა. საინტერესოა, რომ მაშინდელმა ჩემპიონმა ითამაშა ტაქტიკური სქემით — 3-2-5! წარმოიდგინეთ, გუნდი ხუთი ფორვარდით უტყედა. დღევანდელობას რომ დაუბრუნდეთ, ესპანეთის ნაკრებმა იტალიასთან ფინალში სასტარტო შემადგენლობაში ერთი ნაღდი ფორვარდიც კი არ გაამწესა.

**1964
მსაანეთი-სსრკ 2:1**

ამჯერად ევროპის ჩემპიონატზე თამაშის სურვილი 29 ქვეყანამ გამოთქვა. ესპანეთში ოთხი გუნდი მოხვდა, ჩემპიონი საბჭოთა კავშირი, მასპინძელთა გუნდი, უნგრეთი და დანია. სხვათა შორის, ჯერ გაირკვა ოთხეული და მერე დასახელდა მასპინძელი ქვეყანა, რაც დღეს ყოვლად წარმოუდგენელია. ფინალი 21 ივნისს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართა და შეხვედრას 80 ათასი მაყურებელი დაესწრო. ქართველებს ფინალში არ უთამაშიათ. მატჩის დასაწყისში პერედამ და ჰუსაინოვმა გაცვალეს გოლები, 84-ე წუთზე კი მარსელინომ ესპანეთს პირველი ტიტული მოუტანა.

1968

იტალია-იზროსლავია 1:1 და 2:0

შეჯიბრებას, როგორც იქნა, ევროპის ჩემპიონატი ეწოდა. მცირედით შეიცვალა შესარჩევი ტურნირის ფორმატიც, თუმცა ფინალურ ეტაპზე იტალიაში ისევ ოთხმა გუნდმა იასპარეზა. სხვათა შორის, მომავალი გამარჯვებული ფინალში კენჭისყრის წყალობით გავიდა, რადგან მამინ პენალტების სერია არ არსებობდა, იტალიისა და სსრკ-ის მატჩის შედეგი კი 0:0 იყო. თვით ფინალი „სტადიო ოლიმპიკოზე“ რომში 69 ათასი მაყურებლის თვალწინ გაიმართა და... 1:1 დასრულდა. იუგოსლავიელი დრაგან ჯაიჩის გოლს ანჯელო დომენგინიმ გოლითვე უპასუხა. ეს მატჩი 8 ივნისს მოეწყო, 10-ში კი გუნდები ხელახლა გავიდნენ სტადიონზე, ახლა მხოლოდ 55 ათასი მაყურებელი მივიდა და არც უნანიათ – ლუიჯი რივამ და პიეტრო ანასტაზიმი ტიტული იტალიაში დატოვეს. ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყო, როცა ტიტულის ბედი ორმა ფინალმა გადაწყვიტა.

1972

გფრ-სსრკ 3:0

ამ ჩემპიონატისთვის ბევრი რამ დაიხვეწა. მაგალითად, მასპინძელი ქვეყანა ადრინად გამოცხადდა და არა როგორც მანამდე, შესარჩევი ტურნირის დასრულების შემდეგ. შემოიღეს პენალტების სერია და გუნდებს ორ-ორი ფეხბურთელის შეცვლის უფლება მიეცათ. აქამდე თამაშს ის თერთმეტეული ამთავრებდა, რომელიც იწყებდა. ფინალში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის გუნდები გავიდნენ. საბჭოთა გუნდის კაპიტანი მურთაზ ხურცილავა იყო, ითამაშა რევაზ ძოძუაშვილმაც. ბრიუსელის „ეი-ზელზე“ 50 ათასი მაყურებლის თვალწინ გერმანელებმა 3:0 დაამარცხეს საბჭოელები. გერდ მიულერმა დუბლი შეასრულა, ერთი გოლიც ჰერბერტ ვიმერმა გაიტანა. მამინ ძოძუაშვილი და ხურცილავა ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდნენ.

1976

**ჩეხოსლოვაკია-გფრ 2:2
(5:3 პენალტების სერიაში)**

ფინალური ტურნირი იუგოსლავიაში გაიმართა. ეს იყო ბოლო ჩემპიონატი, სადაც ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ოთხი მატჩი მოეწყო. ფინალში ჩეხოსლოვაკიისა და დასავლეთ



იტალიის ეროვნული ნაკრები. 1968



გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი. 1972



ჩეხოსლოვაკიის საფეხბურთო ნაკრები. 1976

გერმანიის გუნდები გავიდნენ. ბელგრადში, „ცრვენა ზვეზდას“ სტადიონზე 31 ათასი ქომაგი შეიკრიბა. პირველ ტაიმში სლავები იგებდნენ. იან შვეგლიკისა და კაროლ დობიაშის



გფრ-ის გუნდი 1980 წელს

გოლებს მხოლოდ ერთი დაუპირისპირა დიტერ მიულერმა. მატჩის უკანასკნელ წუთზე ბერნდ ჰიოლცენბაინმა გაათანაბრა ანგარიში – 2:2. ასე მივიდა საქმე პენალტების სერიამდე, პირველად ევროპის ჩემპიონატების ფინალების ისტორიაში. გადამწყვეტი ანტონინ პანენკას პენალტი აღმოჩნდა, მსუბუქი, ტექნიკური დარტყმა. ასეთ სტილს ეწოდა პანენკას პენალტი. სხვათა შორის, წლეგანდელ ჩემპიონატზე პანენკას პენალტი დაარტყევს იტალიელმა ანდრეა პიროლომ და ესპანელმა სერხიო რამოსმა, ორივემ ვირტუოზულად. აი, რას ამბობდა თავად პანენკა: „დიდი ხნის წინ მქონდა მოფიქრებული ეს დარტყმა. მეკარეების 99% ერთ ადგილას არ რჩება, ისინი სწრაფად მოძრაობენ რომელიმე მხარეს. თუ ცენტრში ბურთს ძლიერად დაარტყამ, ის შეიძლება მეკარეს მოხვდეს კიდევაც, მაგრამ თუ ნელა...“ ფეხბურთის მეფემ პელებმ ერთხელ პანენკაზე თქვა: „ის ან სულელია, ან გენიოსი“.

საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრები. 1984



1980

გფრ-ბელგია 2:1

ტურნირს კვლავ იტალიამ უმასპინძლა (როგორც 1968 წელს). ფინალურ ეტაპზე რვა ქვეყანა პირველად მონაწილეობდა. ასევე პირველად ისტორიაში, მასპინძელ ქვეყანას შესარჩევი ბატალიების გარეშე მიეცა ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება. დანარჩენმა შეიძმა ნაკრებმა კი ამის უფლება თამაშით მოიპოვა. გუნდები ორ ჯგუფად ასპარეზობდნენ, მათი გამარჯვებულები კი ფინალში გაედნენ. რომის „ოლიმპიკოზე“ 48 ათასმა მაყურებელმა ნახა გერმანელთა მეორე ტრიუმფი ევროპის ჩემპიონატზე, მათ ბელგიელები დაამარცხეს – 2:1. ჰორსტ ჰრუბეშმა გახსნა ანგარიში, მაგრამ მეორე ტაიმში რენე ვანდერეიკენმა პენალტით გაათანაბრა. მატჩის გმირმა ჰრუბეშმა თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე გამარჯვების გოლი გაიტანა.

1984

საფრანგეთი-ესპანეთი 2:0

პირველად მოხდა, რომ ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი ერთზე მეტმა ქვეყანამ გამოთქვა, უეფამ საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას შორის არჩევანი პირველზე შეაჩერა. საფრანგეთის ნაკრებს მაშინ გამორჩეული ლიდერი ჰყავდა – უეფას ახლანდელი პრეზიდენტი მიშელ პლატინი. პლატინიმ ხუთ მატჩში ცხრა გოლი გაიტანა. ფინალში „მაძლები“ ესპანელებს შეხვდნენ და პლატინისა და ბრუნო ბელონის გოლებით 2:0 გაიმარჯვეს. პლატინის გოლი ბევრს ეხსომება – ფრანგმა საჯარიმო დარტყმა შეასრულა, ესპანელთა გოლიკაპერ ლუის არკონადას კი ბურთი ხელეგმომ გაუსხლტა. ეს საფრანგეთის ნაკრების ისტორიაში პირველი დიდი ტიტული იყო. მატჩს „პარკ დე ფრენსზე“ 48 ათასი გულშემატკივარი დაესწრო.

1988

ჰოლანდია-სსრკ 2:0

ტურნირს დასავლეთ გერმანიამ უმასპინძლა და იმით დარჩა ისტორიაში, რომ ერთი მატჩიც კი არ დასრულებულა ნულოვანი ფრით, აგრეთვე, მსაჯებს არც ერთი ფეხბურთელი არ გაუძევებათ. ფინალში ჰოლანდიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებები გავიდნენ. საბჭოელებისთვის ეს მეოთხე ფინალი და უკანასკნელი იყო, რადგან ოთხი

წლის შემდეგ ეს ქვეყანა აღარ არსებობდა. მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ 72 ათასზე მეტი მაყურებელი შეიკრიბა. მათ თითო ტაიმში ჰოლანდიელთა თითო გოლი იხილეს. ჯერ რუედ გულიტმა გახსნა ანგარიში, შემდეგ კი მარკო ვან ბასტენმა გაიტანა. ვან ბასტენის გასროლა ლევენდარულ გოლად დარჩა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში, „მფრინაემა ჰოლანდიელმა“ ძალიან მახვილი კუთხიდან უჩვეულო დარტყმით გაუტანა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს, რინატ დასაევს. ამ შეხვედრას თენგიზ სულაქველიძემ სათადარიგოთა სკამიდან უყურა.



ჰოლანდიის საფეხბურთო გუნდი. 1988

1992

დანია-გერმანია 2:0

შვედეთში გამართული ტურნირი კონკიას ზღაპარს ჰგავდა — მომავალ გამარჯვებულ დანიის ნაკრებს, წესით, არ უნდა ეთამაშა ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ იუგოსლავიაში შინაომი ატყდა და უეფამ შეჯიბრებაში სლაუთა ნაცვლად ვიკინგები დაუშვა. ეს ბოლო ევროპის ჩემპიონატი იყო ფინალურ ეტაპზე რვა გუნდით, უკანასკნელი ტურნირი, სადაც ჯგუფურ ეტაპზე გამარჯვებისთვის გუნდებს ორი ქულა ერიცხებოდათ და უკანასკნელი, რომელშიც მეკარეებს თანაგუნდელების პასის ხელში აღების უფლება ჰქონდათ. ფინალი გეტებორგის „ულევიზე“ გაიმართა და მას 38 ათასი მაყურებელი დაესწრო, გერმანიის ნაკრები (უკვე ერთიანი გუნდი) დანიის ნაკრებს დაუპირისპირდა. გოლები დანიელებმა, იონ იენსენმა და კიმ ვილფორტმა გაიტანეს — 2:0.



დანის ეროვნული ნაკრები. 1992

1996

გერმანია-ჩხეხეთი 1:1 (2:1 ოქროს გოლით)

ევროპული ნაკრებები რიგით მეთე ჩემპიონატში ჩაებნენ. ამჯერად მასპინძელი ფეხბურთის სამშობლო ინგლისი გახლდათ. პირველად ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 16 გუნდი მონაწილეობდა და პირველად გამოჩნდა საქართველოს ნაკრებიც, თუმცა ალექსანდრე ჩივაძის გუნდი შესარჩევ ეტაპს ვერ გაცდა. ფინალი „უემბლიზე“ 30 ივნისს გაიმართა (74 ათასი გულშემატკივარი), ერთმანეთს გერმანელები და ჩხეხები დაუპირისპირდნენ. ჩხეხები პატრიკ ბერგერმა პენალტით დაწინაურა, მაგრამ ოლეგერ ბირჰოფ-



გერმანელი ფეხბურთელები 1996 წელს

მა ანგარიშის გათანაბრება შეძლო. დანიიშნა დამატებითი დრო, თუმცა უკვე მებუთე წუთზე ბირჰოფმა „ოქროს გოლი“ გაიტანა და ფინალიც დასრულდა.



საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრები 2000 წელს

2000
საფრანგეთი-იტალია
1:1 (2:1 ოქროს გოლით)

ევროპის ჩემპიონატს პირველად უმასპინძლა ერთდროულად ორმა ქვეყანამ — ბელგიამ და ჰოლანდიამ. ფინალს როტერდამში 48 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, პირისპირ საფრანგეთი და იტალია დადგნენ. ანგარიში მარკო დელეკიომ გახსნა და „სკუადრა აპურა“ ძალიან ახლოს იყო ტიტულთან, მაგრამ 94-ე წუთზე სილვენ ვილტორმა გაათანაბრა. დამატებით დროში რობერ პირუსისა და დაივდ ტრეზეგეს კომბინაციას ფრანგთა „ოქროს გოლი“ მოჰყვა.

საბერძნეთის ეროვნული გუნდი. 2004



2004
საბერძნეთი-პორტუგალია 1:0

პორტუგალიაში სიურპრიზების კასკადი ვიხილეთ: ფინალურ ეტაპზე ლატვიის ნაკრები გავიდა, გერმანია, ესპანეთი და იტალია ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩნენ, ჩემპიონი ფრანგები კი ბერძნებმა მეოთხედფინალში შეიწირეს. ფინალში მასპინძლები და ბერძნები გავიდნენ. ლისაბონის „ესტადიუ და ლუჟუ“ თამაშს 63 ათასი მაყურებელი დაესწრო. ოტო რეპაგელის საბერძნეთმა ნამდვილი სასწაული მოახდინა — 57-ე წუთზე ანგელოს ხარისტეასმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

2008

მსაპანეთი-გერმანია 1:0

ჩემპიონატს ერთობლივად შევიცარიამ და ავსტრიამ უმასპინძლეს. ფინალი ვენის „ერნსტ ჰაპელზე“ გაიმართა (51 ათასი მაყურებელი), ერთმანეთს ესპანეთი და გერმანია ერკინებოდნენ. 33-ე წუთზე ფერნანდო ტორესმა გერმანელთა კარში მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა და ესპანეთი ტიტულს მეორედ დაეუფლა.

2012

მსაპანეთი-იტალია 4:0

ჩემპიონატი ახლახან დასრულდა და ალბათ ყველას ახსოვს მისი პერიპეტციები. ტურნირს ამჯერადაც ერთობლივად ორმა ქვეყანამ უმასპინძლა — პოლონეთმა და უკრაინამ. ფინალში, კიევის ოლიმპიურ სტადიონზე (63 ათასი მაყურებელი) ესპანელებმა და იტალიელებმა ითამაშეს. პირველად ისტორიაში, ევროპის ჩემპიონებმა ტიტულის დაცვა შეძლეს — ეს ესპანელებმა მოახერხეს, თანაც როგორ: სარეკორდო ანგარიშით და სარეკორდო უპირატესობით! ფერნანდო ტორესი პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ზედიზედ ორ ფინალში გოლები გაიტანა, მის გარდა თავი იტალიელებთან მატჩში დავიდ სილვამ, ხორდი ალბამ და ხუან მატამ გამოიჩინეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ესპანელი ფეხბურთელები 2012 წელს



ესპანეთის ნაკრები 2008 წელს

წლეულს პირველად, ევროპის ჩემპიონობა ფეხბურთელების შეილებმა მოედანზე იზეიმეს



კარლო საკანდელიძე

ყველაზე
მეტად
ბული მაშინ
დამწყდა,
როცა
„მოხუც
ჯამბაზებში“
ვეღარ
ვითამაშე...



კარლო საკანდელიძე

სიბერეშიც გული ძველებურად ახალგაზრდული ჰქონდა, ისევ სურდა, აქტიურად ეცხოვრა, ეთამაშა როლები... სამწუხაროდ, ვეღარ გაუძლო... კარლო საკანდელიძე 82 წლისა გარდაიცვალა.

პირველად რომ ვეწვიე შინ, ერთი-ორი წლის გადასული იყო ახალ ბინაში... მაშინ მიამბო, რომ რამდენჯერმე მოინდომა ეზოში ხეების გახარება. ხან უგულო ადამიანები ხელყოფდნენ ნერგებს, ხან უყურადღებოები... ის კი შეთერთმე სართულიდან გადმოხედავდა და თუ თვალს შეასწრებდა, აუცილებლად საყვედურით სავე ხმით მიამახებდა სათქმელს: შეხედეთ, ნერგია! ნუ დაამტკრევთ, ნუ გადაუვლით!

შეიძლება ვინმემ იფიქრა კიდევ, რა მოჩხუბარი კაცია ეს ჩვენი მეზობელი კარლო საკანდელიძეო, მაგრამ რა ექნა, აბა, მცენარე ვერაფერს იტყოდა თავის დასაცავად და...

დიდი და მცირე როგორ არ არსებობს დედამიწაზე, მაგრამ მცირესაც რომ ისე უყვარს

სიცოცხლე, როგორც დიდს, ყვაილსაც რომ ისე უხარია შხის ამოსვლა, როგორც ადამიანს, ზომ უნდა გვახსოვდესო, — ამბობდა.

ძალიან მგრძობიარე იყო, თუმცა ამის გამოხატვას თავს არიდებდა. მაგრამ უნდა გენახათ, როცა წარსულზე ლაპარაკობდა, როცა მამამისის მონადირე ძაღლს ან მოხდენილ ცხენს იხსენებდა. უყვარდა ცხოველებიც, მცენარეებიც... უყვარდა მთელი სამყარო!

ახლა, როცა კარლო საკანდელიძე ზეციურ სასუფეველში გადავიდა, მისი დარგული ხე შრიალს განაგრძობს და მისი ნათამაშები როლები ისევ განიჭებს სიამოვნებასა და სიხარულს.

კარლო საკანდელიძე იხსენებდა თავის ცხოვრებაზე:

მართლა კარგია გარიჟრაჟი სოფელში. ჩიტების ჭიკჭიკი, მდინარის ჩუჩჩუხი... ახლაც თვალწინ მიდგას ჩემი სოფელი და იქაური თვალწარმტაცი ბუნება... ვანის რაიონის სოფელ ზედაბზვანში ვიზრდებოდი მესამე კლა-

სამდე. მერე მამამ თბილისში გამომიშვა უფროს დებთან, ბარემ შენც ქალაქში ისწავლე, სკოლაც იქ დაამთავრე და უმაღლესიცო... მეოცე სკოლაში მოვხვდი. მხეიძე იყო სასწავლო ნაწილის გამგე. ძალიან მკაცრი კაცი იყო. მისი ხელი მეც მომხვედრია. ცელქი ვიყავი, ვერ გამაჩერებდი. დერეფანში დავბოდი... მას კი ასეთი წესი ჰქონდა, ზარი რომ დაირეკებოდა, ორ-ორი უნდა დაემდგარიყავით და დინჯად გვესიერნა დერეფანში... ვერ ვეგუებოდი ამ წესს და ხშირად ვარღვევდი, იბარებდნენ ჩემს დებს და იყო ერთი ამბავი...

ნორმალურად ვსწავლობდი. არ ვიტრაბახებ, სამედიც მქონდა მათემატიკაში.

სოფელშიც არ ვიკლებდი ცელქობას. რომ ჩავიდოდი, აღებული მქონდა მთელი სოფელი. ცხენის ჭენება მიყვარდა ძალიან.

მამა რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი იყო, მაგრამ ნადირობა უყვარდა და შინ სულ გვეყავდა მონადირე ძაღლები და ცხენები. არ დამაუიწყებდა, დედალ-მამალი ძაღლი გვეყავდა გარეულ ღორზე სანადიროდ. გაიქცეოდნენ, ეცემოდნენ ღორს კანკში. ჩაიჩოქებდა ღორი... ასე ჰყავდათ გაჩერებული, სანამ არ მივიდოდა მონადირე და არ ესროდა...

მეც მიყვარდა ნადირობა, მწყერზე დავდიოდი...

მამა ენამოსწრებული კაცი იყო. მე კი სულ ვერიდებოდი, ის რომ ხუმრობას იწყებდა, გა-

ვიპარებოდი ხოლმე. ხუმრობა-ხუმრობაში ისეთი ტკბილი კბენა იცოდა ხოლმე, რომ... ამიტომაც გაეუბოდი.

დედა — აგრაფინა მამის გარდამეცვალა, სამი წლის რომ ვიყავი. დედა მხოლოდ ისე მახსოვს, წყალზე რომ მივდიოდით და ჩვენ უკან ძაღლი რომ მორბოდა.

მამა მივლიდა. დები რომ თბილისში იყვნენ, მარტო ვრჩებოდით. მეზობლებს დაუძახებდა და ისინი გვიკეთებდნენ სადილს. მივლიდნენ მეც და მამაჩემსაც. ერთხელ ცხენი მოვიპარე და გავაჭყენე. მაგრად გაბრაზდა მამა. მას მერე არც გაკარებებოდა უნებართვოდ ცხენს.

სამეურნეო სამუშაოს არ მავალებდა, მისი მოსწავლეები ეზმარებოდნენ...

მაინც არ მქონდა ტკბილი ბავშვობა, ობლობა მხელიდა...

კარგა მოზრდელი ვიყავი, მამამ მეორედ რომ იქორწინა. დედინაცვალი კარგი ქალი იყო, შვილივით მივლიდა, არაფერს მაკლებდა... ალათი ერქვა ცხონებულს. დედას ვერ ვეძახდი. მამასაც ვეღარ ვეძახდი მამას დედინაცვლის შემდეგ... რატომ? არ ვიცი... არ სწყინდათ, იცინოდნენ.

მეოთხე კლასში ვიყავი, პიესა დავწერეთ ბავშვებმა. მამის მოდური იყო ესპანელების თუბა და ჩვენი პიესაც ესპანელ ბავშვებზე იყო. პიესის ავტორები ვიყავით მე, შოთა კუპრავა



„დაღლა არ ვიცოდი რა იყო. ვეველა როლისთვის უდიდეს შრომას ვეღებდი“



მსახიობის როლების გალერეა ერთ-ერთი უმდიდრესია ქართულ კინოსა და თეატრში



და ნათელა მგალობლიშვილი. ასე ერქვა „მა-მა, სდექ“. რა პიესა უნდა ყოფილიყო... დიეგოს ვთამაშობდი, ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ ჩემი დაქალები და ძმაბიჭვები. რეჟისორი მე ვიყავი. მაშინ რომ ჩამიჯდა გონებაში მსახიობობა, ბოლომდე მომევა. ჩავაბარე და პირველივე წელს მოვხვდი თეატრალურ ინსტიტუტში.

ძალიან კარგი პედაგოგები მყავდა. I კურსზე დოდო ალექსიძე გვასწავლიდა, მერე ლილი იოსელიანმა შეცვალა... II კურსზე აკაკი ვასაძე გვიკითხავდა, III-ზე — ვერიკო ანჯაფარიძე. უბედურ კურსს გვეძახდნენ, რადგან პედაგოგებს სულ გვიცვლიდნენ... მე არ მიმაჩნია ასე. ძალიანაც კარგი იყო, ამდენმა ადამიანმა რომ გვასწავლა. ერთ კაცს რომ შეჩვენებდი და სხვისგან ვერაფერს გაიგებ, ძალიან ცუდია.

ჩემი კურსელი იყო დოდო აბაშიძე, მხოლოდ ის ჩემზე ექვსი წლით უფროსი იყო. კურსელი იყო გივი ძნელაძეც...

სცენას, ფაქტობრივად, მე შევრჩი მარტო. არაჩვეულებრივი მეგობრები ვიყავით.

ერთხელ, ახალი წლის დამის შემდეგ ზემელზე მოვდიოდით გოგონებთან ერთად. ტყუილუბრალოდ აგვიტყდნენ ვიღაც მთვრალეები. დოდო აბაშიძემ, — თქვენ მანდ გაჩერდითო, ხელი არ გაგვანძრევინა, გადაუხტა და დაამყავა სუყველა...

სტუდენტი ვიყავი. კიბეზე ავდიოდი, გამოვიდა აკაკი ხორავა კაბინეტიდან და უცებ დამიძახა: „ტოჟე მნე აკტიორ ტეატრა რუსტაველი“... ვუთხარი, სულაც არ ვფიქრობ, რუსთაველში მოვიდე, მარჯანიშვილის თეატრში ვაპირებ წასვლას-მეთქი... მართლაც მეუბნებოდა შალვა დამბაშიძე, წამოდიო... აკაკი ხორავამ უარი უთხრა, საქმე საქმეზე როცა მიდგა, სხვები წავიყვანეო და მე რუსთაველის თეატრში დამტოვა. ვიდარდე. ამხელა სცენაზე რა გაუკეთო, სცენა გადამყლაპავს-მეთქი... გაიგე, მახათი ტომარაში არ დაიმალებაო... მე და დოდო აბაშიძე მან წავგიყვანა თეატრში. დოდო აკაკი ხორავას ნათლული იყო...

„მაგდანას ლურჯასთვის“ მსახიობებს არ ჩევდნენ. მენახშირეზე ბევრი გასინჯეს... მერე აკაკი ვასაძეს უთქვამს, კარლო საკანდელიძე გასინჯეთო. დამიძახეს და ფილმზე დამამტკიცეს კიდეც. გამიხარდა. სახასიათო როლები მიყვარდა ძალიან. ყველაზე მეტად „დათა თუთაშხიაში“ ნიკანდროს როლი მიყვარს. ჭაბუამაც თქვა ერთ შეხვედრაზე, ჩემს დაწერილს ყველაზე მეტად კარლო საკანდელიძე ჰგავსო.

სირცხვილით გავიპარე იმ დარბაზიდან... მომერიდა ძალიან.

დაღლა არ ვიცოდი რა იყო. ყველა როლისთვის უდიდეს შრომას ვდებდი.

მახსოვს, სერგო ზაქარიაძემ მითხრა, სახალხო არტისტობაზე უნდა წარგადგინო. უარი ვთქვი, რა დროს ვგ არის-მეთქი... — ეე, შე შტერო, როცა გერგება, უნდა მიიღო, — მითხრა. შემიტანა სიაში. სამინისტროში დაამტკიცეს. არც ერთი უარი არ დაუსვამთ... თვითონაც გახარებული იყო.

ინსტიტუტი დაჯამთარე. ორ წელიწადში ვიქორწინე. რადიოში ხშირად მეძახდნენ რადაციის ჩასაწერად. ერთხელაც შემოვიდა ჩემი მომავალი მეუღლე — ჟორჟეტა კობახიძე. კარგი თვალით შევხედეთ ერთმანეთს... ჟორჟეტა საფრანგეთში დაიბადა. ისე ნიგრის ვეძახდით (დედამისი — ნინოსა და მამის — გრიშას პატეისაცემად). მამამისი ფაბრიკაში მუშაობდა იქ. გამოგონებათა ავტორი იყო. მერე ვიღაცამ მოწამლა... გარდაიცვალა. სიდედრმა ბავშვები წამოიყვანა და საქართველოში გაზარდა.

ჩემი მეუღლე ფრანგულის მასწავლებელი იყო 23-ე სკოლაში. ქალ-ვაჟი შეგვეძინა. მერე უცებ წნეგები დაეწყო და გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა. პატარები დამიობლდნენ შვილები. ძალიან უბედური ვიყავი მაშინ, სიტყვით ვერც გეტყვით, რას განვიცდიდი.

მერე ჩემი მეორე მეუღლე ლამარა გავიცანი თეატრში, ეკონომისტი გახლდათ.

ბედი მქონდა, რომ არასდროს უსაქმოდ არ დავრჩენილვარ. კომკავშირის კომიტეტის მდივანიც ვიყავი. კომკავშირის თუ მჯეროდა? — აპა! არასოდეს არ მჯეროდა! კომკავშირის კომიტეტის მდივანი რომ ვიყავი, მაშინ გავიცანი ედუარდ შევარდნაძე. ის კომკავშირის ცეკას მდივანი იყო, მე — კომიტეტის მდივანი... ახლაც ვმეგობრობთ. მირეკავს... მომიკითხავს ხოლმე.

პარადზე გავდიოდით. მერე მივდიოდით სოლო ლადიძის სიმამრთან შინ და ვქეიფობდით. ყველა კმაყოფილი რჩებოდა, პარტიაცა და ერთი პარტია ხალხიც.

რა ვიცი, რა ვიყავი და როგორი ვიყავი ახალგაზრდა... ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა. სანამ ინსულტი მომივიდოდა, რა დამდლიდა, ახლა სუნთქვაც კი მიჭირს...

ძალიან მიყვარს სცენა. სხვა მიზიდულობა აქვს, მით უმეტეს თუ გამარჯვებები წაეწყო. როგორ დამწყდა გული, როცა ვეღარ ვითამაშე „მოხუც ჯამბაზებში“... ვერ შევძელი, თორემ მეც მაძლევდნენ მთავარ როლს...





კარლო საკანდელიძის ვარსკვლავის გახსნისას

ამ ომმა ხომ ბოლო მომიღო! ამ ზაფხულს ყველაფერი დამავიწყა საქართველოს უბედურებამ. ფაშისტებზე უარესი მტერი შემოგვესია...

მეგობრები ჩემი რად მირეკავენ. ისინიც ასაკში არიან...

ვარსკვლავი გამისხნეს. კი, კარგი გრძნობაა, მაგრამ სინდისი მქენჯნის... ეროსის, გოგი გვექცორს არ აქვს ვარსკვლავი და ჩემი ვარსკვლავი რაღა საჭიროა...

რა მიხარია?

უკვე შვილთაშვილი მყავს — ნატალი ისეთი კარგი გოგოა, მაგიჟებს. მოვა ჩემთან და კაკლები მომეცი, სად არის ჩემი კაკლებიო, — მომკითხავს. თამაშობს... ხან სად შემეყრის ამ კაკლებს, ხან სად.

80 წლის შევსრულდი უკვე 1-ელ აპრილს... იცით, ეს დღე სულაც არ არის ჩემი დაბადების დღე, 14 მარტს ვარ დაბადებული. თავის საქმეზე წავიდა მამა რაიონში განათლებაში, ბარემ მეტრიკასაც ავიღებო, — უფიქრია. შემოესივნენ თურმე, გილოცავთ და გილოცავთო. ესეც ხუმრობდა და ამ ხუმრობაში დაბადების რიცხვი შეეშალათ... მერე ამაზეც სულ ხუმრობდა მამა...

ძნელი ყოფილა მოხუცებულობა, ამიტომ ყველას ვეტყვოდი, მოუფრთხილდით, მოუარეთ უფროსებს... მეგობრების ფასი არაფერია, გიყვარდეთ მეგობრები... და საქმე. თქვენი საქმის ერთგული იყავით.

ლელა ზიჩაშვილი



„ძალიან მიყვარს სცენა. სხვა მიზიდულობა აქვს, მით უმეტეს თუ გამარჯვებები წაეწყო“

გივი ჯამბურია

დიდი მოურავის „მემატიანე“

26 აგვისტოს 88 წელი შეუსრულდებოდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის გამგეს — გივი ჯამბურიას. საქართველოს ისტორიის მეცნიერულ კვლევას, სულ რაღაც, 22 წლის ასაკში მიჰყო ხელი, მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა.

გივი ჯამბურია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 30 წლის განმავლობაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი იყო. იმავედროულად კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

„ჩემი წინაპრები სვანები ყოფილან...“

საკუთარ ღვაწლსა და დამსახურებაზე ლაპარაკს გაურბოდა. თუმცა გულლია და ენაწელიანი მოსაუბრე იყო თემებზე, რომელთა კვლევას ათწლეულები შეაღია. იხსენებდა, რომ შუა საუკუნეების პერიოდის ქართული წყაროების შესწავლისას, შემთხვევით შეიტყო საკუთარი გვარის წარმომავლობის მანამდე უცნობი დეტალები.

„ჩემი გვარის ფესვებზე არაფერი ვიცოდი მანამ, ვიდრე პავლე ინგოროშვილსთან არ ვნახე ცნობა მისი წარმოშობის შესახებ. ეს გვარი XIII საუკუნის მეტის სულთა მათიანეშია მოხსენიებული. როგორც ჩანს, მოგვიანებით ჯამბურიების რამდენიმე ოჯახი სვანეთიდან სამეგრელოში ჩამოსულა და სოფელ თამაკონში დასახლდებულა. XVIII-XIX საუკუნეებში კი სამტრედიამში გადასულან“, — იხსენებდა მეცნიერი.



ბოლშევიკებზე განაწყენებულის პაჟიდან ცეკას „გლიზნობამდე“

გვიანი შუა საუკუნეების ისტორიის მკვლევარი 1924 წლის 26 აგვისტოს, სამტრედიამში დაიბადა. მამამისი აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დასახლდა. დარისპან ჯამბურიას ორი დუქანი ჰქონდა და ძირითადად პროდუქტებით ვაჭრობდა. საბჭოთა ხელისუფლებამ შემდეგ ეს დუქნები და სოფელ ჩხენიშის ნაკვეთი ჩამოართვეს, რის გამოც ბოლშევიკებზე განაწყენდა.

ოჯახს სამი ვაჟი ჰყავდა — გივი, ლევანი და შოთა. მათგან უფროსმა, გივი ჯამბურია უნივერსიტეტში სწავლა 17 წლის ასაკში გადაწყვიტა. თბილისში გამგზავრებისას მამამ საბუთების სამედიცინოზე შეტანა სთხოვა, დედამ კი საინჟინრო ურჩია. თუმცა საბოლოოდ არჩევანი ისტორიის ფაკულტეტზე შეაჩერა. თუ რატომ, ამას გივი ჯამბურია 87 წლის ასაკშიც ღიმილით იხსენებდა:

„უნივერსიტეტამდე ტრამვაით ვიმგზავრე. ვდგაურ ეზოში და ვყოყმანობ, საბუთები რომელ ფაკულტეტზე შევიტანო. უცბად ლამაზი გოგონები გამოჩნდნენ. პაოლო იაშვილის ქალიშვილი მედიკო, გერონტი ქიქოძის ქალიშვილი მანანა და დოდო ხიმშიაშვილი აღმოჩნდნენ. დავინტერესდი, სად შედიოდნენ. მიპასუხეს, რომ ისტორიის ფაკულტეტზე და მეც გადავწყვიტე ჩაბარება“.



გიორგი სააკაძის ღვაწლის შესწავლას გვიჯამბურია მწლები შეალია და მისი ბიოგრაფიის მრავალი ახალი გარემოება დაადგინა...

გიორგი ჯამბურია: „საკაძის უმაგალითო გმირულმა ბრძოლამ შაჰ აბას პირველი აიძულა, ხელი აეღო აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის მთლიან მოსპობაზე. სააკაძემ ამ საქმეს საკუთარი და ასევე ორი ვაჟის — პაატასა და აუთანდილის სიცოცხლე შესწირა“.

ისმენდა სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, გიორგი ჩიტაიას, გიორგი ნიორაძის, ძალუა ამირანაშვილის, კოტე ბაქრაძის ლექციებს. იგონებდა, რომ სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილთან მაღალ ნიშნებს იღებდა. იმის მიუხედავად, რომ ივანე ჯავახიშვილის პირველი სტუდენტები ხუთიანს ადვილად არ წერდნენ.

ბოლშევიკებზე განაწყენებული მამის ვაჟი მეცნიერებათა აკადემიის კომკავშირის კომიტეტის მდივანდაც კი დაასახელებს. ახალარჩეულს არც კაბინეტი ჰქონდა, არც ტელეფონი და მათ სათხოვნელად აკადემიის პრეზიდენტს მიადგია. ასევე ღიმილით იხსენებდა კურიოზს, რომელიც ნიკო მუსხელიშვილის კაბინეტში გადახდა თავს:

„თანაშემწეს ვუთხარი, ბატონ ნიკოს გა-

დაეცით, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ჯამბურია მიღებს ითხოვს-თქო. როცა ბატონი ნიკოს წინაშე წარვდექი და მან ჩემი თხოვნა გაიგო, გაიკვირვა, კი, მაგრამ, ოთახი მე უნდა გთხოვო და აქეთ ითხოვო?!“

თურმე მას, საქართველოს კომკავშირის კომიტეტის, ანუ კომკავშირის ცეკას მდივანი ვეგონე. მოკლედ, ოთახიც მომცეს და ტელეფონიც. ეს თანამდებობა ერთ წელიწადს მეკავა, მერე გადავდექი“.

დიდი მოურავის „მემატიანე“

გვიჯამბურია გიორგი სააკაძის ღვაწლის შესწავლას წლები შეალია. ქართულ თუ უცხოურ ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობით, სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, მრავალი ბუნდოვანი საკითხი განმარტა. სააკაძის ბიოგრაფიის მრავალი ახალი გარემოება დაადგინა და ისიც, რომ შაჰ აბას პირველმა საქართველოში ორჯერ კი არა, ოთხჯერ ილაშქრა.

მისი მონოგრაფია და ცალკეული წერილი მიზნად იმ ეჭვის გაფანტვას ისახავდა, რომელიც ისტორიული პიროვნების ფიგურას საუკუნეების განმავლობაში თან სდევდა.

„ისტორიანთან“ პროფესორის ბოლო შეხვედრა სწორედ ამ თემაზე მოეწყო. გიორგი სააკაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ხანგრძლივი საუბრის ბოლოს, მრავალწლიანი კვლევის რეზიუმე მაშინ სულ ორმა წინადადებად დაიწყო: „საკაძის უმაგალითო გმირულმა ბრძოლამ შაჰ აბას პირველი აიძულა, ხელი აეღო თავის ბარბაროსულ გეგმაზე — აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის მთლიან მოსპობაზე. სააკაძემ ამ საქმეს საკუთარი და ასევე ორი ვაჟის — პაატასა და აუთანდილის სიცოცხლე შესწირა“.

...სამოწმაროდ, ასე აღარ ხდება

სამოცი სამეცნიერო ნაშრომისა და ასამდე საენციკლოპედიო სტატიის ავტორი წუხნდა, რომ მსცოვან მეცნიერს ლექციების კითხვისა და ახალგაზრდებისთვის საკუთარი გამოცდილების ამ გზით გაზიარების საშუალება აღარ ჰქონდა.

„საბჭოთა კავშირის დროს, მართალია, მოხუცებული ლექციას აღარ კითხულობდა, მაგრამ სტუდენტს მოგამარებდნენ და შენს გამოცდილებას მას გადასცემდი. სამწუხაროდ, დღეს ასე აღარ ხდება“, — ამბობდა დანანებით.



მიუხ მშვილდაძე:

ჩემი საყვარელი ბმირი ცოტნე ღაღიანი!..

ინტელექტუალური თამაშები უყვარს. და კიდევ, რაც თავი ახსოვს, სულ კითხულობს. ოღონდ ვე არის, ისტორიული ლიტერატურა ადრე უფრო აინტერესებდა. ერთი პერიოდი ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლებით“ იყო ვატაცებული. ძალიან მოსწონდა ალექსანდრე დიუმასა და პროსპერ მერიმეს ნაწარმოებები. მაშ ასე, „ერუდიტის“ სტუმარი „ფორმულა კრეატივის“ ერთ-ერთი პროდიუსერი მიშა მშვილდაძე გაზღავთ.

— ისტორიის ცოდნა მნიშვნელოვანი იმიტომ არის, რომ ერი (და შესაბამისად, ხალხი) რაც უფრო გამოცდილია, მით უფრო ბრძენია. ამიტომაც, წარსულიდან რაც მეტი მაგალითი იცი, მომავალში შეცდომის გამეორების ნაკლები შანსი რჩება. ცოდნა ზედმეტი არასოდესაა. მთავარია გონება გამოუსადეგარი ინფორმაციით არ გადავიტვირთოთ და ვიცოდეთ ის ფაქტები, რაც მართლაც მნიშვნელოვანია. ასევე მთავარია, ისტორიას ალვიქვამდეთ სწორად და არა მითოსურ ამბავთა კრებულად.

— ისტორიული გმირებიდან გამორჩეულად რომელი გიყვართ?

— ცოტნე დადიანი ჩემი საყვარელი გმირია. ძირითადად გმირები მოხმალავე, მეომარ რაინდებად წარმოგვიდგენია. ცოტნე დადიანის გმირობა სამოქალაქო სოლიდარობის კარგი მაგალითია, ძალიან თანამედროვე და ადამიანური. ცოტნე დადიანმა, სამაგალითო, თავგანწირული საქციელით აჩვენა, რომ საზოგადოება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ერთი კონკრეტული ადამიანის ინტერესები. მიხარია, რომ საქართველოს ისტორიაში სა-

მოქალაქე გმირობის არაერთი მაგალითი გვაქვს, თუნდაც თამარ მეფის ეპოქა გავიხსენოთ.

— **კარგი მებსიერება გაქვთ?**

— მგონი ნორმალური მებსიერება მაქვს. რაც შთაბეჭდილებას ახდენს, მამასსორდება. ჩემთვის კითხვის პროცესი ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ის ინფორმაცია, რომელსაც ეს წიგნი მიტოვებს. წიგნის კითხვა შთაბეჭდილებების, ემოციებისთვის მიყვარს და არა ინფორმაციისთვის.

— **1204 წელს ქართველებიც მონაწილეობდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში. დალაშქრეს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიები და შექმნეს...**

— ტრაპიზონის იმპერია.

— **ეს ტერიტორია ქართული წარმომავლობის ხალხით იყო დასახლებული. ვინ ჩაუდგა მას სათავეში?**

— ალექსი კომნენოსი.

— **რადგან ცოტნე დადიანი შენი საყვარელი გმირია, მასზე დაწერილი ლექსი გავიხსენოთ „ცოტნე გმირია, / დიდებული გმირი... ოღონდაც / თუ ვაჟკაცი ვართ, / ნუ ვადიდებთ მართოდენ ცოტნეს. / ვახსენოთ სახედაღრეჯილი, ლომი მონღოლი — / გმირობისა და ვაჟკაცობის უბადლო მცოდნე“. ვინ არის ამ ლექსის ავტორი?**

— სამწუხაროდ, არ ვიცი.

— **შოთა ნიშნიანიძე. 1453 წელს მეპმედ II-ემ კონსტანტინეპოლი აიღო და ბიზანტიის იმპერიის არსებობას წერტილი დაუსვა. ვინ იყო ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი, რომელსაც ცოლად საქართველოს მეფის, გიორგი VIII-ის ასული უნდა შეერთო?**

— არც ეს ვიცი.....

— **მიგანიშნებთ, ის ქალაქის დაცვისას დაიღუპა და დინასტიური ქორწინება ჩაიშალა.**

— მოიცათ, კონსტანტინე XI ხომ არა?

— **დიახ. დავით აღმაშენებელი იწოდებოდა „მეფე აფხაზთა...“**

— **(მწვევტინებს) ქართველთა, რანთა და კახთა, შარვან-შა და შაჰან-შა“.**

— **რომელი წლიდან შევიდა „სომეხთა მეფის“ ტიტული დავითის ტიტულატურაში?**

— ლორე-ტაშირის შემოერთების შემდეგ, მაგრამ არ მახსოვს, ეს რომელ წელს მოხდა.

— **1118 წელს. რამდენ ხანს გრძელდებოდა „დიდი ომიანობა“ კერისში?**

— თუ არ ვცდები, ოც წელიწადს.

— **დიახ, ოც წელიწადს. გიორგი VIII-მ კა-**



ხეთში გამეფების შემდეგ, რომელი ქალაქი აირჩია თავის რეზიდენციად?

— თელავი.

— **ცდებით.**

— **მაშინ ყვარელი ან უჯარმა იქნებოდა.**

— **არც ერთი და არც მეორე — გრემი! 853 წელს ბულა თურქმა თბილისი გადაწვა და ამირა საჰაკი შეიპყრო, ხოლო 26 აგვისტოს კონსტანტი კახი და მისი ძე თარხუჯი დაატყვევეს. რომელ ტაძარზეა შემონახული ამ მოვლენების ამსახველი წარწერა?**

— მოწამეთაში?

— **ცდებით, მიგანიშნებთ, ეს ტაძარი ქართლის ტერიტორიაზეა.**

— **მაშინ, ატენის სიონი...**

— **დიახ. რომელი ცხოველი გამოუგზავნა საჩუქრად რომის იმპერატორმა ადრიანემ ქართლის მეფე ფარსმან II ქველს?**

— ვეფხვი?

— არა.

— **ჰო, გამახსენდა, სპილო! სწორად მახსოვს?**

— **დიახ. რომელი მეფის დროს შემოიღეს მსტოვართა ინსტიტუტი?**

— **დავით აღმაშენებლის მეფობისას.**

— **რამდენი წლის იყო თამარი, როცა მამამ მეფედ გამოაცხადა?**

— 12-ის.

— **1225 წელს, ჯალალ-ედ-დინის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში, პირველი დარტყმა შალვა და ივანე ახალციხელებმა მიიღეს. რა ბედს ეწია ივანე ახალციხელს?**

— **გარდაიცვალა, არა?**

— **მიზეზი რა იყო?**

— **ზუსტად არ მახსოვს.**

— **კლდიდან მოწვევტილმა ლოდმა იმსხვერპლა. რა ერქვა ვახტანგ გორგასლის დედას?**



— რაღაც უცნაური სახელი.

— საგდუხტი. ის ირანელი მოხელის, მარზბანის ქალიშვილი იყო. ვინ იყო მარზბანი?

— მცველი იქნებოდა...

— დიახ, სანაპირო პროვინციის მცველი იყო. რუმინეთში მოღვაწე ეს ქართველი, რომელმაც ვახტანგ VI-ს სტამბის დაარსებაში დიდი დახმარება გაუწია, 1994 წელს რუმინეთის ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. დაასახელებთ იგი?

— ეს კი ნამდვილად არ გამიჭირდება. მისი სახელობის თასი საქართველო-რუმინეთის სარაგბო ნაკრებთა შეხვედრისას თამაშდება! რაღა თქმა უნდა, ანთიმოზ ივერიელი...

— ის ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებლის, იოანე მთაწმინდელის შვილი იყო. მამის შემდეგ მონასტრის წინამძღვარი გახდა. ვისზეა ლაპარაკი?

— ვერ ვხვდები...

— მიგანიშნებთ, მის კალამს ეკუთვნის თარგმანი ქართულიდან ბერძნულად „სიბრძნე ბალაჰვარისა“. ის საქართველოსა და ბიზანტიის ეკლესიის წმინდანია.

— ავობებს, თვითონ დაასახელო.

— ექვთიმე მთაწმინდელი (ათონელი).

— ა! ახლა გამახსენდა.

— კონფუციის მიაჩნდა, რომ ახალგაზრდებს უნდა გამოეჩინათ უფროსებისადმი პატივისცემა, მშობლებისადმი მოკრძალება, საქმეს სერიოზულობითა და ღირსებით უნდა მოპყრობოდნენ, ხალხი უნდა ჰყვარებოდათ და დაახლოებულიყვნენ კაცთმოყვარე ადამიანებს. ყოველივე ამის შემდეგ, მათ დარჩებოდათ დრო და ცუნდი არ იქნებოდა, თუ ამ დროს გამოიყენებდნენ...

— განათლების მისაღებად, წიგნების კითხვისთვის, სხვა ვერაფერი მოვიფიქრე.

— დიახ, წიგნების კითხვისთვის. ეს კრებული ნიკო მარმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ არქივში აღმოაჩინა. რა დაარქვა მას ექვთიმე თავაიშვილმა?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებთ, ის ერთ-ერთ მონასტერში იყო გადაწერილი, მასში თავმოყრილი იყო ის ლიტერატურა, რომელიც იმ დროისთვის განათლებულ ქართველს უნდა სცოდნოდა. მას „სასწავლო წიგნსაც“ უწოდებდნენ.

— „შატბერდის კრებული“, ასეა?

— ასეა! რომელ წიგნზე სრულდება საქართველოს პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონია?

— საქართველოს კონსტიტუციაზე.

— ცნობილია, რომ ეგვიპტელები კავკასიელ ტყვეებს გვარდიის შესავსებად ყიდულობდნენ. დროთა განმავლობაში ისინი იმდენად გაძლიერდნენ, რომ ეგვიპტის მმართველ ძალად გადაიქცნენ. რა ერქვათ მათ?

— იოლი შეკითხვაა — მამლუქები!

— ყიზილბაშების მიერ ბრძოლის ველზე დაჭრილმა ამ მეფემ სიკვდილის წინ, მებრძოლები დაარიგა, — ჩემს გლოვას დაეხსენით და ქვეყნის გადარჩენაზე იზრუნეთო. ვინ იყო ეს მეფე?

— ლუარსაბ I.

— საქართველოს რომელ კუთხეს ეწოდებოდა ძველად თავკერი?

— რაჭა-ლეჩხუმს.

— დაასრულეთ გოეთეს ცნობილი გამონათქვამი: „შეუძლებელია ყოველთვის იყო გმირი, მაგრამ ყოველთვის შეიძლება დარჩე...“

— ...დარჩე ადამიანად“.

გამორჩეული მებრძოლები



◀ ეკვიტი გლადიატორები ბრძოლას ცხენზე ამხედრებული იწყებდნენ, მაგრამ თუ რომელიმე ცხენიდან ჩამოვარდებოდა, მაშინ მეორესაც ბრძოლა ქვეითად უნდა განეგრძო.

246

ეკვიტი გლადიატორები ზუსტად ისევე იყვნენ აღჭურვილი, როგორც რომაული ჯარის კავალერისტები. ისინი იყენებდნენ ტყავის მომცრო ფარებს, საშუალო სიგრძის მახვილებსა და დაახლოებით 2,5-მეტრიან შუბს. მხოლოდ მუხარადები ეხურათ განსხვავებული. იმ მუხარადით, რომელსაც ჯარში იყენებდნენ, სახე არ იფარებოდა და ფარფლებიც არ ჰქონდა. სანახაობას ეკვიტები ხსნიდნენ, ისინი პირველი იწყებდნენ არენაზე ბრძოლას.

247

ქალები იშვიათად იყვნენ გლადიატორები. რომში ისინი პირველად დაახლოებით ახ. წ. 55 წელს გამოჩნდნენ და მხოლოდ ქალებსა და ცხოველებს ერკინებოდნენ. ახ. წ. 200 წელს ქალების ბრძოლა აიკრძალა.



▶ ქალი გლადიატორებიც ისეთივე ზერზებით იბრძოდნენ, როგორც მამაკაცები.

248

ანდაბატი გლადიატორები ბრძოლ-
 ნენ. რომაელებს ეს ძალიან მოსწონდათ. ანდაბატების
 მუზარადებს თვალის ჭრილები არ ჰქონდა, ამიტომ სულგა-
 ნაბული უსმენდნენ ბგერებს, მოწინააღმდეგის ნებისმიერ
 გაფანჯნებას და მერე ორი მახვილით ეკვეთებოდნენ მას.
 ზოგჯერ ანდაბატები ცხენზე ამხედრებულიც იბრძოდნენ.



249

ბრიტანელი გლადიატორები
 ეტლებიდან ბრძოლას ამჯობინებდნენ. მათ
 ესეღარიებს უწოდებდნენ, რაც მეეტლეს
 ნიშნავს. ისინი მას შემდეგ გამოჩნდნენ, რაც
 ძვ. წ. 55 წელს იულიუს კეისარი ბრიტანეთში
 შეიჭრა. პირველი მეეტლე გლადიატორები
 სამხედრო ტყვეები იყვნენ.

▲ ანდაბატების მუზარადს თვალის ჭრილები არ
 ჰქონდა, გლადიატორები მხოლოდ თავიანთ სმენაზე
 იყვნენ დამოკიდებული.

250

ჯამბაზ გლადიატორებს, რომლე-
 ბიც მხოლოდ ხის იარაღებით იბრძოდნენ,
 პეგნიარიებს უწოდებდნენ. ისინი არენაზე მაშინ
 გამოდიოდნენ, როცა გლადიატორთა ბრძოლებს
 შორის შესვენება იყო. პეგნიარიები დახელოვნე-
 ბული აკრობატები იყვნენ და ზოგჯერ ბრძოლის
 სანახავად მისულ ხალხს
 ხუმრობებითაც
 ართობდნენ.

▶ პეგნიარიებს
 ხის იარაღები
 ჰქონდათ და
 სასაცილოდ
 ეცვათ. ისინი
 მაყურებლებს
 შერკინებათა
 შორის
 შესვენებისას
 ართობდნენ.



ანდაბატების ბრძოლა

გაითამაშე ანდაბატების ბრძოლა
 დაგჭირდება:
 თვალის ასახვევი ნაჭერი, ოთხი ან
 მეტი მოთამაშე

1. ერთი მოთამაშე ანდაბატი იქნება.
 თვალეები აუხვიე და დარწმუნდი,
 რომ ვერაფერს ხედავს.
2. სხვა მოთამაშეები ანდაბატს გარს
 უკლიან და თავიანთ სახელებს
 უყვირიან.
3. ანდაბატი ცდილობს რომელიმე
 მოთამაშის დაჭერას, როცა რომე-
 ლიმეს დაიჭერს, ახლა მას აუხვევენ
 თვალეებს და ის შეიქნება ანდაბატი.
 ასე ითამაშეთ, რამდენ ხანსაც
 გსურთ.

დაქირავებული გლადიატორები

251

პირველი გლადიატორები ოჯახების მონები იყვნენ. გარდაცვლილს, რომელსაც ბრძოლის გამართვით მიაგებდნენ ხოლმე პატივს, ანდერძში მოხსენიებული ჰყავდა ის მონები, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ბრძოლაში. მათ აიძულებდნენ, დაკრძალვის ცერემონიაზე გამართულ საგანგებო სანახაობაში შებრძოლებოდნენ ერთმანეთს. ვინც დაიღუპებოდა, პატრონის გვერდით კრძალავდნენ.



▲ სანახაობის დაწყების წინ გრავნილზე ჩამოწერდნენ იმ გლადიატორთა სახელებს, რომლებიც ბრძოლაში მონაწილეობდნენ.



◀ თითოეული დამნაშაუის სახელი, ჩადენილი დანაშაული და სასჯელი დაფაზე იყო ამოტვიფრული.

252

დამნაშაევები შეიძლებოდა არენაზე საბრძოლველად გაეშვათ. რომაელებს ციხე არ ჰქონდათ და დამნაშაევებს აჯარიმებდნენ, ამათრახებდნენ ან სიკვდილით სჯიდნენ. ის მამაკაცები, რომლებსაც დამნაშაევად ცნობდნენ, მაგალითად, ძარცვისთვის, შეიძლებოდა სამი წლით გლადიატორად გაემწესებინათ. დამნაშაევებს ურიგებდნენ ფირფიტებს, რომლებზეც დაწერილებით იყო ჩამოთვლილი მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისა და სასჯელის დეტალები.



როცა ლანიტას, ანუ გლადიატორთა მასწავლებელსა და უფროსს მონების ვიდვა სურდა, რომლებსაც მერე გლადიატორებად გამოიყენებდა, ღონიერ მამაკაცებს არჩევდა. როგორც წესი, გლადიატორი რიგით რომაელზე 5 სანტიმეტრით მაღალი უნდა ყოფილიყო.

253

ზოგიერთი გლადიატორი მოხალისე იყო. მოხალისეებად ხშირად ყოფილი ჯარისკაცები მიდიოდნენ, რომელთაც ფული სჭირდებოდათ თავის გასატანად, სამსახურიდან გადადგომის შემდეგ. ისინი ხელს აწერდნენ კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული დროის განმავლობაში ბრძოლებში მიიღებდნენ მონაწილეობას ან სულაც დადგენილი რაოდენობით ბრძოლას გამართავდნენ. თუ გადარჩებოდნენ, დიდ გასამრჯელოს მიიღებდნენ.



255

გლადიატორებს თავს ლანისტა უყრიდა. ის ხელმძღვანელობდა გლადიატორთა სკოლას, რომლის მეპატრონეც თავადვე იყო. ლანისტა წვევტდა, ვინ აყვანა გლადიატორად და როგორ გაეწვრთნა იგი. ირჩევდა ყველაზე ღონიერ მამაკაცებს, რომლებიც მძიმე აღჭურვილობით იბრძოდნენ. ასევე ირჩევდა ყველაზე სწრაფებს, რომლებიც გლადიატორ-რეტიარიუსებად გამოდგებოდნენ.



◀ მონებს მყიდველთა წინ დააყენებდნენ ხოლმე. ცდილობდნენ ისინი რაც შეიძლება მაღალ ფასად გაეყიდათ.

254

ღონიერ მონებს გლადიატორებად ყიდდნენ. ძველ რომში მონებს ისე ეპყრობოდნენ, როგორც საკუთრებას. ისინი სრულიად უუფლებო იყვნენ. თუ ვინმეს ფულის შოვნა უნდოდა, შეეძლო მონა გაეყიდა. ლანისტა დიდძალ ფულს იხდიდა ღონიერი მონისთვის. გლადიატორებად ბევრ ახალგაზრდა მონას ყიდდნენ.

▶ მონათა ფასი განსხვავდებოდა. ერთი მონის ფასი საშუალო ხელოსნის წლიურ ხელფასს უტოლდებოდა.



ბრძოლის უსწავლა

256

გლადიატორები სპეციალურ საწვრთნელ სკოლებში ცხოვრობდნენ, რომელსაც ლუდუსი ეწოდებოდა. ადრეული სკოლების უმეტესობა ნეაპოლის მახლობლად მდებარეობდა, მოგვიანებით კი რომში გადაიტანეს. ზოგიერთი სკოლა მხოლოდ რამდენიმე სახის გლადიატორს წვრთნიდა, ზოგი კი — ყველანაირს. სკოლას სათავეში ლანისტა ედგა, ზოგი კი შეძლებული წარჩინებულის საკუთრება იყო.



◀ ხის სავარჯიშო ხმლები ისეთივე ზომისა იყო, როგორიც ნამდვილი საბრძოლო იარაღები.

257

გლადიატორებს ხის იარაღებით ავარჯიშებდნენ. საჭურველი ისე მზადდებოდა, რომ წვრთნისას არ დაშავებულიყვნენ. ამასთან, ხის იარაღით გაუჭირდებოდათ ისეთი ამბოხების მოწყობა, როგორიც სპარტაკმა განახორციელა. ზოგიერთ ხის იარაღზე ტყვიას ამაგრებდნენ სიმძიმისთვის, რათა წვრთნის შემდეგ გლადიატორებს ნამდვილ იარაღზე გადასვლა გაადვილებოდათ და ხანგრძლივად შეძლებოდათ ბრძოლა.



258

გაწვრთნილი გლადიატორები ფიცს დებდნენ. წმინდა ფიცი (ადიქსა) ღმერთებისთვის განკუთვნილი სამლოცველოს წინ წარმოითქმებოდა. ფიცის დადების შემდეგ უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდნენ ლანისტას — უნდა აეტანათ მუქარა, გამათრაზება, ჯაჭვით შებორკვა და თვით სიკვდილიც. გლადიატორებს უფლება ჰქონდათ, შეენახათ ნებისმიერი ფულადი ჯილდო, რომელსაც მოიგებდნენ.

▲ არენებისა და გლადიატორთა სკოლების უმეტესობაში იყო ომის ღმერთის, მარსის სადიდებელი მცირე სამლოცველო.

259

ახალბედა გლადიატორები ხის ბოძზე ვარჯიშობდნენ, რომელსაც პალუსი ეწოდებოდა. მწვრთნელი, რომელსაც დოქტორს უწოდებდნენ, ახალბედებს ასწავლიდა, როგორ დაეცვათ ფარით თავი და როგორ გამოეყენებინათ იარაღი ისე, რომ ორი მეტრი სიმაღლის ბოძისთვის დაერტყათ. როცა ახალბედა ბრძოლის ძირითად ტექნიკას დაეუფლებოდა, მხოლოდ მერე შეეძლო სხვა გლადიატორთან ერთად ევარჯიშა.

უპასუხე კითხვებს

1. რომელი თანამედროვე ქალაქის ახლოს იყო ყველაზე მეტი გლადიატორთა სკოლა?
2. რატომ იყო საწვრთნელი იარაღები ტყვიით დამძიმებული?
3. რას უწოდებდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც წვრთნიდნენ გლადიატორებს?

რედაქტორი

ქამუა. ე. ი. ანდრეაშვილი იხილა იტალიის მუზეუმში
 რომელიმე ადამიანის მიერ შეკრული
 იარაღების კოლექცია. 1. ნეაპოლი. 2.
 სპეციალისტი

სტალინი



▲ გლადიატორებს რამდენიმე საათის განმავლობაში ყოველდღე ვარჯიშებდნენ. მათ ბრძოლის ტექნიკას ყოფილი ან უფრო გამოცდილი გლადიატორები ასწავლიდნენ.

260

გლადიატორთა სკოლები ოთხკუთხა საწვრთნელი მოედნის გარშემო იყო აგებული. სწორედ აქ ვარჯიშობდნენ გლადიატორები. საწვრთნელი მოედნის გარშემო განლაგებული იყო ოთახები, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ახალბედებს საერთო ოთახებში ეძინათ, გაწვრთნილ გლადიატორებს თავიანთი ოთახები ჰქონდათ.

საჭურველი, ფარები და მუზარადები

261

გლადიატორთა მუზარადები გაწყობილი იყო ფერადი პლუმაჟით — ძირითადად, ფერადი ბუმბულითა და შეღებილი ცხენის ტუთით. ასეთი მუზარადით გლადიატორი უფრო მაღალი და ზორბა ჩანდა. ზოგჯერ გლადიატორები გუნდებად იბრძოდნენ და მუზარადზე ფერად მოსართავებს იმისთვის ატარებდნენ, რათა გაერჩიათ, რომელ გუნდს ეკუთვნოდნენ.

► მუზარადები უფრო ლამაზი რომ ყოფილიყო, მათ მეტი სმეტად აპრიალებდნენ და ფერადი ფრთებითა და ტუთით რთავდნენ.

სეკუტორი

მურმილონი

თრაკიელი




262

გლადიატორთა საჭურველი უფრო მძიმე იყო, ვიდრე სამხედრო ალჭურვილობა. გლადიატორების ფარები, მუზარადები და სხვა საჭურველი მათ მოწინააღმდეგის იარაღისგან იცავდა. რადგან გლადიატორები საჭურველს მხოლოდ ბრძოლის დროს იყენებდნენ, რაც უმეტესწილად მხოლოდ რამდენიმე წუთი გრძელდებოდა, იგი სქელი და მძიმე იყო. ჯარისკაცები კი, რომელთაც საათების განმავლობაში მარშით უნდა ევლოთ, უფრო მსუბუქად იყვნენ აღჭურვილი.

263

ზოგიერთი საჭურველი

ოქროთი იყო დაფარული. გლადიატორთა აღკაზმულობას ამშვენებდა ჩუქურთმები ომის ღმერთ მარსისა და გამარჯვების ქალღმერთ ვიქტორიას ბარელიეფებით. ხშირად ჩუქურთმები და ბარელიეფები ოქროს თხელი ფირფიტით იყო დაფარული.




264

შუასადებით მჭიდროდ

ამოვსებული საჭურველით ხელებსა და ფეხებს იცავდნენ. სქელი ქსოვილი ან დასატენი მასალა იცავდა იარაღის ელვის უსწრაფესი შემოკვრებისგან ან მოწინააღმდეგის მიერ ფართო მიყენებული დარტყმებისგან.

ტყავის თასმა



დამცავი ქსოვილი

▲ მკლავები და ფეხები დაფარული ჰქონდათ შალის ქსოვილის, მატყლის რამდენიმე ფენით, რომელიც ტყავის თასმებით იკვრებოდა.

▲ მაყურებელზე შთაბეჭდილება რომ მოეზდინათ, გლადიატორთა ფარები შედებილი, ზოგჯერ კი ოქროთი მოვარაყებული იყო.

265

ტანთ, ჩვეულებრივ, არაფერი

ეცაოთ. ეს იმას ნიშნავდა, რომ მტრის ერთ დარტყმასაც კი შეეძლო მათი მოკვლა ან ისე დაშავება, რომ იძულებული გახდებოდნენ, შეწყალეხა ეთხოვათ. რომ გადარჩენილიყო, გლადიატორს უნდა შესძლებოდა ფარისა და იარაღის მარჯვედ ხმარება.

დაუჯერებელია!

გლადიატორის მუზარადი ძალიან მძიმე იყო, ის დაახლოებით 7 კილოგრამს იწონიდა, ორჯერ მეტს, ვიდრე ჯარისკაცისა!





აშშ-ის
საზღვარგარეთო
მდივანი

					1 ჩვილია მეფლეთი მუფე		2 პატარა კახი		3 აზერბაიჯანის ისტორიული სახელი
					4 კვკასიური ცმვა				5 მხარე, მიდამო
							6 ნამელის პოლიტიკური მუწევილე		
7 ღლი ინგლისელი ფიზიკოსი	8 სომეხი მეფდელი								9 ღამის ფრინველი
							10 „კლდე სავითი“ მოციქული		
	11 საფრანგეთის ექს-ელნი საქართველოში	12 ზანა, ეპოქა				13 ფრანც- ფერდინანდის მკვლელი	14 „ქართული ქიხი“		
	15 აფხ. კონფლიქტის მოწესრიგების გგმის ატერტი	16 ფილოსოფოსი ... დეკარტი				17 სახელმწიფო სტრუქტურის ერთობლიობა			
	18 ზანი, ფამი								19 რომაულ ცხენოსანთა დამხმარე რანში
					20 ქვის სატყორცნი იარაღი				
	21 გერმანია- პოლონეთის წარსულში სადგო ქალაქი								22 იაპონური ფეატრი
									23 ... მამული, სარწმუნოება
24 იანაერსკე- ლაფლი	25 აშშ-ის სატელევიზიო პრემია								
		26 პუნების მუფე							
						27 მუფე ... მოკლე			28 იტალიური მაკარონი

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანორდის პასუხები:
 1. ფაზისი; 2. აზატი; 3. აიათოლა; 4. რუანდა; 5. ტიტუსი; 6. აბასი; 7. კინტო; 8. ანანი; 9. ნიქსონი; 10. ბეირუთი; 11. უგულაყა; 12. ნასა; 13. ნარა; 14. მოლა; 15. ბერია; 16. ასკერა; 17. ლავრა; 18. ტაო; 19. ლეონტი; 20. ლიმა; 21. გორდა; 22. ნეი; 23. რადა; 24. ცირიკი; 25. გოა. სურათზე: ფრანსუა ოლანდი.